577/4ს/10928
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 40 (2819) გამოცემის მე-60 წელი: 4 ოქტომბერი, 1991 წ. ფასი 40 კაპ.

## იქნებ, გვიშველოს სიტყვამ!

მე ვერც რაიმე მოწოდების უფლებას მივცემ თავს, ვერც იმას დავიჩემებ, რომ ყველაზე მართალი ვარ. სიმართლე იმდენია ქვეყანაზე, რამდენიც ადამიანი და საკუთარი სიმართლის დამკვიდრება შეადგენს, ალბათ, კაცის ცხოვრების მთავარ მიზანს. ერთი კია, მარტივი ადამიანის სიმართლეს გაყინული სალკლდოვანი ბუნება აქვს. ის უფრო მყარად პატიოსანია, ვიდრე ჭეშმარიტებისკენ მიდრეკილი. გონიერი კაცი კი დაეჭვებულია თავის სიმართლეში, უფრო მძებნელი, სანამ მის უმაღლეს ფორმას — ჭეშმარიტებას მიაღწევდეს. თითქოს, ერთმანეთს უნდა გამორიცხავდეს ორი ბიბლიური ჭეშმარიტება: „გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი“ და, ამავე დროს, ქვების მოგროვებისა და ქვების სროლის აუცილებლობა.

ვის უნდა ესროლო ქვა? რა თქმა უნდა, მტერს, მაგრამ, მხოლოდ თავდაცვის მიზნით და არა შეტევის. არა და, როცა ქვა გიჭირავს ხელში, ან დანა, ან რევოლვერი, ჭეშმარიტების აბსტრაქტული იდეა ცაში მიდის, ვარსკვლავებთან, უკეთესი დროის მოლოდინში და მას ომით აღტკინება, აზარტი ცვლის.

მართალია, ვაჟა-ფშაველასთვის ქვა ფიქრობს კიდეც და გულიც სტკივა ბოროტებაზე, მაგრამ მეომრის ხელში იგი ბრმაცაა და ყრუც, მითუმეტეს, თუ საკუთარ მოძმეზეა დამიზნებული.

როცა ადამიანს ომის გენია ჩაუძგრება გვამში, იქ ყოველგვარი მოწოდება, შეგონება ლიტონ სიტყვებად იქცევა, თანაც უფრო აღიზიანებს მოწინააღმდეგეებს.

სიტყვებს წყნარს, მშვიდობიანს, სათნოს ეკარგებათ აზრი და ავისმომასწავებელ სიმბოლოებად იქცევიან. ერთი სიტყვა — სიმბოლო გულისხმობს ერთ ბანაკს, სხვა სიტყვა — მეორეს. მაგრამ თუ ადამიანს საქართველო უყვარს გაუთიშავად, დღედაღამ ლოცულობს, რომ პოლიტიკური კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს და არც ერთი ადამიანის სიცოცხლე არ შეიწიროს, მითუმეტეს, ახალგაზრდების: იმათი, ვინც ეროვნული სხეულის სულსა და გონს შეადგენენ და იმათიც, ვინც სისხლი და ხორცია მისი. შეიძლება კი ასე გათიშვა ერის არსის და დაპირისპირება ქალაქის და სოფლის, სულის და ხორცის, ინტელიგენტის და მიწის მუშის, რომელიც უფრო და უფრო მძაფრდება, პირდაპირ ფსიქოზად იქცევა. ვისაც არ უნდა წამოეწყო ეს ფსიქოზი, ახლა ყველანი ჩათრეული ვართ მასში და საკუთარი სულის დაღუპვის ფასად მივყვებით ბოროტ ძალას, რომლის ბიბლიური სახელი არის „ლეგიონ“, და თუ მართლა აღორძინდა ჩვენში ქრისტიანული რელიგია, თუ ეკლესიაში სიარული და სანთლების ანთება მარტო მოდა არ არის, ყველა ადამიანმა საკუთარი თავიდან მისხალ-მისხალ, წვეთ-წვეთად უნდა გამოდევნოს ბოროტი და ღმერთისკენ მიმავალ გზას შეუდგეს — სიძულვილი სიკეთით და მიმტევებლობით შეცვალოს, თუ ეს თვითონ ვერ შესძელი, ვერავითარი მოწოდება ვერ გიშველის.

ერთი დიდი მხატვარი ამბობდა: არ არსებობს ხელოვნების ნაწარმოები, თუნდაც გენიალური, რომელსაც შეიძლება კატის კნუტის სიცოცხლე შეეწიროს. ჩვენს ვითარებაში ეს სიტყვები გამომწვევად ჟღერს, პრეტენზიულად, ჩვენ ვინ მოგვცა ასეთი განყენებული ჰუმანიზმის ფუფუნება. მაგრამ არა უშავს რა, მხატვარს, „შერეკილს“ შეიძლება ვაპატიოთ ეს უნაპირო სიცოცხლისმოყვარეობა. ჩვენც გვყავდა ერთი ასეთი დიდებული „შერეკილი“, რომელიც ამბობდა: „მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები, რომ მოვა ჩემთან მონანიებით“. „მონანიებას“ ერითმება „იები“ და უპირისპირდება „ხანჯალი“. სიტყვების ასეთ განლაგებას, წინააღმდეგობრივს, მაგრამ სიყვარულით შენივთულს, ბუნებრივად მოყვება აზრი: „და მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“ (როცა ნამდვილ მტერზეა ლაპარაკი). მტრის სიბრალული დათმობას არ ნიშნავს, არც მის მიმართ დამონებას, პირიქით, ხშირ შემთხვევაში გამარჯვებას, სულიერს; ჭეშმარიტების ზეიმს, რომელიც ისეთივე ზესკნელის კუთვნილებაა, როგორც მშვენიერება, მარტივი ადამიანის თვალი მათ ვერ ხედავს, რადგან თავის პატარა სიმართლეზე და მიწიერ სილამაზეზეა მიშტერებული.

მაგრამ, ალბათ, ასეთი გაჭირვების გამძაფრებისას, თითო-ოროლა პოეტის გენიალური სიგიჟეების გარდა, ხალხის გულიდან ამოხეთქავს ისეთი მიმტევებელი სიკეთე, რომ, შეიძლება, შეგაშინოს კიდეც:

წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
ეგება, ვეფხის დედაი
ჩემზე მწარედა ტირისა.

შეიძლება შეგვაშინოს ამ ლექსმა, მაგრამ მანვე უნდა გადაგვარჩინოს, რადგან იგი ქართველი კაცის მიერაა დაწერილი და ზოგადი ქართული ბუნებით გამყარებული, ამიტომაც ჰქვია ქართული ხალხური ლექსი.

**ლია სტურუა**

## მწერლის ადგილი

ამ დღეებში ხშირად გაისმის მოწოდება, — დავდგეთ იქ, სადაც ჩვენი სინდისი გვიკარნახებს. მძიმე ჟამი დაუდგა საქართველოს და მართლაც არავის ეპატიება „სპილოს ძვლის კოშკში“ განმარტოება, მაყურებლის როლში ყოფნა, სეირით ტკბობა. მავანის პირით დღეს თვით სიტყვა ინტელიგენტი დისკრედიტირებულია. პირადად მე თავს ინტელიგენტად ვთვლი და ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, გადარბენები მოვაწყო იმისდა მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური ძალა იმარჯვებს.

მოხდა საშინელება! თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდა კაცმა გია აბესაძემ ბენზინი გადაისხა და თავი საჯაროდ დაიწვა. ჩვენ არა გვაქვს უფლება თავგანწირვის ეს აქტი არ შევაფასოთ როგორც უმაღლესი ზნეობრივი გაკვეთილი, წმიდა სულის შეწირვა სამშობლოს საკურთხეველზე. ეს ისეთი ცოტნეობაა, რომლის წინაშე ყველამ უნდა დავხაროთ თავი. ამის შემდეგ ჭეშმარიტმა პატრიოტმა თოფის სასხლეტზე თითი უნდა აიღოს და გონიერებას მოუხმოს. ყველამ უნდა იცოდეს, უკომპრომისო პოლიტიკა განწირული პოლიტიკაა. პოლიტიკური ლიდერი ის კაპიტანია, რომელსაც ხომალდი ხიფათიან რიფებზე გაჰყავს და აქ სწორხაზოვანი მოძრაობა დამღუპველია. პოლიტიკოსს სიფხიზლე მართებს და არა ემოციებს აყოლა. პოლიტიკური თამაშის დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ცხოვრების საჭადრაკო დაფაზე ფიგურებად ადამიანები გამოგვყავს.

ოქტომბრის არჩევნებზე და შემდგომაც, ზვიად გამსახურდიას გამარჯვება მიმაჩნდა და მიმაჩნია სავსებით სამართლიან აქტად. პრეზიდენტმა სამჯერ სცადა ბედი და სამივეჯერ გაიმარჯვა: ამ ათი თვის მანძილზე ბევრი რამ მოხდა პოზიტიური, საქართველომ სახე იცვალა, იმასაც ვერ დავმალავ, რომ გარკვეულწილად უკმაყოფილება მეუფლება. მიმაჩნია, რომ ხელისუფლება უშვებს შეცდომებს, რომელთა ნაწილი ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული, რადგან ქვეყნის მართვა ხდება უწყვეტი სტრესის პირობებში, მეორე ნაწილის თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში ოპოზიციურად განწყობილ ძალებს აქვთ პოლიტიკური, კონსტიტუციური და ზნეობრივი უფლება, გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი, წამოაყენონ ალტერნატიული წინადადებები და იბრძოლონ მის განსახორციელებლად. ძლიერი ოპოზიცია საჭიროცაა, თუ გვინდა ჩვენი პოლიტიკური სისტემა ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი გახდეს. მაგრამ ზოგი რამ გამკვირვებია. ჯერ ერთი, ოპოზიციის დროშის ქვეშ გაერთიანებულან იმდენად განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების მქონე პოლიტიკური ძალები, რომ მეეჭვება ოპოზიციის მტკიცე ერთიანობისა. ეს ალბათ მაშინღა მოხერხდება, როცა ზომიერი, ლიბერალური ოპოზიცია გადაინაცვლებს რადიკალურისაკენ, აქედან, ვშიშობ, ერთი ნაბიჯია ექსტრემიზმამდე. მეორე და ამ ეტაპზე მთავარი ისაა, რომ ნებისმიერ ვითარებაში შეიარაღებული დაუმორჩილებლობა კანონიერი ხელისუფლებისადმი, დაუშვებელია. მიტინგი, მანიფესტაცია, შეხლა-შემოხლა პარლამენტის კედლებში, აზრთა დაპირისპირება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ამ დროს ყოველთვის ვერ ხერხდება კორექტული ქცევა, მაქსიმალისტური მოთხოვნილებებისაგან თავის შეკავება. მაგრამ სამხედრო მუქარა, ჯავშანტრანსპორტიორებით, და ტყვიამფრქვევებით ქალაქის ქუჩებში გამოსვლა ცალსახოვნად უნდა შეფასდეს როგორც სამხედრო გადატრიალების მცდელობა. პოლიტიკური ბრძოლის ასეთ გზას მხარს ვერ დავუჭერ თუნდაც ერთი მიზეზით: დავუშვათ, მოწინააღმდეგეებმა შეძლეს პრეზიდენტის გადაყენება. ხომ ნათელია, რომ პრეზიდენტის მომხრეები ფარ-ხმალს არ დაყრიან და სულ მცირე დროში ჩვენ მოწმენი გავხდებით ახალი კრიზისისა, როცა დაპირისპირებული მხარეები უბრალოდ ადგილებს გადაანაცვლებენ. ხელისუფლებათა ასეთი მონაცვლეობა შექმნის დაუსრულებელი კონფლიქტების ვითარებას და ჩვენ გადავიქცევით ჩვეულებრივ „ბანანის რესპუბლიკად“, სადაც ყოველ პოლკოვნიკს შეუძლია პრეზიდენტი გახდეს, სისხლისმღვრელი დაპირისპირებები კი არასოდეს წყდება. ასე რომ, ძალადობის თუნდაც ერთი პრეცედენტი დამღუპველია. ამ გზით მოსული ნებისმიერი ხელისუფლება ვერაფერს მოიგებს, პირიქით, იმ დღიდან დაიწყება სისხლიანი გზა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომებისა... თავს ნუ დავიმშვიდებთ იმით, რომ ჩვენ ქართველები ვართ და სხვებისაგან კეთილგონიერებით გამოვირჩევით. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ იოლად ვაღწევთ კლასიკური სამოქალაქო ომის ზღურბლამდე.

სწორედ ამიტომ, საქართველოს უმაღლესი ინტერესებიდან გამომდინარე, ოპოზიციამ უარი უნდა თქვას სამხედრო მუქარაზე, გაემიჯნოს ძალის პოლიტიკას. განცხადება იმის თაობაზე რომ სამხედრო ძალა იცავს ხალხს და არა პრეზიდენტს, არაკორექტულია. ბოლოს და ბოლოს ეროვნულმა გვარდიამ ფიცი რაღაც აბსტრაქტული ხალხის წინაშე კი არა, ამ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის წინაშე დადო.

მინდა მივმართო ხელისუფლებასაც! შეცდომისაგან დაზღვეული არავინაა. ჩვენ ისეთ რთულ ვითარებაში გვიხდება ცხოვრება, რომ კიდევ არაერთხელ შევცდებით. ტაქტიკური შეცდომების გასწორება იოლია, სტრატეგიული ამოცანის დასახვის დროს არ უნდა შევცდეთ. მიზანი უნდა იყოს ცალსახად გარკვეული. თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყველას გვინდა, მაგრამ ეტყობა ამ ცნებებში სხვადასხვა შინაარსს ვდებთ. ხომ ნათელია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც დაღლილია მრავალწლოვანი ავტორიტარული რეჟიმების პირობებში ცხოვრებით, ეჭვით უყურებს ხელისუფლების ზოგიერთ მოქმედებას, მას ანტიდემოკრატიულობის კვალიფიკაციას აძლევს. ამ ვითარებაში ხელისუფლებამ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც საზოგადოებას ამ შიშს გაუქარწყლებს.

ერთი კონკრეტული მაგალითი ავიღოთ, თუნდაც ტელევიზიისა. მიმაჩნია, რომ ტელევიზიის ერთი არხი მთლიანად უნდა ეკუთვნოდეს ხელისუფლებას, მეორე — ოპოზიციას.

ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია ინფორმაციის შეზღუდვა, პრესის შეზღუდვა. შიში იმისა, რომ ჩვენს ნაკლსა და შეცდომებს უცხო თვალი შეამჩნევს, უსაფუძვლოა, რადგან რაც ჩვენთან ხდება, კანონზომიერი ისტორიული მოვლენაა. ყოველივე ეს ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს და ხდება კიდეც. სიმართლე კი როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან ღირსების მაჩვენებელია. ნუ დავტოვებთ ჩვენს ხალხს უმეცრებაში, როცა ადამიანი რეალობის ნაცვლად მხოლოდ მის ანარეკლს ხედავს. ყველაზე დიდი ძალმომრეობა განგებ ორგანიზებული ინფორმაციული შიმშილია.

**ჯემალ ქირია**

## საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის განცხადება

უკანასკნელ ხანს თბილისში ძმათა შორის შექმნილი სამარცხვინო საომარი მდგომარეობის გამო გახშირდა სხვადასხვა ჯურის ბანდიტებისა და მკვლელების თარეში. სარგებლობენ რა ქალაქში გამეფებული ქაოსითა და გაუკითხაობით, ისინი თავს ესხმიან და დაუნდობლად ძარცვავენ, როგორც მოქალაქეთა ბინებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. ამ თავდასხმების შედეგად რამდენიმე ადამიანი მათ უკვე გამოასალმეს სიცოცხლეს. მწერალთა კავშირის შენობაში, რომელიც ყოველთვის ღია იყო ნებისმიერი მოქალაქისათვის, ბოლო დღეებში ძალზედ გახშირდა მეტად საეჭვო უცხო პირების „სტუმრობა“. ადამიანები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მწერლობასთან, მთელი დღე სასახლის ძვირფას ქანდაკებებს, ბრებსა და ჭაღებს უტრიალებენ და თანამშრომელთა არანაირ შენიშვნაზე არ რეაგირებენ. ეს მაშინ, როცა ბოლო ორი კვირის მანძილზე, ქართველი მწერლები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მწერალთა კავშირის შენობას სათოფეზე არ ეკარებიან. თუ რითაა ეს გამოწვეული, ამის განსჯას ჩვენ ამჯერად არ შევუდგებით.

ამას დაერთო ისიც, რომ მწერალთა კავშირში დარეკა უცნობმა პირმა და გაგვაფრთხილა, რომ ამ დღეებში მოსალოდნელია მწერალთა კავშირის შენობაზე ბანდიტური თავდასხმა. შეგახსენებთ იმასაც, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მუხრან მაჭავარიანს ოპოზიციის სახელით ტერორი გამოუცხადეს და დაცვის გარეშე ქალაქში ვერ გამოდის.

საზოგადოებამ კარგად უწყის, რომ მწერალთა კავშირის სასახლეში გამოფენილი უნიკალური ნივთების გარდა, აქ ინახება მისი მეპატრონეების სარაჯიშვილისა და ხოშტარიას ნაქონი განძი, რომელიც ნებისმიერ მუზეუმს შეშურდება.

ვინაიდან სათანადო ალწერის გარეშე შეუძლებელი იყო ამ ნივთებისა და განძის ევაკუაცია, ამიტომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის ხელისუფლებას, რათა დროებით, მოსალოდნელი საშიშროების გამო, გამოეყო სპეციალური დაცვა. ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა.

ასეთ პირობებში, როცა მწერალთა კავშირის შენობაში მილიციის შეიარაღებული თანამშრომლები მორიგეობენ, მუშაობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამიტომ თანამშრომელთა და მწერალთა უსაფრთხოების მიზნით, გადაწყდა სასახლის პერსონალის დროებითი დათხოვნა და შენობის დახურვა.

30 სექტემბერი, 1991 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ მწერალთა მიმართვა ხალხისადმი, საქართველოს ხელისუფლებისადმი, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი

1991 წლის 2 ოქტომბერს, 2 საათზე, ახალგაზრდა მწერალთა ინიციატივით, თავი უნდა მოგვეყარა მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში, განგვესჯა საქართველოში შექმნილი ურთულესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და მოსალოდნელი უბედურებისგან გამოსავალი გზა მოგვეძებნა. ვინაიდან მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი არ იმყოფებოდა თავის კაბინეტში, ინიციატორებმა თავიანთი განზრახვა შეუთანხმეს მწერალთა კავშირის მდივანს გურამ ფანჯიკიძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა სხდომაში მონაწილეობაზე. დათქმულ დღეს, ამა წლის 2 ოქტომბერს, 2 საათზე, მივაშურეთ მწერალთა კავშირს. მწერალთა კავშირის შენობა დაკეტილი და მილიციით დაცული დაგვხვდა. იძულებული შევიქენით ჩვენი შეშფოთებაც და სათქმელიც მწერალთა კავშირის წინ, ქუჩაში გაგვეზიარებინა ურთიერთისათვის.

მოხდა უპრეცენდენტო ამბავი. საქართველოს მწერალთა კავშირის კარი გადაგვიკეტეს ქართველ მწერლებს! ამ სამარცხვინო და საზარელი დიქტატორულ-ბიუროკრატიული აქტის განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. მაჩაბლის ქუჩაზე, წამით, თითქოს გაკრთა აჩრდილი იმ წარსულისა, რომელმაც შეიწირა მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და მრავალი სხვა ღირსეული ხელოვანის სიცოცხლე.

მწერლებს აღგვიკვეთეს არა მარტო პრესის და ტელევიზიის მეშვეობით ხალხთან ურთიერთობის დამყარება, არამედ ერთმანეთისთვის საწუხარის გაზიარებაც მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზშიც.

ჩვენ აღგვიკვეთეს ზნეობრივი და კანონიერი უფლება — საზოგადოებრივ დონეზე გამოვთქვათ ჩვენი საქვეყნო სატკივარი. ჩვენი მოსაზრებანი საყოველთაო ეროვნული თანხმობის მისაღწევად. ყოველგვარი პარტიულ-კასტური მიკერძოებისგან თავისუფალი სიტყვა, როგორც ჩანს, აშინებს არა მარტო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, არამედ სახელმწიფო მმართველობასაც, რასაც მოწმობს თუნდაც ეს უკანასკნელი აქტი — 2 ოქტომბერს მწერალთა კავშირის სასახლის „აჭედილი" კარი, შიგნით და გარეთ დაცული მილიციელთა მიერ.

ჯემალ ქარჩხაძემ, დავით მჭედლურმა, თეიმურაზ მალლაფერიძემ და სხვა მწერლებმა კრიტიკულად შეაფასეს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის ქმედება და საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, მწერლებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1. ყველა შემოქმედებითი კავშირის წევრებმა ხმა აღიმაღლონ დიქტატორულ-ბიუროკრატიული მმართველობის ყველანაირი გამოვლინების წინააღმდეგ;

2. მოწვეულ იქნას მწერალთა კავშირის საგანგებო ყრილობა;

3. შეწყდეს საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმაცია, დაშინება, მასობრივი ფსიქოზის გაღვივება, საქართველოს კუთხეთა და ტომთა ურთიერთდაპირისპირება;

4. მოწვეულ იქნას ეროვნული ყრილობა, რომელზეც დაისახება ავბედითი ვითარებისაგან დასახსნელი გზა;

5. მოიხსნას ინფორმაციული ბლოკადა, რომელშიც მოქცეულია საქართველოს მოსახლეობა.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, რომელმაც მწერალთა კავშირში შესასვლელი გადაგვირაზა, არ გამოხატავს ქართველი მწერლების საერთო განწყობასა და აზრს და, ამდენად აღარ არის უფლებამოსილი გამოდიოდეს და ლაპარაკობდეს ქართველი მწერლების სახელით.

**გურამ ფანჯიკიძე, კობა იმედაშვილი, რევაზ მიშველაძე, ნუგზარ შატაიძე, ჯარჯი ფხოველი, ზაურ კალანდია, ილია რურუა, დათო მაღრაძე, ნოდარ კობერიძე, ბათუ დანელია, ვახტანგ ღლონტი, ირაკლი სამსონაძე, ბაადურ ბალარჯიშვილი, ილია ბეგიაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ჯემალ ქარჩხაძე, ომარ თურმანაული, გივი ბუთხუზი, სიმონ ბალახაძე, ვაჟა გიგაშვილი, ფელიქს კოჭიაშვილი, მიხო მოსულიშვილი, შოთა ქავთარაძე, ირაკლი ბაზაძე, თემურ მირიანაშვილი, თამაზ წივწივაძე, ზურაბ თორია, ანზორ სალუქვაძე, ნელი გაბრიჩიძე, მამუკა დოლიძე, თამაზ მეტრეველი, აკაკი ვასაძე, ციალა არდაშელია, ჭაბუა ამირეჯიბი, იზა ორჯონიკიძე, გურამ გეგეშიძე, ლაშა თაბუკაშვილი, მირონ ხერგიანი, ვახტანგ ჭელიძე, ნაირა გელაშვილი, არჩილ სულაკაური, მურმან ჯგუბურია, გ[illegible]ლო ქობიაშვილი, გიორგი ბაქანიძე, ლერი ალიმონაკი, ბალათერ არაბული, კობა არაბული.**

ხელმოწერა გრძელდება

●

მეტად ძნელია შეეგუო ჩვენი ინტელიგენციის მიმართ ამ ბოლო ხანებში ჩვენი ოფიციალური პრესის ფურცლებზე გამოთქმულ დაუნდობელ აუგსა და საყვედურებს, მაგრამ სავსებით შემაშფოთებელია მათ მიმართ ადმინისტრაციული ორგანოების გამოყენების ცდა.

მე არ შემიძლია ჩემი ხმა არ შევუერთო პროტესტს, ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფისა, რომელთაც განუზრახავთ თავის საერთო ოჯახში შეკრება და ეს მათთვის მილიციის გამოყენებით აუკრძალავთ.

ეს ნამდვილად მეტისმეტია.

ვინ ჩაიდინა ეს?

**ირაკლი აბაშიძე**

**1991. X.**

●

1991 წლის 2 ოქტომბერს მომხდარი გაუგონარი ინციდენტის გამო, მე, რეზო ბიძინას ძე ამაშუკელი, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, ვტოვებ საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებს და ვაცხადებ:

ის კავშირი, რომლის კარებიც მწერლებისათვის დაკეტილია და მილიციით არის დაცული (რა საბაბითაც არ უნდა ხდებოდეს ეს) ეს უკვე აღარ არის შემოქმედებითი კავშირი და გვაგონებს 1937 წლის მოვლენებს.

ვაცხადებ კატეგორიულ პროტესტს და ვტოვებ კავშირს.

**რეზო ამაშუკელი**

**1991 წ. 3 ოქტომბერი.**

## ნიჰილიზმის შემოტევა

ლიტერატურულმა საზოგადოებამ იცის, რომ ამ სტრიქონების ავტორს ერთობ მწვავე უთანხმოება ჰქონდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან ბატონ მუხრან მაჭავარიანთან. მე ხაზს ვუსვამ — მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, და არა პირადად მუხრან მაჭავარიანთან, რომლის შემოქმედებას და პიროვნებას ყოველთვის უდიდეს პატივს ვცემდი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ დისკუსია კვლავაც გაგრძელდეს, რადგან ვფიქრობ, მწერალთა კავშირი, რომლის თავკაცი დღესაც ბატონი მუხრანი ბრძანდება, არსებითი ხასიათის გარდაქმნებსა და მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას საჭიროებს.

მიუხედავად ამისა, არა მგონია, ბატონი თავმჯდომარე მტრად გადამკიდებოდეს და შურისგების წყურვილით ალვსილიყოს, არც მე მიფიქრია მავანთა მიერ შემოჩეჩებული მუხრან მაჭავარიანის ე. წ. საბჭოური ლექსების ხელაღლა გამოქვეყნება, რისი საშუალებაც მაშინ ნამდვილად მქონდა და გარკვეული წრეების თვალში ეს მანევრი ერთობ ეფექტურიც გამოჩნდებოდა.

ეს ყოველივე სულ რაღაც ერთი წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ ამ მოკლე დროის განმავლობაში ეტყობა იმდენად დაეცა ზნეობა, იმდენად იმძლავრა ულმობლობამ, კადნიერებამ, მიუტევებლობამ, რომ ყოველგვარი ადამიანური ზღვარი გადალახა, გუშინდელი კოლეგები სხვადასხვა მტრულ ბანაკებში აღმოჩნდნენ და თითოეული მათგანი ცდილობს რაც შეიძლება მეტი [illegible]ძულვილი, ღვარძლი და შხამი გადაანთხიოს მოწინააღმდეგის მხარეს.

ამ პატარა წერილის დაწერაც ღვარძლის ნთხევის მასშტაბებმა და მეთოდებმა მაიძულა, რადგან მან შეიძლება ხვალ მეტად საშიში დოზით მოწამლოს საზოგადოების ორგანიზმი. ამის ერთ-ერთ მაგალითად უნდა ჩაითვალოს გაზეთ „მამულში" მ. მაჭავარიანის მიერ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვის დაბეჭდვა, მისი ე. წ. საბჭოური ლექსების გახსენება.

კარგა ხანია დაიწყო ნიჰილიზმის მძვინვარე შემოტევა. ბევრი ჩვენგანი ისე იქცევა, თითქოს განვლილ ათწლეულებში ავბედითად გაწოლილი წარსული სულაც არ არსებობდეს, თითქოს ქიმერა და არა უმძიმესი რეალობა იყო ყოველივე, თითქოს წინა თაობებს ყურთბალიშზე უზრუნველად ეძინათ და უბრალოდ, ვერ მოიფიქრეს ეროვნული მოძრაობის წამოწყება, პარტიების შექმნა, ქუჩებში გამოსვლა, მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვა, მოედნებზე კარვების გაშლა და პოლიტიკური შიმშილობები... და, აი, დღეს, ის, ვინც საქვეყნოდ აცხადებს — ეროვნულ მოძრაობაში ორი წლის წინ ჩავებით, და ვისაც ეროვნული მოძრაობა დროშების ფრიალი და სამიტინგო ორატორობა ჰგონია, თავზე ლაფს ასხამს იმათ, ვის შემოქმედებაზეც თაობები სწავლობდნენ სამშობლოს სიყვარულს, ვინც პოლიტიკურად არარსებული საქართველოს სულიერი არსებობა გადაარჩინა. მათ შორის უპირველესთაგანია მუხრან მაჭავარიანი და ამას დამტკიცება არ სჭირდება. დიახ, იქნებ საამისოდ კომპრომისი და შემგუებლობაც დასჭირდა, ე. წ. „პარავოზების" შეთხზვაც, ან უბრალოდ, ცხოვრების რაღაც პერიოდში რწმენაც გაუჩნდათ, უმძლავრესი იდეოლოგიური წნეხის გავლენაში მოხვდნენ და ითქვა ის, რაც დღეს აუგად ითვლება.

ამგვარად ხომ ნიჰილიზმის მძვინვარე ტალღები მთელს ჩვენს სულიერ წარსულს წალეკავს. ამ ღვარძლიან ტალღებზე ატივტივდება გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის სახელები (აქ არაფერს ვამბობთ სხვა დარგის მოღვაწეებზე). თანამედროვეთაგან ხომ ნუღარ იტყვით, ისინი ყველანი „საბჭოთა ინტელიგენციის" ბანაკში არიან გადასროლილი. არ არის სწორი, როცა პოლიტიკურ ბანაკებში მოარულ ამ ტერმინს ვიმეორებთ მრავალათასიან მიტინგზე, ხოლო უფრო ცუდია, როცა ანგარიშსწორების მიზნით მკითხველს ოცდაათი წლის წინ დაწერილ მის კონიუნქტურულ ლექსებს აჩეჩებენ, რასაკვირველია ამას ლოგიკური გაგრძელება მოჰყვება: ადგებიან მუხრან მაჭავარიანის პოლიტიკური მომხრენი და ოპოზიციის ბანაკში მყოფ ჩვენ კოლეგებს გამოუქექავენ „საბჭოურ" ცოდვებს და უპოვნიან კიდეც, თუმცა ამაში საძრახისი და უჩვეულო არაფერია, ყოველი ეპოქის კონიუნქტურა და იდეოლოგია გარკვეულ კვალს ტოვებდა თვით ყველაზე უკვდავ ნაწარმოებებშიც კი. განა რა იმისთანა ერესია მუხრან მაჭავარიანის მიერ სიჭაბუკეში შეთხზული სამიოდ ლექსი, თუ ამისთანა ჩხირკედელაობა საერთოდ მწერლობის სახელის გატეხვისა და კომპრომეტაციისაკენ არ არის მიმართული. და ეს შემთხვევითი არ გახლავთ, რაღაც ძალებს მოსვენებას არ აძლევს მწერლობის გავლენა ქართველ ხალხზე და მათი მცდელობით, მწერლის სახელი, რომელიც მანათობელი ვარსკვლავივით უძღოდა წინ ქართულ სულიერებას, დაჩიავდება და დღენიადაგ ლაფით ისვრება.

ადამიანთა საუკუნოვანმა ურთიერთობამ ამქრული თანაცხოვრების დაუწერელი კანონი წარმოშვა. მუხრან მაჭავარიანის რანგის პოეტებზე რომ არაფერი ვთქვათ, დარწმუნებული ვარ ვინც ერთხელ მაინც აიღო ხელში კალამი, პირველი ლექსები უსათუოდ სამშობლოსა და სიყვარულზე დაწერა, იმაშიც დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არა თუ პირველხარისხოვანი, არამედ ყოვლად უმნიშვნელო მწერლის გულიც არანაკლებ ძგერს სამშობლოს სიყვარულით, ვიდრე ყველაზე თავგამოდებული პოლიტიკოსისა.

ამქრული თანაცხოვრების ტრადიციის მიხედვით, ერთი ამქრის წევრებმა ერთმანეთს სხვა ამქრის ხალხი უნდა შეუსიონ.

გაივლის დრო. დაცხრება პოლიტიკური ვნებები, ცხოვრება კალაპოტში ჩადგება, მეტისმეტად პოლიტიზირებული ადამიანები თავის პროფესიას, ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებიან და დღეს პოლიტიკურ ბანაკებში წასულ-წამოსული მწერლებიც ისევ მწერლობის ამქარს მიაშურებენ. იქნებ მანამდე როგორმე ისე გვეცხოვრა, რომ მაშინ ერთმანეთისთვის მზერის გამართვა არ გაგვიჭირდეს. მოდით ნუ ვაქცევთ ჩვენი თანამოკალმეების სახელებს პოლიტიკური სპეკულაციის საგნად. ამაზე უნდა იფიქროს იმან, ვინც ანგარიშს უსწორებს და იმანაც, ვისაც ანგარიშს უსწორებენ.

**დავით მჭედლური**

## საქართველო არ არის ორად გახლეჩილი

იმ უბედურებათა შემდეგ, რაც თავს დაგვატყდა უკანასკნელ ხანებში (ღმერთმა გვაშოროს უფრო დიდი უბედურება), თუ მაინც შემოგვრჩა იმედი და რწმენითაც გავყურებთ მომავალს, ეს იმის წყალობით, რომ საქართველო არ არის ორად გახლეჩილი. ხოლო ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ვფიქრობ, მას ანგარიში ეშლება, ან უბრალოდ ცდება.

დიახ, ცდება ის მწერალი (მის გვარს შეგნებულად არ ვასახელებ — არ მინდა, საქვეყნოდ მივაყენო წყენა), ვინც ამბობს: — „საქართველო არის გახლეჩილი ორად"-ო. მაგრამ ეს შეცდომა კაცმა რომ თქვას, არაა თითზე დასახვევი და მასზე ყურადღებასაც როგორ შევაჩერებდი, რომ არა გაცილებით უფრო დიდი შეცდომები (თუ შეცოდებანი) იმავე მწერლისა.

— **„მე მიმაჩნია, რომ ერის გონიერმა ნაწილმა, რომელიც უკვე გაერკვა, თუ რა ხდება, უნდა აიღოს ხელში უფლებები, სხვანაირად საქმე მიდის კატასტროფისაკენ".**

„ერის გონიერ ნაწილად" პატივცემული მწერალი, ცხადია, ინტელიგენციას მიიჩნევს, ამიტომ, ვიდრე მის ნათქვამს კომენტარს გავუკეთებდე, ვიტყვი: ორად საქართველო (ქართველი ერი) კი არა, ინტელიგენციაა გახლეჩილი. ესაა მწარე სიმართლე, რომელსაც ჯერ თვალები უნდა გავუსწოროთ და მერე ვიმსჯელოთ იმაზე, თუ ინტელიგენციის რომელი ნაწილი ცდება უფრო. ის, რომელიც „ბარიკადებს" იქითაა, თუ პირიქით...

საკითხის ასე დასმა — ინტელიგენციის რომელი ნაწილი უფრო გონიერია, ვფიქრობ, ძირშივე მცდარი, შეურაცხმყოფელია ორივე ნაწილისათვის. არადა, პატივცემული მწერალი სწორედ იმ ნაწილს მიიჩნევს გონიერად, რომელსაც თავად ეკუთვნის.

ანბანური ჭეშმარიტებაა და ვინ, თუ არა მწერალმა, უნდა იცოდეს, რომ ერი ერთი განუყოფელი ცოცხალი ორგანიზმია, რომლის ასე „დახურდავება" აბსურდულიც არის და მკრეხელურიც. ის სხვა საქმეა, რომ ამ ორგანიზმს შესაძლოა რომელიმე ნაწილი დაუავადდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მის ორად გახლეჩას.

პატივცემული მწერლის „ლოგიკა" იქამდე მივიდა, რომ... თუ არ გვინდა კატასტროფამდე მივიყვანოთ საქმე, „ერის გონიერმა ნაწილმა უნდა აიღოს ხელში ყველა უფლებები". ე. ი. მთელი ძალაუფლება ჩვენ, პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ძალებმა უნდა ავიღოთ ხელშიო. რა გამოდის? „ყველა უფლებების" ანუ ძალაუფლების ხელში აღება მშვიდობიანი გზით არ მოხერხდება, მაშასადამე, გამოსავალი ერთია... ძალით აღება.

რაკი ფაქტიურად შეიარაღებული აჯანყებისაკენ უხმობს „ხალხს" პრეზიდენტის დასამხობად, გონიერ კაცს ხომ უნდა ჰქონდეს რაიმე ხელჩასაჭიდი, რაც აიძულებს ასეთი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას. და, აი, მონახა კიდეც ასეთი „ხელჩასაჭიდი": თურმე ჩვენი პრეზიდენტი „ერის ერთ ნაწილს მოუხმობს და მოუწოდებს მეორე ნაწილის ჩასაქოლად".

ეს რომ სიმართლე იყოს და არა წმინდა წყლის დემაგოგია, მაშინ, ღმერთმანი, მეც გავილაშქრებდი ასეთი პრეზიდენტის წინააღმდეგ, მაგრამ...

ამ მცირე წერილის დასასრულს მინდა პატივცემული მწერლის „ოპუსიდან" კიდევ ერთი პასაჟი მოვიყვანო (ამ „ოპუსს" მკითხველი გაზეთ „დედამიწის" სექტემბრის ნომერში „აღმოაჩენს"):

**„დღეს მსოფლიოში ჩვენნაირი ცუდი იმიჯი არავის არა აქვს. 87 პროცენტი, რომელიც ასე ეტრაბახება პრეზიდენტს, არის ის, რის გამოც მთელი მსოფლიო გვიწოდებს ისეთ სიტყვებს, რომ არც კი მინდა გავიმეორო".**

სჭირდება ამ ღიმილისმომგვრელ „სიბრძნეს" კომენტარი? ცხადია, არა, და მაინც ვიტყვი: აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. თურმე „87 პროცენტს" მოუჭრია ჩვენთვის თავი მთელი მსოფლიოს წინაშე. ჩვენი იმიჯი თურმე გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ზვიად გამსახურდიასათვის ამომრჩეველთა 51 პროცენტს მიეცა ხმა და არა 87-ს?!

**მიხეილ ჩაჩუა**

# მაცილის მრავალსახეობა

## მამუკა წიკლაური

ჩვენი ეროვნული მოძრაობის სიფხიზლე აშკარად მოადუნა არჩევნების შედეგებმა. არჩევნებში დაფიქსირებული ოთხმოცდაშვიდი პროცენტი, რომელსაც ახლა ხშირად ვიხსენებთ, დიდი და შთამბეჭდავი გამარჯვება იყო. ამ ციფრმა ციხესიმაგრესავით დაგვაიმედა. ეს ციფრი თითქმის მთელი საქართველოა!.. აი, ამ გრძნობამ თითქოს გაგვაბრუა და აღარ გავიხედეთ იმ დანარჩენი ცამეტი პროცენტისაკენ. არ დავუფიქრდით — ვინ არის იქ, რა განწყობილების ხალხია, რა სურვილები და მიზნები თუხთუხებენ...

ისინი მართლაც უმნიშვნელონი არიან (იმ ოთხმოცდაშვიდ პროცენტთან შედარებით — ახე ხშირად და ამაყად რომ ვიმეორებთ), მაგრამ მათი ძალის დაუნახაობა დიდი შეცდომა იყო. — ესაა ორგანიზებული მაფია და ბოროტი ენერგია, უზარმაზარი ფულადი თანხები და კარგად შენიღბული ვერაგული კავშირები. იქ ყოველ წამს უნდა დავლოდებოდით შხამიანი გველეშაპის დაბადებას. იქ დიდი ბოღმა და დიდი რისხვა დუღს. ქვაბი სავსეა უკმაყოფილების კუპრით. ისინი ერთხანს გაყუჩდნენ — ერთმანეთს შორის გაწყვეტილ კავშირებს აბამდნენ, ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზებს ზვერავდნენ, ეროვნული მოძრაობის ცედლებში გაჩენილ თითოეულ ბზარს ითვალისწინებდნენ, უკმაყოფილოთა ახალ-ახალ ნაკადებს იერთებდნენ და აჰა, მათი ფიქრით, დაჰკრა ჟამმა შეტევაზე გადასვლისა — დაიწყო არჩევნებში დამარცხებულთა, თანამდებობადაკარგულთა, „გუშინდელთა“ აჯანყება. დაიწყო ბრძოლა კანონიერი ხელისუფლების დამხობისათვის, სახელმწიფო მმართველობის გადატრიალებისათვის, ხალხის ნების ჩახშობისათვის.

მოხდა ანტიეროვნული ძალების საოცარი გაერთიანება. მე, პირადად, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ერთ „ბარიკადთან“ დამდგარიყვნენ:

1. ერთ დროს პოპულარული პოლიტიური პარტიის ლიდერი, რომელმაც წარმატებით იბრძოლა ქართული ეროვნული მოძრაობის აღორძინებისათვის, შემდგომ კი, როცა ცხოვრებამ შედარებით უფრო დინჯი და პროფესიული პოლიტიკური მიდგომები მოითხოვა, ველარ შეძლო დროსთან შეწონასწორებული სვლების გაკეთება, მოექალა პოლიტიკოსისათვის უკადრისი ბოღმა და ექსტრემიზმისაკენ გადაიხარა.

2. გადამდგარი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ამას წინათ, იხსენებდა რა თავის „გმირულ“ წარსულს, ასეთი რამ თქვა: „ერთ-ერთი შეხვედრისას მოვუწოდე პრეფექტებს, არ დალოდებოდნენ მიწის კანონს, დაეშალათ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მიწა გლეხებისათვის გადაეცათ. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებდი. არაფერი გამოვიდა, რადგან ეკონომიკის მართვის არსებული წესი სრულიად მიხადები აღმოჩნდა „პრეფექტული“ მმართველობისათვის“.

ნაპრემიერმინისტრალისაგან ასეთ გულუბრყვილო მსჯელობას რომ მოისმენ, გაგიკვირდება. პატივცემულო თენგიზ, მიწა შენ კანფეტები ხომ არ გგონია, რომ ამოიღო ჯიბიდან და ბავშვებს ჩამოურიგო? ნუთუ ერთხელ მაინც არ დაფიქრდი, რომ მიწის განაწილებას უზარმაზარი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა სჭირდება: რა, ვის, როგორ მისცე... აქ მოსალოდნელია ისეთი კონფლიქტები, რომელიც უსასრულო სისხლისღვრად შეიძლება იქცეს...

3. კომუნისტურ-კომკავშირული ბუდობი. — ყოფილი მდივნები, მინისტრები, თავმჯდომარეები, მმართველები... მფლანგველები, მექრთამეები, მედროვეები...

მკვეთრმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა უფუნქციოდ დატოვა ძველ ფუნქციონერთა დიდი არმია — მოუშალა ფუქსავატური ხილაღე, გამოჰგლიჯა „კაი ბიჭის“ ტიტული, წაართვა ყოვლისშემძლეობის ილუზია, დაემუქრა უფრო სამართლიანი და მკაცრი მომავლით.

4. „შემოქმედებითი ინტელიგენცია“ — აქ მთელი სპექტრია წარმოდგენილი: რეჟისორები, მეცნიერები, პოეტები, პროზაიკოსები... კარგადაც უპოვიათ ერთმანეთი! ეგენი ესმარებოდნენ შევარდნაძე-პატიაშვილებს ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანაში, ეროვნულ მოღვაწეთა დისკრედიტაციაში, თამადობდნენ პატრიციების შვილების ქორწილებში; შატილში, კოცონთან, ხალხური ლექსის დეკლამაციით ატკბობდნენ „პირველთა“ ყურთასმენას, თავიანთ ფილმებში განადიდებდნენ რაიკომის მდივანთა „მამულიშვილურ ღვაწლს“, გრძელზე გრძელი კინოლენტებით ეგებებოდნენ გეორგიევსკის „მარადიული“ ხელშეკრულების ორასი წლისთავს, „იდეოლოგიურ მდივნებთან“ ხელიხელჩაკიდებულნი მიმოჰქროდნენ „ბედნიერი საქართველოს“ გზებზე, ლექსებს ხომ აქუხებდნენ და აქუხებდნენ... არც ზნეობის სფეროებში გამოირჩევიან სიწმინდითაო... მაგრამ ხალხს რა დაეჯერება, ხალხი ხომ, მაგათივე თქმით, „ხუნიანი ნახირია“, რომელიც თავის მიერ არჩეულ დიქტატორს იცავს!..

შევარდნაძე-პატიაშვილის მიერ დაორდენებულ-დაპრემიებული ერთხანს მიყუჩებული „ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები“ დღეს უცებ გააქტიურდნენ. ცილისწამებისა და ბოღმის ნიაღვარი გადმოანთხიეს „თავისუფალი“, „დემოკრატიული“ პრესის ფურცლებზე. რაღაც საგულისხმო ხდება. ისევ მოსკოვის აგვისტო მახსენდება: იქ შემოქმედისთვის ყველაზე უფრო სამარცხვინო ამბავი მოხდა — „პუტჩისტების“ მხარეზე მწერლებიც აღმოჩნდნენ — პროხანოვი, რასპუტინი, ბონდარევი...

5. ეროვნული გვარდიის ყოფილი მეთაური. მან, რამდენადაც მე თვალი მიმიწვდება, თავისი წვლილი შეიტანა ეროვნული გვარდიის შექმნის ურთულეს საქმეში. შემდეგ ის გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. განაწყენდა. გვარდიის ერთი ნაწილი გაიტაცა და ნამდვილი მტრისათვის დასამიზნებელი თოფი საკუთარი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას დაუმიზნა. მე ზუსტად არ ვიცი, რამ გამოიწვია ის კონფლიქტი, მაგრამ მეთაურის ბოლო ნაბიჯი უზარმაზარი შეცდომა იყო. პატრიოტები ასე არ იქცევიან. იქნებ მართლაც შეცდა ის, ვინც გადააყენა. მაგრამ ამ უმძაფრეს მომენტში არ შეიძლება ვაჟკაცები ემოციებს აჰყვნენ და სხვის შეცდომას (თუ ის მართლა შეცდომაა) თავისი შეცდომაც მიაყოლონ. მოგეხსენებათ, ამ აგორებულ ერთ შეცდომას სხვა შეცდომებიც მოჰყვება და სადღაც უნდა შევჩერდეთ, რომ ერთი შეცდომა ას შეცდომას და უბედურებას არ დაედოს სათავედ, პიროვნულმა ვნებებმა არ ამოგვგლიჯონ ეროვნული ფრონტიდან. მე ისიც მაწუხებს, რომ ყოფილი მეთაურის კისერზე ამჟამად ძალიან, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა დევს — ეს თვრამეტი-ოცი წლის ყმაწვილები, რომელთაც ვერც დიდ განსჯას მოსთხოვ და ვერც დიდ წინდახედულებას, დღეს მას აბარია, ხოლო ცოდვა, რომელიც შეიძლება ჩვენს ქალაქში დატრიალდეს, ძალიან ახლოს არის. ძმებო, იქნებ თავისი სახელი დავარქვათ იმას, ვინც ეს ანტიეროვნული კოალიცია შექმნა, ვინც ეს სამარცხვინო ლაშქრობა დააფინანსა?!.

სხვაც ბევრია ამ ანტიეროვნულ კოალიციაში, ყველას ვერ ჩამოთვლი — პატრიოტულ ფრაზებს შეფარებულნი, პოლიტიკური პარტიების პროგრამებს შეფარებულნი., „დემოკრატიას“ შეფარებულნი... ისინი, ვისაც სირაქლემასავით ჩაუყვია თავი ქვიშაში ანდა ჩვენ, ყველანი ბრმები ვგონივართ...

●

ერთი სიტყვით, ეროვნულ მოძრაობას უფრო ძლიერ, ბნელ და ბოროტ ძალებთან აქვს საქმე, ვიდრე ჩვენ გვეგონა და ვიდრე ეს იმ ჩვენი საამაყო ოთხმოცდაშვიდი პროცენტის ფონზე ჩანს.

თუმცა, სწორედ ამ ოთხმოცდაშვიდი პროცენტის ფონზე თუ გავხედავთ მომავალს, შეთქმულება განწირულია დასამარცხებლად. შეთქმულნი მხოლოდ ისინი არიან, ვინც ჩანს, ვინც თბილისის ქუჩებში მიმოჰქრის მეგაფონებითა და ლოზუნგებით, ავტომატებითა და „ცენტრალკებით“. მათ მხარს არ უჭერს მოსახლეობის (მათი თქმით — „ბრბოს“, „ხუნიანი ნახირის“) რაიმე მნიშვნელოვანი ნაწილი.

ჭკვიანმა და ცბიერმა ხელმძღვანელებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ შეთქმულება განწირულია, მაგრამ რატომ აგრძელებენ წინააღმდეგობას, რატომ უტევენ ასეთი გამძაფრებით, დეზინფორმაციით, ცილისწამებით. ტყვიით ეროვნული მოძრაობის მოწინავე პოზიციებს?!.

მე ვფიქრობ, რომ მიზნის მისაღწევად — საქართველოს იმპერიის შემადგენლობაში დასარჩენად, მათ ორი ვარიანტი აქვთ გათვლილი. ერთი: გამეორდება ის სურათი, რაც ასე კარგად დახატა დავით გურამიშვილმა — „რა მამალი სხვის მამალსა“ და ა. შ. ყველაფერი ასაფეთქებლადაა მზად და დღეს თუ ხვალ სამოქალაქო ომი ატყდება. იმპერია გაგვაშველებს და ისევ უკან შეგვაბრუნებს — ხომ გითხარით, თავისუფლება თქვენი საქმე არ არისო... ჩვენი სურვილიც ეს იქნება, გიჟურ სისხლისღვრას ამას ვამჯობინებთ.

მეორე ვარიანტი: სამოქალაქო ომი არ იქნება. რაღაც შეაკავებს ექსტრემიზმის ტალღას... მაგრამ არც მშვიდობა იქნება. გაგრძელდება ამ „ოპოზიციონერთა“ პირცეცხლიანი გამოსვლები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ეროვნული მოძრაობის მთავარ მიზნებთან. განუწყვეტელი მიტინგები, დემონსტრაციები, არეულობანი, შეიარაღებული თავდასხმები, დანაშაულებრივი სამყაროს აღზევება, უკანონობა დაქანცავს ხალხს. დაეცემა ეკონომიკა — ხორციელი მოთხოვნილებანი გადაუვლის ყოველივე სულიერს და გასავათებულ, გაბოროტებულ, განერვიულებულ, სულიერად განადგურებულ ხალხს შესძულდება სიტყვა „თავისუფლება“. მერე კი წავა და ისევ იქ მივა თავისი ფეხით, საიდანაც დღეს გავრბივართ.

ჩემი აზრით, ამ ორ ვარიანტზე აგებს თავის გეგმას შეთქმულების ველიკორუსულ-ქართული ხელმძღვანელობა.

●

... მაგრამ არსებობს მესამე ვარიანტიც. ეს უკვე ქართველი ერის, მთელი საქართველოს ალტერნატივო ვარიანტია — ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის, სულიერად და ფიზიკურად ძლიერი საქართველოს აშენება.

ღმერთო, მაღალო, რამდენი რამ გველობება წინ!

ამ არეულ-დარეული, პარტიკულარული პოლიტიკისაგან დაფლეთილი ქვეყნიდან უნდა შევქმნათ... ძლიერი საქართველო.

დასაწყისი ძალიან მკაცრია: დოსტოევსკის ერთი რომანის სახელწოდების რემინისცენციით — არსებობს დანაშაული და არ არსებობს სასჯელი. აი, პოლიტიკოსდამნაშავეთა ლოგიკა: — დავეცემი მილიციის იარაღის საწყობებს და გავიტაცებ იარაღს, ათას ხარა-ხურას დავყრი ცენტრალურ გამზირზე და გადავკეტავ, გზაზე საცემად გადავუდგები ქალებს, დავემუქრები ოჯახს და წავართმევ ფულს, მანქანას... შევქმნი ბანდიტთა გაერთიანებას, უშვერი სიტყვებით ვაგინებ ხელისუფლებას, ხალხს მოვუწოდებ კანონიერი პრეზიდენტის დამხობისაკენ... — სასჯელი? — როგორ გეკადრება, მე პოლიტიკოსი ვარ, მე პოლიტიკური პარტია ვარ! დამსჯი და კაი კაკალსაც დაჰკრეფ — მთელი მსოფლიოს საინფორმაციო ცენტრებს შევატყობინებ, რომ საქართველოში დიქტატურაა, რომ ციხეებში პოლიტიკური პატიმრებია!..

იქ, მოსკოვში „მუშაობს“ აქედან „გადახვეწილი“ „სოციალისტური საქართველოს“ მთავრობა: მათ ბრწყინვალედ იციან, როგორ მოაქციონ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება დეზინფორმაციის მარწუხებში!...

იქ, საზღვარგარეთ „მუშაობენ“ „ოპოზიციისგან“ დაპროგრამებული „ქართველი ჟურნალისტები“ და მათაც ძალიან კარგად იციან, როგორ დაუმიზნონ შხამიანი კალამი მშობელ ხალხს.

აქ, საზღვარს აქეთ „მუშაობენ“ „თავისუფალ“ პრესაში შეცურებული ჟურნალისტები და ტკბებიან — ეს რა კაი რამე ყოფილა „დემოკრატიული პრესაო“: არც ნიჭი, არც სინდისი, არც ნამუსი... მხოლოდ ერთი რამაა საჭირო — აილე და ტალახი ესროლე პრეზიდენტს, ქართული ეროვნული მოძრაობის ბირთვს, ყველას, ვინც კი რეალურ თავისუფლებაზე ჩამოაგდებს სიტყვას...

ტალახის სროლაში მართლა დაოსტატდნენ. ამ შემთხვევაში მიზანში ამოღებულ მწერლებზე მინდა მოგახსენოთ.

აგერ, რა ხანია, „თავისუფალი“, „დემოკრატიული“ პრესა უსინდისოდ ატრიალებს გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ წულეისკირის ერთ ფრაზას და „გაოცებასაა“ — თავისი პირით ამბობს, გამსახურდიას მონა ვარო, ამას რომ მწერალი იკადრებსო და ა. შ. სულ მეგონა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა გამოვა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ-მეთქი, მაგრამ... დაცვას ვინ ჩივის, ახლახან წამოდგა მწერალთა კავშირის მდივანი გურამ ფანჯიკიძე და იგივე საზიზღრობა გაიმეორა. — რაო, ბატონო გურამ, მართლა გგონია, რომ შენ დაუჩოქებელი რაინდი ბრძანდები, ხოლო ნოდარ წულეისკირი მონაა? მართლა არ გახსოვს მისი ცხოვრება და შემოქმედება?! — ეს ხომ სწორედ კომუნისტური მონობის წინააღმდეგ ამხედრებული კაცის ცხოვრება და შემოქმედებაა?!. თუმცა არც მიკვირს — ნოდარ წულეისკირს ხომ სწორედ ის ხალხი დევნიდა, ვინც მწერალ-მონებს პრივილეგიების წითელ მორევში აცურავებდა?!.

ისე კი, სოფისტიკის მიმდევრებს მინდა შევახსენო, რომ მათ „კონცეფციას“ „ნედლეული“ არ შემოელევა. აგერ, ტიციან ტაბიძე: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა!“... თუმცა აუცილებელი არაა, მაინცდამაინც მწერალი ამაყობდეს თავისი მონობით, შეიძლება პერსონაჟებსაც გადავწვდეთ. აგერ, რუსთაველი რას ამბობს მსოფლიოს გზებზე მოხეტიალე თავის გმირებზე: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“. ხედავთ, რა ხდება, მონა წულეისკირს უეცრად ტიციან ტაბიძე, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი ამოუდგნენ გვერდით. ეჰ, თუ რუსთაველის პოემის გმირებს სჭირთ ერთმანეთის მონება, რატომ არ შეიძლება ნოდარ წულეისკირსა და ზვიად გამსახურდიასაც სჭირდეთ ეს „ჭირი“? მაგრამ მოვეშვათ, თავისუფალი პრესის სოფისტებს არ უყვართ ლოგიკური კითხვები... ერთი შევკადროთ მხოლოდ — ნოდარ წულეისკირი მათი სახსენებელი არ არის!..

კიდევ ერთ „მონას“ ვერ იტანენ „თავისუფალნი“ — გურამ პეტრიაშვილს. მას წულეისკირივით გულუბრყვილოდ არ განუცხადებია, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ ისიც გამსახურდიას „მონაა“. მათი ურთიერთობა სუსხიანი წლებიდან მოდის. მათ არც ცეკას მდივნის „თათბირზე“ გაუცვნიათ ერთმანეთი და არც რაიკომის მდივნების მიერ მოწყობილ საკუთარ ბანკეტ-იუბილეებზე. ისინი ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს და სწორედ თავისუფლების სიყვარულიდან, მონობის სიძულვილიდან მოდის მათი „ურთიერთმონება“.

რამდენი უტრიალეს გურამ პეტრიაშვილის კარ-მიდამოს, მის შემოქმედებას, მის გვარ-სახელს პოეტის ვაჟკაცური უბრალოებით, მისი პიროვნული სიმტკიცითა და სიმართლით გაღიზიანებულმა „ინტელიგენტებმა“!.. ხან კინალამ რომანოვების უზარმაზარი სასახლედ წარმოგვიჩინეს [illegible] სახლი, რომელიც თურმე სამ ძმას ეკუთვნის... ხან კინალამ ის თქვეს — პეტრიაშვილები მე-18 საუკუნეში მონღოლებს შემოჰყვნენო... ხან ეზოში მოხტუნავე შინაური კურდღელი კინალამ უმაღლესი ფუფუნების სიმბოლოდ წარმოუდგათ...

ერთმა თავისუფალმა გაზეთმა (თბილისში ათასი ასეთი „თავისუფალი“ გამოდის და ათასივე „დაჩაგრული“ გაიძახის — პრესის თავისუფლება გვინდა, ძირს დიქტატურაო!..) გურამ პეტრიაშვილის ერთი „მონური“ ფოტოსურათი და მისი ზეპირი გამოსვლის ბეჭდური ახლი შემოგვთავაზა და, თავისი ფიქრით, საქმე გააკეთა, გემრიელად აცინა პეტრიაშვილის ავადმყოფურად მოძულენი. მე კი გული დამწყდა. — ნუ იკადრებთ უკადრის რამეებს ბატონებო, სირცხვილია... ხალხური ლექსი კარგად ხსნის თქვენი სიძულვილის მექანიზმს: „კარგ ყმას ნუ შურობ სოფელო, კაი ყმა კაი ფარია“...

„თავისუფალმა“ პრესამ მუხრან მაჭავარიანიც გაწირა. ვინც ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, დამეთანხმება, რომ ჩემს ზეპირ გამოსვლებსა და პუბლიკაციებში აშკარად ვუპირისპირდები დღევანდელი მწერალთა კავშირის სტრუქტურას და ხელმძღვანელობის პრინციპებს, პასუხისმგებლობისათვის ვაკრიტიკებ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მუხრან მაჭავარიანსაც... იმან კი, რაც ერთ „თავისუფალში“ ვნახე, გული მატკინა... დაბეჭდილია მიტინგზე მუხრან მაჭავარიანის გამოსვლის საგაზეთო ახლი (პრესის „თავისუფლებისათვის“ დაუცხრომელ მებრძოლთ კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, რომ ასეთი რამის გაკეთება ავტორთან შეუთანხმებლად, საავტორო უფლებების დარღვევაა და კანონით ისჯება), სადაც პოეტი ხაზგასმით ამბობს, რომ დღევანდელი მძიმე სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს — მხარი უნდა დავუჭიროთ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას, უნდა დავინახოთ ის დიდი ღონისძიებები, რომლებიც ხელისუფლებამ წამოიწყო და რომელთა განხორციელებასაც არ ვაცლით.. ეს ნათელი პოზიცია, როგორც ჩანს, არ მოეწონათ „თავისუფალი“ პრესის განმასახიერებლებს და უკადრისი რამ იკადრეს: იმ ზეპირ სიტყვას მიაბეჭდეს პოეტის 30-40 წლის წინათ დაწერილი ლექსები სტალინზე და ლენინზე. ამით მკითხველს მიანიშნეს — არც თქვენი მუხრან მაჭავარიანი განსხვავდება ჩვენი მხარდამჭერი „წითელი ინტელიგენციისაგანო“, მაგასაც იმპერიის ბელადების ქებაში ამოსდიოდა სულიო...

არ გეკადრებათ, ბატონებო. ეს ადრეული გადაცდომანი არ შეიძლება დღეს, ამ კონტექსტში გავიხსენოთ და ხელზე დავიხვიოთ. მუხრან მაჭავარიანის ნამდვილი ლიტერატურული პორტრეტი ამ დავიწყებული ლექსებიდან კი არა — სხვა ლექსებიდან, „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“ ტიპის ლექსებიდან მოდის. სწორედ ეს დაამტკიცა პოეტის დღევანდელმა პოზიციამაც, იგი უყოყმანოდ დადგა ეროვნული მოძრაობის დროშასთან — სატანის დამთრგუნველებთან, იმპერიული წყობის მნგრეველებთან, იმათ მხარეზე, ვინც აგერ, ჩვენს თვალწინ გამძაფრებით ებრძვის კომუნისტებს, რეაქციონერებს, „წითელი ინტელიგენციის“ მიერ მოწყობილ შეთქმულებას. თუმცა, მეც რა მოვდექი და გიხსნით! ეს ჩემზე უკეთ არ იცით?! ამისათვის არ ებრძვით ნოდარ წულეისკირსაც და გურამ პეტრიაშვილსაც, მუხრან მაჭავარიანსაც და სხვა ბევრსაც?!

●

ერთ მიტინგზე, სადაც დაუნდობელი ძალა, ბოღმა და სიძულვილი ინთხეოდა, ასეთი რამ გავიგონე: — ეს საკითხები არც მღვდლების გადასაწყვეტია და არც დედაკაცებისაო...

ნუ, ძმებო, ასე — ჩვენ სანთელმა, სიკეთემ და სიყვარულმა უნდა გადაგვარჩინოს, ხალხად უნდა გვაქციოს. აღმაშენებლის საქართველოსთან შემაერთებელი ხიდი უნდა აღვადგინოთ...

ისინი კი... „დედაკაცები“ კი არა, ჩვენი აგანგაშებული დედები, შვილები, დები და მეუღლეებია. დიდმა საფრთხემ იცის ქალის ასეთი აგანგაშება. მაცილის მრავალსახეობა გატოტვილა ჩვენს სამშობლოში.

აკაკი 150

# მიზანი ცხოვრებისა

(აკაკის „უცნობი პოეზიის“ მიხედვით)

აკაკი მინდიაშვილი



აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ღმერთისადმი რელიგიურია და არა ფილოსოფიური (იგი არად არ ცდილობს მის ახსნასა და გაცნობიერებას, არამედ იღებს რწმენით). ლოგიკურ-ფილოსოფიური და რაციონალურ-ანალიტიური გზით დამტკიცებული ღმერთი აკაკისათვის აღარ წარმოადგენს რელიგიური რწმენის ღმერთს; ღმერთი მისთვის ის საიდუმლოებაა, რომლის ინტელექტით, გონებით წვდომა შეუძლებელია: „ვინ შეიცნო უფლის გონება? ან ვინ ჩუო მისი თანამზრახველი? რადგანაც მისგან და მის მიერ და მის მიმართაა ყოველი“ (რომ. 11, 34); „ვისაც ჰგონია, რომ რაღაცა იცის, ჯერ კიდევ არაფერი ისე არ იცის, როგორც უნდა იცოდეს“ (1 კორ. 8,2); „გონების უკანასკნელი ნაბიჯი ის არის, აღიარო ბევრი ისეთი რამ, რასაც ვერ იტევს ჩვენი გონება, და თუ გონება ასეთ შემეცნებამდე ვერ მიდის, მაშინ ის ძალიან სუსტი ყოფილა“ (პასკალი); ნიუტონი კი თავის თავს იმ ბავშვად მიიჩნევდა, რომელმაც მთელი თავისი მეცნიერულ-ინტელექტუალური ცხოვრების მანძილზე მხოლოდ რამდენიმე პატარა ნიჟარის ამოღება შეძლო ღვთაებრივი ჭეშმარიტების უკიდეგანო ოკეანიდან. აკაკისთვისაც, როგორც ჭეშმარიტი მოაზროვნისა და მორწმუნისათვის, უცხოა ამპარტავნული თვითდარწმუნებულობა, რომელიც შესაძლებლად თვლის ღმერთის, სამყაროს, ადამიანის საიდუმლოების ცნებით-ლოგიკური ფორმულებით ამოწურვასა და განსაზღვრას.

ღვთის შემეცნებისაკენ მივყავართ არა ღმერთის რაციონალურ გააზრებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რეალურ, უშუალო ურთიერთობას და მისი „რწმენის თვალებით“ ხედვას. წმინდა მამათა სწავლებით, სწორედ ამ ურთიერთობაში აღდგება მთლიანი, შინაგანი ადამიანი, როგორადაც შექმნა და შეიყვარა იგი უფალმა. აკაკის მთელი თავისი არსებით სწამს და უყვარს ღმერთი; ღვთის სიყვარული გულისხმობს მისი მცნებების დაცვით წმინდა ცხოვრების მიღწევას. „არ ვუღალატებ სინიდისს, თავს შევინახავ წმინდადა და შენს სიცოცხლეს ვიგულებ ჩემი სამშობლოს წინდადა! ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს, იმ წმინდა სისხლით ღებულსა, რომ შევეყარო პირნათლად იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა!“ („გამოფხიზლება“ — 1881 წ.).

„თავის წმინდად შენახვა“ კი ქრისტიანული ცხოვრების მეშვეობით შეიძლება. აკაკი ბავშვობიდან მოკიდებული ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს, მუდამ ესწრება წირვა-ლოცვას (ლიტურგიკულ ღვთისმსახურებას), მონაწილეობს საეკლესიო საიდუმლოებებში, ისმენს ქადაგებებს, მისი უმთავრესი და უპირველესი საკითხავი წიგნი „ღვთის სიტყვა“ — ბიბლიაა (შემდეგ — „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“. საერთოდ, დასახელებული წიგნები აკაკის სულიერ-ზნეობრივი და ინტელექტუალური სამყაროს სამი უმთავრესი ფუნდამენტური საყრდენია). პოეტს ყრმობიდანვე ზრდიან ღვთის მოშიშებით, რაც სოლომონ ბრძენის თქმით, სიბრძნის დასაწყისია, მისდამი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. აკაკი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მარხულობს და ლოცულობს; (მისი გარდაცვალებისას „ოთახში ესვენა „ძველი ღვთისმშობლის ხატი“ და „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში“, ხატის წინ დაუწვავი ერთი სანთელი და პატარა შანდალი... მგოსანი სანთელს ამ ხატების წინ ანთებდა“ („აკაკის გამოსვენება საჩხერიდან“, „სამშობლო“, 1915 წ. 6, III).

„ბავშვობისას უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული. დიდმარხვის დროს, — იგონებს პოეტი მემუარულ-მხატვრულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“, — მთელი დღე საღამომდის სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მიგვაკარებდნენ, საღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდნენ. არა თუ შექამანდი რამე, ღვინო, მარილი და ზეთიც აკრძალული გვქონდა... ცისკარს როგორ დავაკლდებოდით... თითქმის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა საკუთარი მღვდელი... (საკუთარი კარის ეკლესია), წირვა-ლოცვა გაუწყვეტელი იყო“.

„... დედამ მკითხა: „შენ არ იცი ჯერ ლოცვებიო?“ „როგორ არა, სოფელში მასწავლეს და თუ იმას არ მათქმევინებდნენ. ისე არ დამაძინებდნენ ხოლმე-მეთქი“ და მოვყევი ზეპირად: „დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავითა დამესვენება!“.. ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მავნებს მაცთური!“... „კარგი ლოცვააო, — მითხრა დედამ, — მაგრამ ეგ სოფლურია, და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს, წმინდა მამებისაგან შედგენილიო, და ის უნდა ისწავლოო“. მეც, რასაკვირველია, დავეთანხმე და ერთი თვის განმავლობაში „მრწამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“, და სხვანი სულ ზეპირად ვიცოდი. ისე გამიგემრიელდა საზეპიროები, რომ წერაკითხვის სწავლაც მოვინდომე“... რამდენისამე წლის განმავლობაში ხუცური ზედმიწევნით ვიცოდი, მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე“... აღვნიშნავთ აქვე, რომ თავისთავად ლოცვა და მარხვა, მოწყალების გაღება, სულიერი მღვიძარება, საეკლესიო საიდუმლოებანი და სხვა ქრისტიანული საქმენი კი არ შეადგენს ქრისტიანული ცხოვრების მიზანს, არამედ საშუალებებს „წმინდა ცხოვრების“, „წმინდა სულის“ მოსაპოვებლად. აკაკის როგორც პირადი, ისე ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება ცხადყოფს, რომ ის ჭეშმარიტად ღვთივსულიერი ვიდოდა ამ ქვეყნად, რომ მას როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით პროცესში არაერთგზის განუცდია შთაგონება და შემოქმედება სული წმიდის მადლისა (ღვთის მადლი საღმრთო წერილში ნათელს აღნიშნავს).

აკაკი „სული წმიდას“ სხვადასხვა ნაწარმოებებში სხვადასხვა სინონიმური სახელწოდებით მოიხსენიებს: „მნათობი“ — ლექსიდან „ჩემს მუზას“; „საიდუმლო ღვთიური ძალა“, „ციური ნიჭი“ — „ქებათა-ქება“; „სიმართლე ცისა“ — „ირაკლის საფლავზე“; „გრძნობა-გონების ხელისუფალი“, —„პოეტი“; „ციური ელვა“; „მადლი უფლისა“ — პოემიდან „ანდრია პირველწოდებული“, „ციური ძალი“ — „უიდეალო“; „საღმრთო ელვა“ — „საბრალო გული“ და სხვ.

როდესაც აკაკის ღვთიური წმიდა სული მოევლინება და მისი მოსვლის მთელი სისრულით ნათდება, გამოუთქმელი, ნეტარი სიხარული ეუფლება: „იწამე შენცა და მოგენიჭოს ამიერიდან მადლი უფლისა: იქ ნეტარება სამარადისო და სიხარული ამა სოფლისა“ („ანდრია პირველწოდებული“), აკაკი „პოეტში“ რომ აცხადებს— „ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი...“. მაშინ შეიგრძნობს საკუთარ თავს უგნურად, სიხარულის მომნიჭებელი და გამასხივოსნებელი სწორედ ეს უხილავი ღვთაებრივი სული რომ სტოვებს, როცა მის გარეშე ცხოვრობს და არსებობს. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „საქმე მოციქულთა“-დან წმინდა პავლე მოციქულის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც, სამწუხაროდ, დღეს გულგრილ ქრისტიანებს აღარ გვესმის: აქაიასაკენ მიმავალთ სული წმიდა არ გვახლდა, ხოლო მაკედონიისაკენ მობრუნებულებს სული წმიდა მოგვყვებოდაო. ვინც ქრისტეს მოძღვრებისა და მცნებების მიხედვით არ ცხოვრობს, სული წმიდითაც ვერ აღივსება, და ცხადია, ვერც ამ სიტყვების რეალობას იწამებს, ვერ დაიჯერებს, რომ შესაძლებელია ადამიანი „სული წმიდის“ მონაწილეობას, მის ზეგავლენასა და შემოქმედებას. მის ყოფნაარყოფნას ასე ხელშესახებად და „ფიზიკურად“ განიცდიდეს საკუთარ ცხოვრებაში; შეიგრძნობდეს, როგორ ეხმარება იგი ცხოვრების წარმართვაში, საკუთარი ჯვრის ზიდვაში, შემოქმედებით პროცესში უხილავი ფრთებით შემოსილი მისი სული როგორ მაღლდება „მიწიდან“ „ზეცისაკენ“ (ღვთისაკენ) და „ადამის ცოდვით მკრთალ ბუნებას“ როგორ იდუმალად, უხილავად გარდასახავს ახალ, „ქრისტესმიერ ადამიანად“: „აჰა, ვგრძნობ მეცა, რომ არის ზეცა, აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით, და ეს ქვეყანა, ყოვლგნით ყველგანა, თავს უხრის შემქმნელს მადლით საგრძნობით! და ახლა მეც ვგრძნობ, საიდუმლოდ ვცნობ, რომ არის კაცში ღვთისა ხატება!... რამ ამამაღლა? ვის მაგრძნობინა: ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა? ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება ძლევამოსილად გარდამიცვალა?!... შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო, გამოუთქმელო კაცთა ენითა... შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ და მონავარდე აღმაფრენითა. რომ მეც გედივით, სიკვდილის წინეთ, უცნაურ ხმაზე ჩავიხმატკბილო... გცნო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო“ („ქებათა-ქება“. 1882-1900).

„სული წმიდას“ ისეთივე მიმართება აქვს ღმერთთან, როგორც ყოველ ადამიანს — სულთან, რომელიც მასშია („რომელმა კაცთაგანმა იცის კაცისა, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში? ასევე არავინ იცის ღმრთისა, თუ არა ღმრთის სულმა“ (კორ. 1. 2, 11). სწორედ ამიტომ წარმოადგენს აკაკისათვის საიდუმლო ძალას წმინდა ღვთიური სული, რომლის შთაგონებითაც გენიალური უბრალოებითა და სინათლით წერს იგი დიდებულ სტრიქონებს: „გული სარკედ მაქვს ქცეული, ენა საყვირად ზეცისა, უნდა, რაც ჩამესახება, გავიმეორო მეც ისა“ („ირაკლის საფლავზე“, 1898).

„არც ბატონი მყავს, არც ყმა ვარ, მონა ვარ მეუფისაო! მის ნება-სურვილს ვასრულებ, მორჩილი გულისთქმისაო“ (იქვე).

ეს ღვთიური, საიდუმლო ძალა, რომლის მონადაც მიიჩნევს პოეტი თავის თავს, რელიგიური ენით რომ ვთქვათ, ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის (აკაკი კი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო არა მარტო სიტყვით, არამედ საქმეებითაც, საკუთარი ცხოვრების წესით, მოღვაწეობის ხასიათით, მთელი თავისი შემოქმედებით) წმიდა სამების, მესამე პირს — „სული წმიდას“ წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ისეთივე ჭეშმარიტი ღმერთია, როგორც მამა ღმერთი და ძე ღვთისა („მრწამს... სული წმიდა, უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის იცემების და იდიდების“...); მამა ღმერთთან და იესო ქრისტესთან ერთად იგი ყოველივეს ანიჭებს სიცოცხლეს (ამიტომ ეწოდება „ცხოველმყოფელი“), განსაკუთრებით კი, —სულიერ ადამიანებს! მის გარეშე ადამიანი შინაგანად კვდება, ცხოვრება აუტანელ სიმძიმედ და უაზრობად წარმოუდგება; მის გარეშე „მიწასა“ და „ზეცას“ შორის შუაკაცობა ვერ ხერხდება, ვერც ღვთაებრივი სუნთქვით გამთბარი, შთამაგონებელი სტრიქონები იწერება.. სული წმიდის, — ამ უხილავი ღვთაებრივი სულის გარეშე, ადამიანი მთლიანად უგუნურების, სულიერი სიბრმავისა და ამქვეყნიური ამაოების, — „მიწის“ კუთვნილებად იქცევა: „ნუ მკითხავ, მნახო უგნურად, ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა: სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა... შუაკაცი ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“. („პოეტი“, 1886); „შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა, თვარა ჩემ-თავად მე რა ვარ, მსგავსი მატლის და მხეცისა, ადვილად დასაფშვნელი რამ, როგორც ჰურჰელი კეცისა!“... („ირაკლის საფლავზე“).

„ციური ნიჭი“, „საღმრთო ელვა“, „წმიდა სული“, „ციური ხმა“ — ჭეშმარიტი ღმერთია, ამიტომ ქრისტიანი მას თაყვანს უნდა სცემდეს თანაბრად მამისა და ძისა. და აკაკის მრავალი საუკეთესო თხზულებაც, — მოთხრობა თუ პუბლიცისტური წერილი, ლექსი თუ პოემა სწორედ ამ ღვთაებრივი, ცხოველმყოფელი წმინდა სულის „ქებათა-ქებას“ წარმოადგენს. ესაა არა მარტო „განმაცხოველებელი“, ცოდვებში „მთვლემარე“ ადამიანის მამხილებელი, მისი ჭეშმარიტ ადამიანად გარდამსახველი, ამაღორძინებელი და გამომაფხიზლებელი, არამედ ცხოვრებისეული მძიმე განწყობილებების, სულიერი ჭრილობების, სასოწარკვეთილების, სევდისა და კაეშნის განმაქარვებელი და მანუგეშებელი, შთამაგონებელი, „ზეციდან“ ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა მაუწყებელი და მომნიჭებელი ძალა. თავად ქრისტე ასეც მოიხსენიებს სული წმიდას: „ხოლო როდესაც მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მოგივლენთ მამის მიერ ჭეშმარიტების სული, რომელიც გამოდის მამისაგან, ის იმოწმებს ჩემთვის, და თქვენც მოწმენი იქნებით, ვინაიდან დასაბამითვე ჩემთანა ხართ (იხ. 15, 26-27). აკაკი, როგორც პოეტი და როგორც ქრისტიანი, მოციქულთა მსგავსად „სიტყვით“ (შემოქმედებით) და „საქმით“ (საზოგადოებრივი მოღვაწეობით) ამოწმებს, ადასტურებს „ჭეშმარიტების სულს“, მის არსებობას. აკაკი პოეტს „ციურ მოციქულს“ უწოდებს: „და ეს შენ ხარ მგოსანო, ციური მოციქული, რომ გულგატეხილ ქართველს, გამოუბრუნო გული“ (პოემა „ვორონცოვი“).

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი, ასევე ახალი აღთქმის მოციქულნი წიგნებს სწორედ სული წმიდის შთაგონებით წერდნენ. ამიტომაც ეწოდება მათ „ღვთივსულიერი წიგნები“ (პავლე მოციქული). ამიტომ შეიცავენ ისინი უმაღლეს ჭეშმარიტებას — „ღვთის სიტყვას“ ანუ ღვთაებრივ გამოცხადებას (რომელიც დღემდე ვრცელდება ადამიანებს შორის და წმინდა წერილისა და წმინდა გადმოცემების მეშვეობით ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიაში იქადაგება). ღმერთი ებრაელი ერიდან მართალი ცხოვრების მიხედვით არჩეულ ადამიანებს — წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს — შთააგონებდა და გადასცემდა არა მარტო აზრებს, არამედ ზუსტ სიტყვებსაც ღვთაებრივი აზრების გამომხატველად.

ცხადია, მიახლოებით (გარკვეული შერბილებით) შეიძლება ითქვას, რომ ებრაელი ერივით უკვე მერამდენედ ღმრთისაგან განდგომილ, ცოდვებსა და ბიწიერებაში, ურწმუნოებასა და სულიერ მთვლემარებაში ჩავარდნილ მეცხრამეტე საუკუნის ქართველობას ღმერთმა აკაკი დაუდგინა ერთ-ერთ წინასწარმეტყველად, „ზეციურ ხმად“, რაც ილიას მსგავსად, მასაც სიჭაბუკიდანვე ჰქონდა ღრმად განცდილი და გაცნობიერებული („შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა“... „პოეტო, ნურც შენ ეკრძალევი მრისხანე გულის ღელვასა!... ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი და სიბნელის დროს ელვასა“...).

აკაკი პოეტური შთაგონების უმაღლეს წუთებში ღვთის ნების მონა-მორჩილად, ცასა და მიწას, ღმერთსა და ხალხს შორის შუამავლად და „შუაკაცად“ გრძნობს საკუთარ თავს. განსაკუთრებულ შინაგან სიახლოვესა და ერთგვარ მსგავსებას წინასწარმეტყველთაგან აკაკი წმიდა იერემიასთან პოულობს, თუმც გულწრფელი თავმდაბლობით დასძენს: „მე რა მრჯის იმის მიბაძვას? სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი? სად ჩემი სტვირი, სად მისი იერიქონის საყვირი?!... თუმც კი ორივეს საგლოვის ერთია სარჩულ-საპირი“... („ირაკლის საფლავზე“);

საიდუმლოებით მოცულ სამყაროში არაფერია შემთხვევითი და უსაზრისო მისთვის, ვინც ჭეშმარიტი რწმენის მიხედვით ცხოვრობს, ხოლო ვინც ღმერთისადმი, სულის უკვდავებისადმი რწმენისა და უფლისმიერი მცნებებისა და იდეალების გარეშეა, ის, ცხადია, ადამიანის არსებობას დროებით, უსაზრისო, შემთხვევით და უმიზნო არსებობად აღიქვამს... ჩვენი ერისათვის ტრაგიკულ ისტორიულ ეპოქებში, როდესაც ულმერთობითა და მცირედმორწმუნეობით დაბრმავებული და გონებადაბინდული ქართველობის დიდი ნაწილისათვის ცხოვრება თავის დიად დანიშნულებას, ღრმა აზრსა და უმაღლეს ღვთაებრივ მიზანს კარგავდა, სწყდებოდა დედა ეკლესიას, ივიწყებდა ბიბლიას — „ღვთის სიტყვას“ — თავის უმთავრეს სულიერ და ინტელექტუალურ საზრდოს და ქრისტესმიერ გზას, აკაკის მსგავსი ადამიანები მაგალითს გვისახავდნენ, როგორ უნდა გვეცხოვრა, შეგვახსენებდნენ ჩვენს უმაღლეს ადამიანურ და ღვთაებრივ ღირსებას, გვიქადაგებდნენ, რომ გონება, თავისუფალი ნება და უკვდავი სული ბოძებული გვაქვს არა ბოროტებისადმი მსახურებისათვის, არამედ ღმერთის შეცნობისათვის, ღვთაებრივი სრულყოფისაკენ სწრაფვისათვის, ღვთისა და მოყვასის სიყვარულისათვის, მომავალ მარადიულ ცხოვრებაში ღმერთთან ერთად ნეტარი ცხოვრებისათვის; უთუოდ ეს გარემოებაც განაპირობებს იმ „უცნაურ მოვლენას“, რომ ჩვენი ღირსეული წინაპრების მიერ ასეული წლების წინ გენიალური, ბავშვური უბრალოებით დაწერილ სინათლესავით გამჭვირვალე სიტყვებსა და სტრიქონებს დღემდე არ დაუკარგავთ სიცოცხლისუნარიანობა, თაობიდან თაობამდე გვაკითხებენ თავს, კვლავაც განწმენდენ და ამაღლებენ ჩვენს ცოდვილ სულებს, წარუვალ კვალს სტოვებენ სულიერ-ზნეობრივ თუ გონებრივ ცხოვრებაზე. სამწუხაროდ, მწერალთა, ხელოვანთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის დაფარულია უმაღლესი ღვთაებრივი ჭეშმარიტებანი, რომელნიც „ზეციურ მადლს“, სული წმიდას მხოლოდ იმ ადამიანებისათვის მოაქვს, ვინც ინტელექტუალური სამყაროს გაფართოებასთან და ცოდნით გამდიდრებასთან ერთად უფლის მიერ დასახულ შეუბღალავ ცხოვრებას მიესწრაფვის, ვისაც არასოდეს არ ავიწყდება, რომ „დემონთა და ცოდვათა გამოქვაბულს“ კი არ წარმოადგენს მისი სხეული, არამედ ღმერთის ტაძარს და წმიდა სული ღმრთისა დამკვიდრებულია მასში. ამიტომ ვინც ამ ტაძარს დააზიანებს და დააქცევს მოუნანიებელი ცოდვებითა და ცხოვრებით, ღმერთი დააქცევს მას (1 კორ. 3, 16-17)...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მოსალოდნელი იყო, ეკა ბაქრაძის სახელის გახმაურების შემდეგ, მოზარდების პოეზია ნიაღვარივით მიაწყდა რედაქციებს. ეს ბუნებრივიცაა. ბუნებრივია, აგრეთვე, რედაქციების სიფრთხილე. ისინი მოვალენი არიან არ გააუფასურონ „სენსაციები", მკაცრად შეარჩიონ მოზღვავებული მასალიდან ღირებული.

ბაჩუკი ჩაბრაძე სამტრედიის № 5 საშუალო სკოლის მოსწავლეა, იგი სულ თხუთმეტი წლისაა. ნიჭიერი პოეტია. ბევრს კითხულობს. გატაცებულია გალაკტიონით, რაც ატყვია კიდეც მის ლექსებს, იგი ღირსია ყურადღების, ღირსია გამხნევების!

რამდენად გაძლიერდება მისი ორიგინალური ხმა, რამდენად თავისთავადი და ორიგინალური იქნება იგი, ამას მომავალი დაგვანახვებს.

ძალიან მინდა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე პირველი დახტამბვა საინტერესო მწერლური ბიოგრაფიის დასაწყისად იქცეს.

ამ რწმენით მინდა დავულოცო გზა ბაჩუკი ჩაბრაძეს.

ჯანსუღ ღვინჯილია.



# ბაჩუკი ჩაბრაძე

## იესო ჩემში

ქამთასვლის არსი მან იცის ერთმა,
ცაზე მეტია სული კეთილი,
მაშ, მომავალმა შესავედრელმა
მიბოძოს კვართი გადაფლეთილი;
გოლგოთის ჯვარმა, თრეულმა მხრებით,
სული ჩატოვა ჩემში თენთილი,
ღვთის საუფლოში მაცხოვრის ნებით
შევალ სანთლებად ჩამოღვენთილი.
წყვდიადს სადგური ეპოვა მთებში...
როცა „ძე ჩემი" — გაისმა ცაში,
ნათელი ჩადგა იორდანეში
და იოანე სულს მთხოვდა მაშინ.
სული გოლგოთას მე მივიტანე,
და არ ჩავყევი პილატეს მორევს,
იუდას კოცნა თუ ავიტანე,
მაშ რაღას ვერჩი სხვის ნაამბორევს?!
...და ვაზის ჯვარმა შეკრულმა თმებით
სული ჩატოვა ჩემში თენთილი,
ღვთის საუფლოში მაცხოვრის ნებით
შევალ სანთლებად ჩამოღვენთილი!

## ნაცრისფერი

ერთფეროვნება
სულს ისევ კორტნის,
ვით დაჭრილ არწივს
ყორნების ხროვა...
სულში ტკივილი ყვითელი ფოთლის,
მოვა, ჩაწვება ნაცრისფერ თოვად...
გავჩნდი,
რომ ლექსის თითო სტრიქონში
მე მარტოობის წუთები ვთვალო...

შენს სულს ვატარებ
ნაცრისფერ თოვლში,
ობოლო, გალ-ონ...
ძვირფასო, გალ-ონ...
მე როცა შენი სუნთქვა მომესმის
და როცა შენსკენ სული მომიწევს,
რაღაც მძაფრი და უსათნოესი
ნაცრისფერ ლექსად შემაკოწიწებს...
დღეს შენი ქარი კვლავ დაჰქრის ჩემში
და მეც მაწვალებს შენი სახმილი...
ნოემბრის ტკივილს კვლავ მოაქვს თქეში,
თქეში ცხელი და ლაგამაყრილი...
იალქნებს შლიან ჩემი მხლებლები,
შორს კაბადონთა მღლიან განცდები,

მე ნაცრისფერი აზვირთებებით
ერთფეროვნების საზღვრებს გავცდები...
გავჩნდი,
რომ ლექსის ყოველ სტრიქონში,
ფიქრებმა ეკლის ბილიკი კვალონ...
შენს სულს ვასვენებ ნაცრისფერ თოვლში,
ობოლო, გალ-ონ...

## საქართველოში დაბადებულებს

საქართველოში დაბადებულებს
გოლგოთაზე გვაქვს შედგმული ფეხი,
გვაკლია მხოლოდ ერთიღა ბიძგი, —
ჩვენი ცხოვრების ნაბიჯი ერთი.
წინ დაბრკოლება უფსკრულ-ორმოთა,
კლდეთა ჯარია უსასტიკესი,
საქართველოა თვითონ გოლგოთა
და უფრო მწარე, ვიდრე — ქრისტესი.
საქართველოსთვის, შვილებო მიწის,
მართლა, რა გახდა ნაბიჯი ერთი,
მაგრამ ცდუნების დაძლევა გვიჭირს,
არ გვაპატიებს რომელსაც ღმერთი.

●

„მე წავალ ქარში..."
გალაკტიონი

მე მინდა გადავხტე მეოთხე სართულიდან
(სიკვდილი ვარდისფრად ბლავის)...
— მან შესძლო, —
მომძახის შორი ხმა წარსულიდან, —
შენ ძალა არ შეგწევს ამის.

# ვის დავუმიზნოთ?

დებო და ძმებო! ამ სიტყვებით მოგმართავთ ყველას, რადგან ის ბარიკადები, რომლებიც ჩვენი ხელით აღმართულა ჩვენს შორის, ისევ ჩვენივე ხელით იქნება ახაკრეფი. ღმერთმა ნუ ჰქნას, სხვა ვინმე შეგვეშველოს ამ საქმეში.

ის ცოდვა, რომელიც დღეს ჩვენს თავს ტრიალებს, ისეთი მძიმეა, ნურავის გავიმეტებთ მისთვის, ჩვენვე გავინაწილოთ იგი საკუთარ თავზე.

ჩვენვე მოვუშუშოთ ერთმანეთს იარები, ჩვენვე ვანუგეშოთ ერთმანეთი.

გეთანხმებით, საკამათო და გასარჩევი ბევრი გვაქვს, მაგრამ ვერავის დავეთანხმები იმაში, რომ ტყვიის ენით უნდა გამოვძებნოთ გამოსავალი.

ბოლოს და ბოლოს, უიარაღოდ დავამხეთ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უსაშინელესი კომუნისტური რეჟიმი და რა გახდა ისეთი ჩვენს მიერ არჩეული ერთი კაცის დიქტატურა, თუ ის დიქტატურაა, ქვემეხებისა და ტანკების გარეშე ვერ მოვიშოროთ და სანადირო თოფებით არ დავცხუნძლოთ ჩვენი შვილების ნორჩი მხრები.

სანადირო თოფს კიდევ არა უშავს, ვინმეს დავუმიზნებთ მაინც, ვერაფრით წარმომიდგენია ვის უნდა დავუმიზნოთ დედაქალაქში ქვემეხი...

ჩავხედოთ ერთმანეთს თვალებში, ვისგან ვიცავთ სამშობლოს, ადამიანთა უფლებებს, დემოკრატიას — ზვიად გამსახურდიასაგან?

ვის შეეძლო უკეთ შეეფასებინა ზვიად გამსახურდიას ნაკლი თუ ღირსება თუ არა მასთან ერთად წამებაგამოვლილ მეოცე საუკუნის ქართველ წმინდანს, მერაბ კოსტავას, რომელიც ზვიად გამსახურდიას ქრისტესმიერ ძმას უწოდებდა.

და რა ხდება დღეს? წმინდანის ეზო სამხედრო ბანაკად გვიქცევია და იქიდან მერაბ კოსტავას სახელით ტყვიას ვუმიზნებთ ზვიად გამსახურდიას.

ამას წინათ კოლხური კოშკის აფეთქებაც უცდიათ.

რამდენიმე ხნის წინ ქუჩაში სამი მეგობარი თუ შეჯგუფდებოდა, ხელისუფლების წარმომადგენელი მოვიდოდა და გარეკავდა. ჩემს მტერს, რომელიმეს ჯიბის დანა აღმოჩენოდა...

დღეს კი ჯავშანტრანსპორტიორებით, ქვემეხებით, ავტომატებით, ხელყუმბარებით და სანადირო თოფებით შეიარაღებულნი დავჯირითობთ დედაქალაქში.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება მართლა მოგვიპოვებია, მართლა გვიხსნია თავი იმპერიის მარწუხებისგან და ეს მივულოცოთ ერთმანეთს!

ნომადი ბართაია

# ლევან დუმბაძე

## დიდგორი

იქ, მაღლა, მთებში,
ლამაზი მინდორია,
იქ, ჩემი დიდგორია...
ჩემი ძლიერების ის არის ველი,
ველი მოჩითული ისეთი ფერით...
იქ, ჩემი ურჩი და ჯიუტი სულია,
იმ სულს, ოდითგანვე მზესავით უვლია,
მრავალჯერ ამოსულა და ნისლშიც მიმალულა,
და ბევრი წამი ჰქონია სინანულად.
ის ჩემი იმედისა მარადი სიმწვანეა,
რაც კი შემიქმნია, რაც კი მიწვალია.
— ჩემთვის მზე ასეთია, ჩემი ცა ის არი.
ის მიწის ნაჭერია ჩემი საყვარელი.
— იქ, მაღლა, მთებში, დიდგორია,
— ის, ჩემი უკვდავების
მინდორია.

## ვარდისფერი კაცი

მუქ კედელზე, ვარდისფერი ცარცით,
ხატა ბავშვმა, ვარდისფერი კაცი.
კაცს — თვალები დაუხატა ვრცელი,
და თვალებთან, რატომღაც,
ყვავილები
ცვენით...
კაცს ხელები ჰქონდა ფართოდ გაშლილი.
მოსახვევად წამოსული ბავშვივით.
და ღიმილი, ისე თბილი, ვარდისფერი...
ასეთივე ვარდისფერი გული...
და ნახატი
იყო თითქოს მარტივი.
და ნახატი
იყო მაინც რთული...

მუქ კედელზე, ვარდისფერი ცარცით,
ხატა ბავშვმა, ვარდისფერი კაცი...

●

ყვავის „უტილი",
უსახური ერთ-ერთი „იზმი".
მომძლავრებულა, მომრავლებულა უძველესი
იმისი ფესვი...
ამ შხამიანი ყვავილების მტვერმა
ჩემს ქალაქშიც შემოაღწია...
ვხედები მისი ალერგიით
გამომშრალ თვალებს,
როგორც ზღვის კენჭებს,
მზის გულზე დაყრილს...
რომლებსაც წვიმა
თუ დაუბრუნებს ხანდახან ფერებს.
მაგრამ ეს
იმ თვალების სიხარულია,
დამშეულ კაცს ჭამამდე რომ გაჰყვება მხოლოდ.
ნაყიდი ღიმილი, —
როგორც გველი
ლამაზად გაფორმებულ მუყაოს ყუთში...
სხვები სახის ქვეშ დაიბჯენენ გაოფლილ ხელებს
და ჰიქებივით შემოდგამენ თეთრი სუფრებით
დამშვენებულ დიდ მაგიდებზე.
ისინი სავსეა ხელოვნური, დურბელა სითხით.
ასეთებისთვის სიტყვა — მამული სიმაძღრეს
ნიშნავს
და საკუთარი ბინის ზღურბლზე მთავრდება იქვე.
მაგრამ მამულის სადღეგრძელო შეისმება
„წესების დაცვით", შეიძლება თვალდანამულიც...
ხვალ ის ამ „ცრემლებს" სარგებელში გადაცვლის
მშვიდად.
— ჰოი ცრემლებო,
შერყვნილია თქვენი სახელი,
ჰოი საბრალო თოჯინებო...
— მაგრამ სიბრალული ცოტაა ახლა,
ვერაფერს შველის,
რადგან ბორცვზე ახოხებული,
ის კარგად გხედავს, გათვალიერებს...
ეს ის კაცია,
ოქროს გულისთვის ციხის კარი რომ გაუღო
ჩალმიან მხედრებს,
ეს ის კაცია, იმისი ასლი...
და სიბრალული ცოტაა ახლა,
ვერაფერს შველის.
ისევ და ისევ იმათი სუნთქვით
და სულის ბერვით — ვინაც ზვარში,
ვაზის ძირივით მუხლჩახვეული წაიღილინებს
ვინც ალუბლის ტოტს ეფერება,
ვინც მინდორში ქვას დაინახავს,
მხრებით აიტანს და კოშკის კედელს
შემოუმატებს,
ვინც ამ კაცის მხრებს
და აღმატებულ სულს აქანდაკებს,
— ვინც იცინის,
როცა იცინის.
— ვინც მწუხარებს,
როცა მწუხარებს.
ვინც მრისხანებს,
როცა მრისხანებს.
ისევ და ისევ იმათი სუნთქვით
და სულის ბერვით...
ამ შხამიანი ყვავილების მტვერს
ქარი თვითონ აღარ წაიღებს...

1984.

# მოგონებანი

## ნანა კანდელაკი



### ორი დიდებული ქალბატონი

1968 წელი იყო...

გამომცემლობა „მერანში“ ჩემი იუმორისტული მოთხრობების კრებული გამოვიდა.

მივედი გამომცემლობაში, მივიღე ჩემი საავტორო ცალები, ათი წიგნი (მაშინ ასე იყო), მადლობის წარწერებით ჩამოვურიგე ყველას, ვინც ამაგი გასწია წიგნის გამოცემაზე და ერთი წიგნიღა დამრჩა.

„მერანის“ გამომცემლობის წინ მწერლები იდგნენ — ალეკო ხანადირაძე, ალეკო შენგელია, ვალოდია ჯიბუტი და ანდრო თევზაძე. მივედი. მოვიკითხე. ის იყო წასვლა დავაპირე, რომ მოგვიახლოვდა ერთი თმაშევერცხლილი, ხანდაზმიანი მანდილოსანი და პირდაპირ მომმართა:

—რა გვარის ხართ და რა გქვიათ, მითხარით, თუ არ შეწუხდებით.

მე გაოცებული მივაჩერდი, ვერ შევიცანი და ანდროს შევხედე.

ბატონმა ანდრომ თავაზიანად ჰკითხა:

— რაშია, ქალბატონო საქმე? ეს ჩვენი ქართველი მწერალი ქალია, აგერ, წიგნი გამოსცა ახალი და...

— მერე კი ჩემი სახელი და გვარი უთხრა.

მანდილოსანს გაეღიმა, ხელი ჩამოგვართვა ყველას და მე მომმართა:

— მე, ქეთო მაღალაშვილი ვარ, მხატვარი, იქნებ გაგიგიათ ჩემი გვარი?

— როგორ არა, — უცებ გამოვცოცხლდი, — მინახავს კიდეც თქვენი შესრულებული პორტრეტები, ნახატები.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ განახავთ... ახლა კი მინდა თქვენი პორტრეტი დავხატო.

— ო, ბედმა გაგიღიმა, ნანა,— განსაკუთრებით გახალისდა ანდრო თევზაძე, — ვგონებ, არც თუ ისე ბევრი მწერალი გყავთ, ქალბატონო ქეთევან, დახატული. ეს დიდი პატივია...

— რატომ, რატომ, — თავმომწონედ გაეღიმა ქეთევანს, —შალვა დადიანი მყავს დახატული, კონსტანტინე გამსახურდია...

— გამოდის, რომ მესამე ჩვენი ნანა იქნება, — ხელზე აკოცა ანდრომ ქეთევანს.

— მესამე რატომ, კიდევ მყავს დახატული, ახლა ვერ ვიხსენებ, — შუბლი მოჭმუხნა მხატვარმა და უცებ მე მომმართა, — ათი სეანსი დაგვჭირდება სამ-სამი ან ორ-ორი საათი. როდის მოხვალთ? ჩაიწერეთ ჩემი მისამართი!

— ბედია, ჩემო, ნანა აგერ წიგნი გამოვიდა და აგერ მაღალაშვილის ქალი, ეს საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი, შენი პორტრეტის დახატვას აპირებს, — თქვა ალეკო შენგელიამ თავისებური ენისმოკიდებით.

—დიდი მადლობა, ქალბატონო ქეთო, პატივისთვის, მაგრამ... მაპატიეთ, ვერ მოვალ... სულ არ მაქვს დრო, გეფიცებით. —ძალიან მორიდებული, ამასთან კატეგორიული უარი ვთქვი.

ქეთევანი განცვიფრებული მომჩერებოდა.

— ა! ნანა, როგორ შეიძლება უარის თქმა, — ხელი გაასავსავა ანდრომ.

მაღალაშვილმა, სინანულით შემომხედა და სწრაფად გაგვშორდა.

არ უნდა გეთქვა უარი, —თქვა ჯიბუტმა.

— მეც მაგ აზრისა ვარ, —დაეთანხმა ალეკო ხანადირაძე.

—არ უნდა, რა არის აქ გაუგებარი? გენაცვალე სწასიათში, — მხარზე ხელი შემომკრა შენგელიამ. — ნამეტანი დიდი წარმოდგენა აქვთ მხატვრებს თა[illegible] თავზე.

[illegible] რომ აღარაფერი თქვა, მხო[illegible] მხრები აიჩეჩა.

რამდენიმე წუთი დადუმებულები ვიყავით, მერე დავემშვიდობე [illegible]ლას და წამოვედი სამსახურში.

საღამოს შინ დამირეკა მაკო ახვლედიანმა, ელენე ახვლედიანის უმცროსმა დამ.

ახვლედიანებს ბავშვობიდანვე ვიცნობდი. მე გავიზარდე ქსენიას ქუჩაზე. ამ ქუჩას შემდეგ ხან „ამო“ დაარქვეს, ხან „შეროზიას“ სახელი, მაგრამ დღემდე ყველა მაინც მის პირველ სახელს —ქსენიას ქუჩას ეძახის. ახვლედიანები კი ჩვენი ქუჩის კუთხეში ცხოვრობდნენ — ელისაბედის ქუჩაზე, შემდეგში კლარა ცეტკინის რომ იყო და ახლა მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელი უწოდეს. ქალბატონ ელენეს, რა თქმა უნდა, ვერც ვესალმებოდით ბავშვები, თვალს კი მუდამ გავადევნებდით ხოლმე, როცა ჩაგვივლიდა ეს სახელოვანი მხატვარი, დიდებული და ლამაზი ქალი. მაკოს კი, მიუხედავად ასაკის განსხვავებისა, ახლოს ვიცნობდი.

დამირეკა მაკომ და მითხრა, ელიჩკას უნდა შენთან ლაპარაკიო.

გამიკვირდა. ქალბატონ ელენეს რაში მოვაგონდი, მასთან დალაპარაკებულიც კი არ ვიყავი საერთოდ.

ელენემ პირდაპირ ჩამძახა ყურმილში; შენ რას მიჰქარამ, თუ იციო. როგორ გაბედე უარის თქმა, იცი კი, ვინ არის ქეთო მაღალაშვილი?

— ქალბატონო ელენე... —საცოდავად წავილუღლუღე, მაგრამ ვინ მაცალა მეტის თქმა.

—არ ვიცი, რა ნახა შენში, მაგრამ ეს მისი საიდუმლოებაა, ალბათ რაღაც დაინახა. აი, მე მაგალითად, არ დაგხატავდი, გესმის? იმან კი მოინდომა. ეს როგორ არ დააფასე? სანთელი უნდა დაგენთო, ღმერთმა ასეთი ბედნიერება რომ გაღირსა, შენ კი... ხვალვე მიხვალ, ხვალვე!

— არ მინდა, ძალაა? არ მივალ!

— მეც აღარ დავუთმე, — არ მაქვს დრო!

ელენემ ჩამომიკიდა ყურმილი.

მერე, როცა ქალბატონი ქეთო გარდაიცვალა 1978 წელს, სრულიად შემთხვევით, ქალბატონი ელენე ვერის ბაზარში შემხვდა. თვალი მოვარიდე, სწრაფად გავეცალე, მაგრამ შემეხმაურა, აქ მოდიო. მივედი, მივესალმე. მან შემომხედა და გაბრაზებულმა მითხრა:

— ახლა მაინც არ ნანობ, რომ არ დაგხატა ქეთომ?

ავიწურე, ხმა ვერ გავეცი, ელენემ ხელი ჩაიქნია და უცებ გამშორდა.

სვიატოსლავ რიხტერის კონცერტები რომ უნდა გამართულიყო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მაშინ დარეკა და მითხრა:

— ახლა ამაზეც უარი არ თქვა, უთხარი შენს ქმარს, ოცდახუთი კარგი ბილეთი მჭირდება (ჩემი მეუღლე იმხანად ფილარმონიის დირექტორად მუშაობდა).

— ამაზე უარს არ გეტყვით, დეიდა ელია, — მაშინვე დავაიმედე.

— ტოჟე მნე პლემიანიცა, — მომესმა მისი სიცილი ყურმილში. [illegible] ვიგრძენი, რომ შემირიგდა.

ქალბატონი ელენეს უეცარი სიკვდილის მერე, ბევრჯერ მიფიქრია, რატომ გავჯიუტდი, რომ ვუთხარი მაღალაშვილს უარი პორტრეტის დახატვაზე, მაგრამ ჭირვეულობით არ მომივიდა, მაშინ მართლა ძალიან დაკავებული ვიყავი.

### ბატონი ლევან გოთუა

1942 წლის ზამთრის მიწურულს, თბილისის ქუჩებში აფიშები გაჩნდა, რომ ახლო მომავალში, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში წარმოდგენილი იქნება ლევან გოთუას დრამა — „მეფე ერეკლე“.

იმ დროს ფრონტიდან არც თუ სასიამოვნო ცნობები მოდიოდა. ადამიანები გაზეთებს და რადიოს იყვნენ მიჩერებულნი, დღე არ გავიდოდა, ათობით დაღუპულთა შეტყობინება არ მოსულიყო ფრონტიდან. ისე იყო ყველა დადარდიანებული, შეშფოთებული, ხალხი ხმამაღლა ლაპარაკსაც ერიდებოდა.

გახშირდა ქუჩებში ძაძით შემოსილი ქალების რიცხვი.

და აი, ასეთ დროს პრემიერის ჩვენება თითქოს უადგილოც იყო. მაგრამ არა, სპექტაკლი სწორედ დროული გამოდგა. მაყურებელმა შინაგანად იგრძნო, რომ სულის ასამაღლებელს, იმედის შთამაგონებელ რაღაცას იხილავდა და დაიძრა ხალხი საყვარელი თეატრისკენ.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ თეატრის წამყვანი მსახიობები, მთელი თაიგული, ქართული თეატრალური ხელოვნების მშვენება.

მეფე ერეკლე — ვახო გოძიაშვილი.

პაატა ბატონიშვილი — შალვა ღამბაშიძე.

ანა, პაატას შვილი — ვერიკო ანჯაფარიძე.

ბესიკი — სერგო ზაქარიაძე.

საიათ-ნოვა — გიორგი შავგულიძე.

ბერუჩა წავკისელი — ალე ომიაძე.

სოლომონ ლიონიძე — დავით ჩხეიძე.

ანტონ კათალიკოსი — მიხეილ სარაული.

აზატ-ხანი — კოტე დაუშვილი.

დავით სარდალი — მიშა მგელაძე.

აზატ-ხანის აშუღი — სამო გომელაური.

მონაწილეობდნენ აგრეთვე: ლეო შატბერაშვილი, ავთო ვერულეიშვილი, ირაკლი კოჭრაშვილი და სხვები.

დადგმა განახორციელა ვახტანგ ტაბლიაშვილმა, მუსიკა დაწერა არჩილ კერესელიძემ, მხატვრულად გააფორმა ლევან ჰუბაბრიამ, სპექტაკლის წამყვანი იყო პეტრე გრუზინსკი.

დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებლებით.

პირველი ტაში, როგორც კი აიხადა ფარდა, სცენის გაფორმებამ მიიღო, მერე გოძიაშვილის გამოჩენას მოჰყვა და სულ ასე გუგუნებდა დარბაზი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ანჯაფარიძის და ზაქარიაძის დუეტმა სცენაში — სევდის ბაღში. გიორგი შავგულიძემ დიდი ლაზათი შემატა სპექტაკლს, ერეკლეს მოწოდებამ ბრძოლის წინ ხომ რაღაც აუწერელი ცეცხლი დაანთო, ფეხზე ისე წამოიჭრა მაყურებელი, — იფიქრებდი, ახლავე მიემართებიან ბრძოლის ველისკენ.

დასრულდა წარმოდგენა. მაყურებელთა შეძახილებითა და ტაშით ზანზარებდა დარბაზი. სცენაზე გამოეფინა მთელი დასი და სპექტაკლის ავტორები. ყველაზე ბოლოს გამოჩნდა ბატონი ლევან გოთუა, აღელვებული, ბედნიერი და გაფითრებული იდგა, ისიც ტაშს უკრავდა მადლობის ნიშნად მსახიობთა ოსტატობას, მაყურებლებს...

როგორც იქნა, ქუჩაში გამოვედით. გვიანი იყო, ოდნავ სციოდა, ციოდა, თანაც ქალაქში ხომ საკომენდანტო საათი იყო დაწესებული, მაგრამ ადგილიდან ფეხს არავინ იცვლიდა, მსახიობების, რეჟისორის, კომპოზიტორის და მხატვრის გამოჩენას ელოდებოდა ხალხი.

კარგა ლოდინის შემდეგ, გამოჩნდნენ ყველანი.

ხალხმა მათ ისევ ტაში შეაგება.

მოულოდნელად ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო, — „ქართველო ხელო ხმალს იკარ...“ თაყვანისმცემლებმა უმალვე აიტაცეს სიმღერა მსახიობებთან ერთად და დაიძრა სიმღერის უზარმაზარი ტალღა.

მე აქ დოკუმენტურად აღვწერე იმ საღამოს რაც მოხდა, მაგრამ განა შეიძლება იმის გადმოცემა, როგორ კითხულობდა სერგო ზაქარიაძე „ტანო, ტატანოს“... ან იმ სცენის მოტანა, გიორგი შავგულიძეს რომ მიჰყავდა, ან იმ ანთებული თვალების ელვარება, მეფე ერეკლეს — ვახო გოძიაშვილს რომ ჰქონდა, თავის ხალხს, თავის მხედრებს რომ მიმართავდა ბრძოლის წინ?!.

დიდი დრო არ გასულა და სპექტაკლი მოხსნეს, რაკილა მისი ავტორი ციმბირის გზაზე დააყენეს...

გავიდა წლები... ბატონმა ლევანმა მოიხადა „სასჯელი“, თბილისში დაბრუნდა და ერთხელ მწერალთა კავშირში შემხვდა. მე მას მაშინ პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გულმა ვერ მომითმინა და მივედი მასთან. ის ბაღში იჯდა, რაღაც ჟურნალს ათვალიერებდა.

— ბატონო ლევან... დიდი ხანია ვაგროვებ თეატრისა და კონცერტების პროგრამებს. მაქვს თქვენი „მეფე ერეკლეს“ პროგრამაც. თქვენ თუ არ შემოგრჩათ, არ დამენანება, სიამოვნებით მოგართმევთ. ღმერთმანი, სანამ ვიცოცხლებ, არ დამავიწყდება იმ პრემიერის საღამო...

ბატონი ლევანი წამოდგა, ღიმილით შემომხედა (საოცარი ღიმილი იცოდა), ხელზე მაკოცა და ძალიან ხმადაბლა მითხრა, თითქოს ცდილობდა სხვას არ გაეგონა ნათქვამი, არადა, ბაღში ჩვენს მეტი არავინ იყო.

— დაზღვეული ხომ არა ვარ... რა ვიცი, რა შეიძლება დამემართოს, თქვენ გქონდეთ ის პროგრამა, დამდეთ პატივი.

...მერე, მოგვიანებით, გამომცემლობა „საქართველოში“ შევხვდით, „გმირთა ვარამს“ სცემდა, ხშირად მოდიოდა, კორექტურას თვითონაც კითხულობდა. ერთხელ, მოულოდნელად გადმომილაპარაკა:

— „მეფე ერეკლეს“ პროგრამას ისევ ინახავთ?

— რა თქმა უნდა, ბატონო ლევან.

— მომიტანეთ, ალბათ შეუყვითლებული იქნება დრო-ჟამის გამო, მინდა ერთხელ კიდევ ვნახო.

მართლაც, მეორე დღეს მოვიტანე პროგრამა. შესვენებაზე მოვიდა. ყველა რომ გავიდა და მხოლოდ სამნი დავრჩით — ბატონი ლევანი, ნათელა და მე, მივაწოდე პროგრამა. მაგიდაზე დადო, ხელი სათუთად გადაუსვა და უცებ ცრემლმორეულმა ფანჯრისკენ გაიხედა. მაშინვე დამიბრუნა პროგრამა და მადლობა მითხრა, აქამდე რომ ვინახავდი.

მოგვიანებით მისი ექვსტომეულის რედაქტორობა დამევალა. სიყვარული არ დამიკლია მისი ყოველი სტრიქონისთვის. ოთხი ტომი ჩემი ხელმოწერით გამოვიდა, მერე მე წამოვედი გამომცემლობიდან და ორ ტომს სხვამ უპატრონა.

გული მწყდება, რომ იმ ექვსი ტომის გამოცემას ვერ მოესწრო ბატონი ლევანი, უფრო მეტად კი იმაზე, რომ ლევან გოთუა ვერ მოესწრო დღევანდელ საქართველოს, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს, რასაც მან შესწირა მთელი თავისი ცხოვრება და რასაც მიუძღვნა ყველა თავისი რომანი, მოთხრობა თუ წერილი.

### ნანული ქებურია

იგი დარჩა ჩემს მეხსიერებაში (მისი ქალიშვილობის გვარია ფიცხელაური) პოეტად, მეოცნებე ქალად, კეთილ და გულთბილ ადამიანად... სამწუხაროდ, არ იყო სვებედნიერი. ბევრი სარგებლობდა მისი სიკეთით, ეს იცოდა მან, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა, უკვე ჩემი გადაკეთება ძნელია და არცა ვცდილობ რამე შევცვალო ჩემს ხასიათშიო.

ერთად ვმუშაობდით. ოღონდ სხვადასხვა განყოფილებებში. როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა, ჩვენთან მორბოდა, მხატვრული ლიტერატურის რედაქციაში. თავის ლექსებს არასოდეს არ გვიკითხავდა, სხვისი სტრიქონების გახსენება კი უყვარდა, განსაკუთრებით ვაჟასი და გალაკტიონის. უყვარდა ბარათაშვილის „ცისა ფერს...“, უყვარდა ცისფერი, ლურჯი, თეთრი ფერი. ხშირად უთქვამს, რა იქნებოდა, „ცისფერი თვალები მქონოდაო. თვითონ ლამაზი, ნაღვლიანი თაფლისფერი თვალები ჰქონდა და ძალიან შვენოდა. ტანმორჩილი იყო, კოხტა, გემოვნებით იცვამდა და საერთოდ უყვარდა ხელგაშლილი ცხოვრება, თუმცა ღმერთმა ესეც გამოაცალა, მით უფრო იმის შემდეგ, რაც წამოვიდა ოჯახიდან... და ის კეთილი გულიც დაუმსხვრია, საავადმყოფოში სხვის ხელში დალია სული...

მიკვირს, კომპოზიტორებმა მის სტრიქონებზე მუსიკა რომ არ დაწერეს, სიმღერებად რომ არ დააფრქვიეს ხალხში.

მე თუ სიცოცხლეს ხიდივით
შევრჩი,
თუ ქვეყნის ტკივილს ვიტევ,
ეს იმიტომ, რომ თქვენა ხართ
ჩემში,
სხვა რა ვინატრო კიდევ.

ჩემს ნაკვალევზე ივლით
გზადაგზა,
ალბათ წესია ასე...
მე ამ ქვეყნიდან წავალ
ლამაზად,
თქვენზე ოცნებით სავსე.

ეს ლექსი ნანულიმ შვილებს მიუძღვნა.

ლირიზმით აღსავსეა უსათაურო ლექსი:

რად მომენატრე ასე საოცრად?!
გულო იყუჩე, ნუ გადირევი!
როგორ დაკარგავ შენ ჩემს
სალოცავს,
როგორ დაკარგავს წყაროს
ირემი.

მე ვერც ამ სტრიქონებს დავივიწყებ:

სიცოცხლეზე მეტად, თვით
სუნთქვაზე მეტად, —
გიგულე და სულში, დგახარ
ნათლის სვეტად.
გულს არც ტრფობას უშლი,
არც დუმილით კეტავ!
რად მიყვარხარ ერთი
ყველაფერზე მეტად?—
მათქმევინა შენთვის, ნეტავ,
ნეტავ, ნეტავ...
ლურჯი მთების ზემოთ, კვლავ
სიმღერას ჩემობ,—
საქართველოვ, ჩემო,
სიცოცხლეო ჩემო!

აგერ, სხვა ლექსი — „კესანე“:

რა ლამაზი ხარ, ჩემო კესანე,
რა უცნაური ფერები გადევს,
რა ვქნა, რა გიყო, შენი
კვნესამე,
თუ მირჩევნიხარ ჭრელჭრულა
ვარდებს.

აუღელვებლად არ შეიძლება წაიკითხო მისი ლექსი „მე ის წვეთი ვარ ზღვისა“.

მე ის წვეთი ვარ ზღვისა,
ის ნაპერწკალი ცეცხლის,
შენი ვარ, განა სხვისა,
ეს გულიც შენთვის მეწვის.
ხან ნაწილი ვარ ივრის,
ხან მტკვრის ნაწილი ციდან,
სითბო ვისესხე იელის,
სიწმინდე დამყვა ციდან.

ნანული ქებურიამ სიცოცხლეში მხოლოდ ორი პატარა წიგნის გამოცემა მოასწრო, მაგრამ ლექსების რაოდენობით ცხადია არ განისაზღვრება პოეტის ნიჭის დონე...

ამ რამდენიმე წლის წინათ ქალები ყვავილებით ავედით საბურთალოს სასაფლაოზე. ვაგლახ, რომ ვეღარ ვიპოვეთ ნანულის საფლავი. ვიარეთ და ვიარეთ და ბოლოს ვიღაც ახალგაზრდის საფლავზე დავდეთ მის სახელზე მიტანილი ყვავილები...

ესეც მისი უიღბლობაა... იქნებ ამ პატარა გახსენებამ, ოდნავ მაინც გაახაროს მისი დანაღვლიანებული სული... ნეტავი!..

### შოთა ჩანტლაძე

გამომცემლობა „საქართველოში“ მუშაობისას შოთა ჩანტლაძე დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე. თავის თანაკურსელთან მოდიოდა — ნათელა ინასარიძესთან. ნათელაც არ არის სიტყვაუხვი მოსაუბრე, მაგრამ შოთა თურმე მთლად სიტყვაძვირი ყოფილა. იჯდა ნათელას გვერდით, ზოგჯერ თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს რაღაცას. ის მუშაობდა, შოთა გაზეთებს ათვალიერებდა, კითხულობდა მდუმარედ...

ერთხელაც, შემთხვევით თვალი შევასწარი, როგორ დაუდო გაზეთზე ნათელამ ხუთმანეთიანი. შოთამ ფული სწრაფად ჯიბეში შეინახა, დაგვემშვიდობა და წავიდა.

ნათელამ დაინახა, რომ მე მოწმე გავხდი უნებურად ამ სცენის და მორიდებით მითხრა:

— რა ქნას, უჭირს, არ მუშაობს, სამუშაო ვერ იშოვა. ნაკლებადაც იბეჭდება, პაპიროსის ფული მაინც ხომ უნდა, კაცია თავმოყვარე... იმ ფულს კი სესხად რომ იღებს, მიბრუნებს, როგორც კი მიეცემა ხოლმე საშუალება...

ჩვენი ლაპარაკის ბოლოს შემოგვისწრო ჯანსულ ჩიქაბაძემ. ლამის იტირა, ეს როგორ, შოთას, მისი ლექსების პატრონს, რატომ უნდა უჭირდესო.

—რას იზამ, ეგეთ ხალხს უჭირს ცხოვრება, — თქვა ნათელამ და მაშინ გადავწყვიტეთ, რომ შოთასთვის ლექსები გამოერთმია ნათელას, რომლებსაც ჯანსული სადმე დააბეჭდვინებდა.

ასეც მოხდა, ლექსები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა.

გახარებულები ვიყავით ნათელა, ჯანსული და მე, მოუთმენლად მოველოდით შოთას გამოჩენას, გვაინტერესებდა, რას იტყოდა.

მართლაც, კვირის ბოლოს მოვიდა: ჩვეულებისამებრ ქათქათა პერანგში, კოხტად დავარცხნილი. ღიმილით მისჩერებოდა ნათელას და ხელში გაზეთი ეჭირა.

ჯანსულმა თქვა:

— რა კარგია, რომ მოხვედი, ჰონორარი მაქვს აღებული და წავიდეთ, ერთად ვჭამოთ პური.

— დღეს მეც მაქვს აღებული ჰონორარი და უარი არ მითხრა, ჩემი სტუმარი იქნები.

— რაკი პირველმა მე დაგპატიჟე, დღეს მე ვიქნები მასპინძელი, ეგ ჰონორარი შეინახე და მეორედ რომ მოხვალ, კი, ბატონო, შენი სტუმარი ვიქნები.

შოთას ჩაეცინა, ღიმილით შემოგვხედა:

— ეე, შოთა ჩანტლაძეს ფული შესანახად რომ უჩერდებოდეს ჯიბეში, მისთვისაც კარგი იქნებოდა, მაგრამ არ არის ის ამის კაცი... — წამოდგა, ჯანსულს მხარზე ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა, — კაცი ყოფილხარ! —ეს თქვა და კარზე მიანიშნა, ჩვენ თავი დაგვიკრა და გავიდა.

— რა ხალხია, ვიღაცამ უთხრა რედაქციაში, რომ ლექსები მე მივიტანე, — გაბრაზდა ჯანსული.

— წადი, გელოდება, — ვუთხარი და ხელი ვუბიძგე კარისკენ.

ისე გალაღებული, იმ დღეს რომ იყო ნათელა, სხვა დროს არ მინახავს. უხაროდა, რომ შოთა იმ დღეს ბედნიერი იყო.

—კაცი კაცითაო, არა, ნათელა?

— ეგრეა, ეგრე, ჩემო კარგო,

— თქვა ნათელამ და ხელი წაატანა გაზეთს, რომელიც შოთას დაეტოვებინა მის მაგიდაზე.

## თინათინ ქექია

# ორი მოთხრობა



### ბატონი ზღარბი

ზარი. შვიდი გრძელი, წკრიალა ხმა. წაბლის ხის მაგიდა. თეთრი, თეთრი ტელეფონი. წიგნებით ავსებული ოთახი. თაროები სიმძიმისაგან ჭრიალებენ. სტკივათ. ეტკინებათ — წიგნები მძიმეა. თაროები, ტანწერწეტა ნაძვები. წიგნები თვალუწვდენელი, მაღალი ფიჭვები. შორეული ტყის სურნელი, სოკოებით მოფენილი ველი. თაროები, ფესვებდაჭრილი ცაცხვები. წიგნები, ყელგამოჭრილი ჭადრები. ოთახში სევდიანი საღამო დაბორიალობს. მეზღაპრე წერს ზღაპარს მსახიობზე, რომელსაც ყველაზე, ყველაზე ძალიან ამ ქვეყანაზე ბავშვები უყვარს.

ზარი, შვიდი გრძელი, წკრიალა ხმა.

— ალო, გისმენთ.

— იცით, მე მინდოდა ამბავი მომეყოლა ზღარბზე, რომელსაც ბავშვობაში ვიცნობდი.

— დიახ, მაგრამ მე ახლა სრულებით არ მცალია.

— იცით, ის ზღარბი ჩემი მეგობარი იყო...

— როგორ!..

— ისე, მე ის არასოდეს არ მებურთებოდა და ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით, მინდოდა დაგეწერათ მასზე...

— მაპატიეთ, მაგრამ მე ახლა სხვა ზღაპარს ვწერ...

— იცით, ის ისეთი ზღარბი იყო, მე მას ძალიან ვუყვარდი, ის წაბლისფერი იყო და...

— უნდა გითხრათ, რომ ხელს მიშლით, მაგრამ... აბა, მითხარით რა ერქვა მას. უფრო სწორად, თქვენ რას ეძახდით მას?

— მე მას ბატონ ზღარბს ვეძახდი...

— მერე და ეს ხომ სახელი არ არის.

— რა მოხდა, მას ასე მოსწონდა, ის კი არა, ხან ვატყობდი, როგორ უნდოდა ჩაეცინა ულვაშებში, მაგრამ არ გამოსდიოდა, ის ხომ ზღარბი იყო... ბოლოს მან მაინც ისწავლა გაღიმება...

— როგორ, მას ულვაშებიც ჰქონდა? შეუძლებელია თქვენ ის დაგენახათ...

— აჰ! ეს ძალიან ადვილი იყო, რადგან ის უცებ მომენდო, ხომ გითხარით, არ იბურთებოდა-მეთქი. ჰოდა, როცა ზღარბი არ იბურთება, თვალებიც უჩანს და ულვაშებიც...

— მოიცათ, მოიცათ, მერე, მერე, თქვენ ისეთი სევდიანი ხმა გაქვთ, რა მოუვიდა იმ ზღარბს?

— აჰ! ეს ძალიან სევდიანი ამბავია. ის მარტო ცხოვრობდა სხვა ზღარბებისგან განსხვავებით. მე მასთან ვაშლები მიმქონდა გვიან შემოდგომამდე. მერე, მოგეხსენებათ, ისინი იძინებენ, მაგრამ მან მთხოვა შინ წამეყვანა.

— როგორ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ის...

— დიახ! ის მელაპარაკებოდა... თითქმის.

— რას ნიშნავს „თითქმის“?

ჩვენ ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, ბებერი წაბლის ძირში, სადაც ძველი ჭა იყო. მას იქ ჰქონდა სახლი, ბზის ბუჩქის ქვეშ, ბზა წაბლის ხისგან ორი მეტრის იქით იდგა, ზედ ძველი ჭის თავზე. ის მესაუბრებოდა. მე მას ვუხსნიდი, რომ უკვე ყინვები დაიწყებოდა და ჯობდა დღესვე წამოსულიყო ჩემთან. მან დამრგვალება დაიწყო, მერე გადმოტრიალდა რამდენჯერმე, მომიახლოვდა თუ არა, გაიშალა და თავისი მოყავისფრო ულვაშიანი ტუჩები ხელებზე მომადო. მე ის ავიყვანე და ჩვენ წამოვედით სახლში, საღამომდე ყველაფერი კარგად იყო. ის მიყვებოდა თავის მეზობელ მწითურ ციყვებზე, წაბლის ხეზე მცხოვრებ შავი შაშვების ოჯახზე და ლურჯ ჩრდილზე, რომელიც წაბლის ხეს ჰქონდა დილაობით, რადგან მას ცის ქუდი ახურავსო, ამბობდა ზღარბი, მე მას ვუთხარი: ცა შორს არის მეთქი, მან მითხრა: მე ამას ვერ ვგრძნობ, რადგან საღამოობით ვარსკვლავები ზედ წაბლის კენწეროებზე სხდებიანო.

ის იღიმებოდა და ულვაშებქვეშ ოდნავ ემჩნეოდა ღიმილი. ძალიან უხდებოდა. მერე ჩვენ დავიძინეთ, მან ჩემს საწოლთან ხალიჩაზე მოიკალათა. მე მინდოდა ჩემთან ჩამეწვინა, მაგრამ მან ისე ჩაიფრუტუნ-ჩაიღიმილა, მე მერელა შემოვკარი ტაში, აბა, ასე ჩხვლეტია, როგორ ჩამეწვინა ლოგინში და...

— და რა მოხდა მერე?

— მერე?..

— დიახ, მერე, თქვენ ხომ თქვით, ყველაფერი კარგად იყოო, რა უნდა მომხდარიყო...

— არ ვიცი, არ ვიცი, რა არ მოეწონა ან რა მოხდა ისეთი, მე თავიდანვე ეჭვი მქონდა.

— იტყვით თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რა მოუვიდა ზღარბს?..

—საქმე ისაა, რომ ძილ-ღვიძილში... დავინახე და ვიგრძენი, როგორ იქცა ზღარბი კაცად, რომელსაც ულვაშები და ძალიან საყვარლად გაბურძგნული წვერი ჰქონდა. ის მომიახლოვდა. მე დავინახე თვალები, რომლებიც დიდი სიკეთით იყო სავსე და ლაპარაკის დროს სასაცილო პატარა ჭინკები უხტუნავდნენ შიგ. მან მე მთხოვა ვყოფილიყავი კეთილი ჯადოქარი, მყვარებოდა ცხოველები და მცენარეები. მე პირობა მივეცი. ოთახში საოცარი იისფერი ბინდი ჩამოწვა, მე ქუთუთოები დამიმძიმდა. ის გაქრა, ძილში ვიგრძენი, როგორ მომადო ტუჩები ლოყაზე. არ შეიძლებოდა ეს ყველაფერი მომჩვენებოდა, რადგან, როცა მაკოცა, აშკარად ვიგრძენი, როგორ დამჩხვლიტეს ეკლებმა. ეეე! მეზღაპრევ, მისმენთ? სადა ხართ? მითხარით რამე. საინტერესოა რატომ გიყვებით ამას მხოლოდ თქვენ, ქალაქში ხომ კიდევ არიან მეზღაპრეები. ალბათ იმიტომ, რომ თქვენ ჯერ არ დაგიწერიათ ზღაპარი ზღარბზე? ხომ ასეა? მითხარით.

— დიახ. მე არ დამიწერია ზღაპარი ზღარბზე, მაგრამ თქვენ საიდან ამტკიცებთ, რომ ის გოგონა ხართ? მინდა ვიცოდე, ნუთუ მართლა თქვენა ხართ?

— მე ვარ და სულ უბრალოდ დაგიმტკიცებთ ამას. ხვალ დილით, დღის თორმეტ საათზე ფანჯარა ღია დატოვეთ, მე ვიქნები ჭიამაია და დავფრინდები იმ ყვავილის ფოთოლზე, რომელიც თქვენ უცნობმა ქალმა გაჩუქათ, მაგრამ უკვე ვეღარ ვიქცევი იად, რადგან ის ძალა, რომელიც მაშინ გადმომეცით, მთლიანად გამომელია. მე გთხოვთ ჭიამაია იმ ყვავილის ძირში დაასაფლავოთ, რადგან ხვალ იქნება მისი სიცოცხლის ბოლო დღე. ჭიამაიები ხომ ცოტა ხანს ცოცხლობენ. მშვიდობით, მეზღაპრევ, ნუ დაივიწყებთ დიდი წაბლის ხის ლურჯ ჩრდილს, სადაც შავი შაშვები გალობენ, ნუ დაივიწყებთ ცას და ვარსკვლავებს, რომლებიც მაშინ ისე ახლოს იყვნენ, რომ პირდაპირ წაბლის კენწეროდან შეიძლებოდა შეხება. მშვიდობით, მეზღაპრევ.

განწყვეტილი შორეული ხმა. ოთახში სევდიანი, იისფერი საღამო დაბორიალობს. მეზღაპრე იგონებს კეთილ ჯადოქარს, რომელიც ოდესღაც თვითონ იყო.

მშვიდობით, მეზღაპრევ!..

### ცისფერი ქოლგები ოც კაპიკად

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, როცა ვიყავი თექვსმეტი წლის და როცა ძალიან, ძალიან მიყვარდა წვიმაში სიარული, მქონდა ცისფერი და ცასავით გამჭვირვალე კაბა. ჩვენ ვცხოვრობდით პატარა ქალაქში და ზაფხულის წვიმებში ვიზრდებოდით, როგორც ნერგები, ვიშლებოდით ნელ-ნელა, როგორც გეორგინების ფურცლები, ვიყავით ფერადები და არც ერთი არ ვგავდით ერთმანეთს, ეს იყო მაშინ, ზუსტად მაშინ, როცა ჩვენთაგან არც ერთს არ სჭირდებოდა ქოლგა, ის კი არა, არც ვიცოდით ქოლგების არსებობა.

ერთხელ, დიდ ფრთებფათქუნა წვიმას წიგნების მაღაზიაში შევასწარით, ვითომ სხვების დასანახად, რადგან თუ ცოტას არ მოვატყუებდით ცნობისმოყვარეებს, საიდან დაიჯერებდნენ, რომ ჩვენ სულაც არ გვინდოდა არსად თავის შეფარება, რომ გვერჩია ასე გვევლო თბილ გუბეებში გაწუწულებს, გახარებულებს, რომ ჩვენ მართლა ვიზრდებოდით დიდი წვიმების დროს.

დიახ, ვითომ მოვატყუეთ ცნობისმოყვარეები, კირკიტები, წესრიგის მოყვარულები და შევცვივდით წიგნების მაღაზიაში ცოტა ხნით, რომ ახლა აქედან გვეთვალთვალა და მოვფერებოდით წვიმას, რომელიც თანდათან სხვადასხვაფრად მოსრიალდებოდა, როგორც ცის საოცრება დედამიწაზე, როგორც ყვავილების ბედნიერება. გაზონებში ჰორტენზიის ბუჩქები ბანაობდნენ და შაბიამნისფრად ელვარებდნენ, იასამნები ლივლივებდნენ ყვითლად, ლურჯად, შინდისფრად. ვიტრინებზე თამაშობდნენ დიდი წვეთები, ერთმანეთს ეწეოდნენ, მრგვალდებოდნენ, უფრო დიდდებოდნენ და ისევ იშლებოდნენ პატარ-პატარა წვეთებად, წვეთებში ცა ჩანდა, ამიტომ ყველა წვეთი ცისფერი იყო, ზოგიერთს კი შიგ ვარსკვლავიც ეხატა. ისინი ხომ ცის მოგზაურები იყვნენ დედამიწის სანახავად მოსულები, ხვალ მზე მოვიდოდა და ისევ უკან წაიყვანდა ყველას, ზოგს ფუშფუშა დედა ღრუბელზე დასვამდა, სხვებს გამჭვირვალე ნისლებზე ჩამოასკუპებდა და მთების დახალაშქრად გამგზავრებდა.

უცებ წასასვლელად მობრუნებულებს ვიღაცის ხმა დაგვეწია:

— მოიცათ, ბავშვებო, მოიხედეთ, შეხედეთ, როგორ წვიმს. არ გინდათ ცისფერი ქოლგები ოც კაპიკად?

ჩვენ მოვიხედეთ. ის იყო მაღალი თეთრულვაშა მოხუცი, მაგრამ ქოლგები? სად იყო ქოლგები? თან ცისფერი ქოლგებიო, მერე ყველამ ერთად მივაძახეთ: — აბა, ცისფერი ქოლგები?

მან პატარა, დახატული ქოლგები გვაჩვენა, ეს იყო ხელისგულისოდენა, თითქმის ფრთებგაშლილი ჩიტისხელა პაწია წიგნი, რომელსაც ყდაზე ცისფერი ქოლგა ეხატა. ყველას გაგვეღიმა და მე მივაძახე:

— ჩვენ ქოლგები არ გვჭირდება, ჩვენ წვიმა გვინდა.

— რა თქმა უნდა, — თქვა მან, — წვიმა ჯობია, მაგრამ „ქოლგა განა წვიმისაგან დასაფარავად არის საჭირო, ქოლგა იმისთვის არის, წვიმის ხმას უსმინო“. და იცით, ცისფერ ქოლგაზე როგორ ცეკვავს წვიმა? ეჰ! თქვენ არ იცით. — და მან სევდიანად გაგვიღიმა.

და ჩვენ ყველამ ვიყიდეთ ცისფერქოლგიანი წიგნი ოც კაპიკად რა თქმა უნდა, მოხუცის ხათრით. სხვებმა ჩქარ-ჩქარა ამოიღეს ოცკაპიკიანები და დაიტაცეს. სულ ბოლოს მე ავიღე და მაშინვე წვიმის სურნელი ვიგრძენი. აი ისეთი, როცა მზე პირს იბანს, ყვავილები კი მიწას ულიტინებენ ფეხებით, ფოთლებს აშრიალებენ, უთხარი, უთხარიო, ეხვეწებიან დედამიწას, ის კი ვითომ ძალიან შეწუხებული ეუბნება: ცოტა ხანს კიდევ დაიბანე, მზეო, შენი ნაბანი წყალი ყვავილებს ოქროსფრად აბრწყინებს, პატარა გოგონებს კი ოქროს თმები ეზრდებათ. თან კი ძალიანაც მოსწონს, რომ ულიტინებენ. აბა, რა უნდა იყოს ამაზე კარგი, როცა ლურჯი ია გიცაცუნებს პაწია ფეხებს, კესანეს ფესვი კი კესანეს ეჩურჩულება, ცოტა თავი მოაწონე, ნუ ხარ მორცხვი, იქნებ, ცოტა მეტი ოქროს წვიმა გამოიმეტოს მზემ. ან კიდევ აივნებიდან გამოპარული ვარდისლოყება გოგონები როგორი მონდომებით ატყაპუნებენ გამჭვირვალე გუბეებში ფუმფულა ფეხებს. აჰ! ნამდვილად მოსაჩვენებლად წუხდება დიდედა დედამიწა...

და მე თვალები გავახილე, როცა გამოვერკვიე, გოგონები უკვე ქუჩაში იყვნენ. დავეწიე, ყველანი შევაჩერე და ვუთხარი: აი, ნახეთ, ყველამ ასწიეთ მაღლა ცისფერქოლგიანი წიგნი. მე დავითვლი შვიდამდე და ნახეთ თუ ცისარტყელა არ გამოჩნდეს-მეთქი, თან დათვლა დავიწყე, ვერც მოვასწარი მეთქვა „შვიდი“ და... ცისარტყელაც გამოჩნდა. ეს იყო სასწაული, გამოჩნდა კი არა, მთელ ქალაქს გადაეკრა, ძალიან დიდი იყო, ძალიან დიდი. ყველამ მე შემომხედა, მითხრეს, ჯადოქარი ხარო, ტყუილად ვუმტკიცებდი მე კი არა, აი, ეს წიგნია ჯადოქარი, ამ ცისფერქოლგიანმა ჩაიდინა ეს ულამაზესი ჯადოქრობა-მეთქი.

მერე ძალიან დავიღალე, წიგნიც ჩემთან ერთად დასველებულიყო. სახლში რომ მივედი, ბუხარში ცეცხლი დაანთო ჩემმა თეთრმა დიდედამ. მე და ცისფერი ქოლგა ერთად გავშრით. მერე დიდი სიცხეები მქონდა და არ მახსოვს ეს ყველაფერი. მითხრეს, როგორ მაბოდებდა და როგორ ვხტებოდი ლოგინიდან, თითქოს ცისარტყელაზე მინდოდა გამევლო, ვიხვეწებოდი, ხელი გამიშვით და ნახეთ, როგორ გავივლი-მეთქი. წიგნს არავის ვაძლევდი, რადგან ის ამბავი, ცისარტყელასთან დაკავშირებით, ნამდვილ ჯადოქრობას ჰგავდა და მაშინ ხომ მხოლოდ თექვსმეტი წლის ვიყავი.



მხატვარი ნანა ცინცაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი ლექსები

## ავთანდილ ხარაიშვილი

### 1991, 9 აპრილი, საჩხერე

ჰა, ამეტყველდა თეთრად ტყემალი,
ბიბლიურ ჟამის ჰყვავის ატამი,
ვერ ჩაგიმსხვრიეს ეგ ხერხემალი,
გადარჩენილხარ ნაგვემ-ნატანჯი.

აროდეს იყავ სხვისი შემყურე,
თუმცა გთელავდა წიხლი მათხოვრის;
აპარტყუნებდი დიდხანს გრძელ ყურებს,
უღელად გედგა ჯვარი მაცხოვრის.

შენ ჩრდილოელი ცივი პინგვინი
დიდხანს გმოძღვრავდა სულით სატანის
და სისხლიანი ეკლის გვირგვინის
აუტანელის, გახდი ამტანი.

დაუფლავს — ნიშნავს, თავად უფალი, —
ცაშია მისი სასუფეველი;
გახსოვს ფოლადის იბერ-თუბალი
მაღალ ცხენებზე ამხედრებული!..

### გალაკტიონი კახეთში

სიმართლე შერჩათ ხელში ვილაცებს,
როცა მგოსანი სიმწარით მღერის;
გამოათენებს ღამის ღრიანცელს
გალაკტიონი მეწამულ წვერით.

აჰა, მოძღვარი ფიქრებში ნახეთ, —
როგორც კალოზე ნამქერი ქერის...
გადაელვრება ნამთვრალევ კახეთს
ქართულ ლირიკის დემონის ფერი.

ძველთაძველ ერის მოდგამს დიდება...
ნესტანი მთვარეს მიუწერს წერილს...
ჰა, როგორც იქნა, ცა იწმინდება,
სულ სხვანაირი ქცევის და ცქერის!

### აპრილი, 1991

შენ ხარ აპრილი ჩუმი ოცნების
და ფოთოლთ ფრენა ფიქრიან ქარში,
ხარ სიყვარული ძველი მგოსნების
ვით ელვარება მოქნეულ დაშნის!
სული მოვარდნილ ავდარს ედრება, —
მღვრიე მდინარე დააჩრჩობს ზამთარს;
გამოზამთრებულ გულის ვედრება
შენი სურვილის ალმასებს ფანტავს.
ანათებს თმების ოქროცურვილი —
ძველიბერიულ ჯიშის და გორის,
ეს სიყვარული არის წყურვილი
და არც დაშრება წყარო ჩვენს შორის.

### უსახელო წლები

დღესაც მღერას არვინ მაცლის,
ვარ ყველასთან უკარება,
ვარ სიბნელე მწიფე ანწლის
და სამყარო უკარებო!
მახსენდება წლები მაწვნის,
თხის ყველი და თხა-ბროლია...
ახლა მაწონს ვინლა მაწვდის,
დარდად ის დრო წამყოლია.
ლიჩში დამრჩა ბროლი ქარი,
დათვები და მგლის ყმუილი,
გაღმა სერზე — გორიჯვარი
და შურდულით ქვის შხუილი.
მახსოვს კოლექტივის წლები...
კუზგამხმარი მამაჩემი...
დღეს იმ ცოდვებს, თუ არ ვცდები,
არ აქვს ზუსტი განაჩენი!

### საირხე

*ჯურხა ნადირაძეს*

მარადუქრობი წრის ცეცხლზე ვსხედვართ
და წრე დაწრეტილ წერტილთან მიდის;
რაში დაუბამს უდეგარ მხედარს,
წინ აწრიალდა გზა ბეწვის ხიდის.
წმინდა ვარსკვლავებს გულზე დავირხევთ,
გამონათებს გონება ხვალის;
დაუმარხავი ხარობს საირხე,
— ათასწლოვანი გაბრწყინდა თვალი.
მოვედინებით თავის თავიდან,
საფლავში მგონი ვიღაც ახველებს,
კოლხ-იბერიის სადაც ხმა იდგა,
იმ სიახლოვეს ქარი ახელებს.
„ისტორიაა ცხენი და ხრმალი“,
— პირში მოგახლის ახლაც მხედარი.
ხალიბმა ადნო ნერვები რვალის,
ის სამარეშიც მარად მხნედ არი!
მიწა მოძრაობს, მიწას არ ძინავს,
როცა აბრუნებს ერთ დროს უდროესს,
როს განძზე ცისკრის ცრემლი აცვივა,
ის მარგალიტებს გრიგალს უგროვებს.
ოქროს ვენახებს ოქროს დრო მორჩნის
და გადარჩენა ბედიღბლად ახლავს;
იბერთ ჯიშიან ცხენების ჩონჩხი
გორა-სამარხში ჭიხვინებს ახლაც.
მზენაყარი ხმის ყივის საყურე, —
აგერ, წარსული ერთ წამზე თურმე...
ჩვენ ჩვენი ოქროს პური გვაპურებს,
როცა აღმართი ამოყავთ ურმებს,
...ძლივს მილასლასებს სერზე ავსული,
ხვავრიელია ხაროს ხვრელები.
გაბრწყინებულა წმინდა წარსული
გაუხუნარი ხმის სიმღერების!

### გარდამოხსნა

საკუთარ თავთან ჟამი დგას მისვლის,
ან თვითმკვლელობა — შუადღის ჩრდილი;
შენი ღვთისმშობლის ნათელი გიხსნის,
როცა შენთვის ფქვავს შენი წისქვილი.

ამოფრენილა ირაო ორბის;
ცივ ციმბირის დათვს დაშიგნავს ეშმა;
გაშიშვლებული სამშობლო მორბის,
გადამირჩინა ნადირის გეშმა!

ვაჟა-ფშაველა არწივის კლანჭით
უმად მოგართმევს სისხლიან ლექსებს
და გარეული კერატის კანჭი
კვლავ გაიხსენებს ახალ წლის წესებს!

მთა დამაჯახებს ჯიხვებს და არჩვებს,
ოდეს დილის მზის მამალი ყინჩობს;
გახრჩვეს და... გახრჩვეს —
ვერ ჩამოგახრჩვეს...
და ვინც გახრჩობდა,
თავად თავს იხრჩობს!

### ნაწვიმარზე

ვით ნაწვიმარზე შაშვის გალობა,
მათრობდა შენი ძვირფასქალობა,
ვით ნაწვიმარზე ამოსვლა მნათის,
თან სველ ფოთლებზე სხივების ნართი, —
დაგმშვენდებოდა ცის სივრცის ფართი,
შუალამეში მთვარიან კვართით.
თაფლივით ტკბილი თვალების სითბო
უდარდელობის დროებას ითხოვს.
მე მესმის შენი თვალების ენა,
როს ახმიანებს სამრეკლოს ზენა,
მე ვიცი შენი სიტყვების ფერი,
მოფერებათა ფიქრების, ფრენის.
გამშვენებს შენი ენა ქართული, —
არც თურქულია
და არც სპარსული!

---

### პოეტის ერთი ლექსი

## ბადათერ არაბული

### მოვეფეროთ ერთმანეთს

ვიდრე დაგვიფენს ბედი გზაზე
მწარე ნარ-ეკალს
და ვიდრე ჩვენთვის
გამგზავრების ზარი დარეკავს...

ვიდრე საწუთროს გვილამაზებს
კვლავ მზე ნათელი,
ვიდრე ვიღაცას ვაგონდებით
და ვენატრებით...

ვიდრე გადუვლის უკუნეთი
დროს უნეტარესს,
მოვეფეროთ და გავუფრთხილდეთ
უნდა ერთმანეთს!

ვიდრე ვიღაცას ვუყვარვართ და
ვიღაცა გვიყვარს,
ვიდრე ქცეულა ვარდ-ყვავილი
ნარად და დიყად...

ვიდრე მნათობი დილის პირზე
ჩვენთვის ამოდის
და ვიდრე ჩვენთვის
მთვარეს იბნევს ცა საღამოთი...

ვიდრე აქა ვართ
და შორია კიდევ ლეთამდე,
მოვეფეროთ და გავუფრთხილდეთ
უნდა ერთმანეთს!

---

## დაბრუნებული თემა

ქართულ მწერლობაში საკმაოდ თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი მეორე მსოფლიო ომის თემა. თავის დროზე ჩვენმა ლიტერატურამ არაერთი საინტერესო ნაწარმოები მიუძღვნა მეოცე საუკუნის ამ უდიდესი ტრაგედიის ასახვას; ერთი შეხედვით, თითქოს სათქმელი უკვე ითქვა და თემაც ამოიწურა, მითუმეტეს, დროც სხვა მხრისკენ მიგვაქანებს, მაგრამ, როგორც ჩანს, წერტილი ჯერ არ დასმულა, ჯერ კიდევ იწერება მეორე მსოფლიო ომის თემაზე, თანაც იწერება, — ესაა უპირველესად საგულისხმო, — სახელოური კონიუნქტურის ნამსხვრევებზე.

ხწორედ ამ კუთხით არის საინტერესო ომარ გოჩელაშვილის ახლახან გამოცემული რომანი „ჟამი წარღვნისა...“ (საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამოცემა, 1991 წ., რედაქტორი — გ. ბუხნიკაშვილი).




ამ წიგნის მკითხველი თავიდანვე მოულოდნელობას აწყდება: ამბავი თორმეტი წლის გოგონას თვალთახედვითაა გადმოცემული, პატარა ლიას ცნობიერებითაა წარმოდგენილი და დახატული ქართული სოფლის ყოფა-ცხოვრება ომის პერიოდში. ავტორი ცდილობს ბუნებრივი, ბავშვური გულუბრყვილობით, მაგრამ რეალისტურად გადმოსცეს ნაწარმოების სიუჟეტი, დახატოს საგნები და მოვლენები, გარემო, გამოძერწოს პერსონაჟთა სახეები...

რომანისათვის დამახასიათებელია ლაღი, თავისუფალი თხრობა და პოეტური გამომსახველობა. საგანგებოდ დახატული მდინარე ჩანჩქერა, რომელიც ზაფხულობით ახალგაზრდობის „საგრილო და თავშესაქცევი“ ადგილია, თხზულებაში შემოდის როგორც სიმბოლური სახე და შინაარსით იტვირთება. რომანის მთავარ პერსონაჟს ლიას ესიზმრება, რომ „მთელი სოფელი შემოტბორილა ჩანჩქერას ტბასთან“, მაგრამ „ეს ჩანჩქერა კი არა, სულ სხვა მდინარეა... ზვირთდება, ბორგავს, ღრიალებს, ლოდებს მოახრიალებს, მოიგრაგნება და ყველას შთანთქმას გვიპირებს...“. სიზმარეულად წარმოსახული „სულ სხვა“ ჩანჩქერა ომის უბედურების მაუწყებელ სახე-სიმბოლოდ იქცევა ნაწარმოებში...

ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს ორტოტა ბროწეულის ბუჩქის სიმბოლო — ციცინოსა და უშანგის სახე-ხატება. ისეტყვება და ხმება ბროწეული — იღუპებიან ციცინო და უშანგი...

პერსონაჟთა ენობრივი ქსოვილი დაფუძნებულია ერთ-ერთ ქართულ დიალექტზე, მაგრამ ზომიერება დაცულია, ზედმეტად არ სცილდება ზოგადქართულს, ყველაფერი ნათელი და გასაგებია.

ბიბი ბეწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვის ფერწერის დიდოსტატი

სერგი ჭილაია



მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის კანონიერი მემკვიდრე-გამგრძელებელია. ამ საუკუნეში ჩვენს მწერლობას მისცა რამდენიმე კლასიკოსი, რომლებმაც გაამდიდრეს და განამტკიცეს წინამორბედთა შემოქმედებითი ტრადიციები. მათ შორის საპატიო ადგილი მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის.

მიხეილ ჯავახიშვილი იყო ქართული სიტყვის დიდოსტატი, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული ბელეტრისტი.

მიხეილ ჯავახიშვილი რეალისტია ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით:

„რაზე უფრო ვამყარებ სახეს, სმენაზე თუ თვალზე? — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, — უწინ ეს კითხვა სადავო არ ყოფილა, მხოლოდ ფორმალისტებმა და სიმბოლისტებმა წამოაყენეს იგი და პირველობა სმენას მიაკუთვნეს. ყველა გენიოსი მწერალი ჯერ სახეს და აზრს ხედავდა და მხოლოდ მერმე უფარდებდა მას მუსიკალურად გამართულ ფორმას. მხატვარი ღვიძლი ძმა არის მწერლის, კომპოზიტორი კი მეორე რიგის ნათესავია, მეორე რიგის დამხმარეა. მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ სიმბოლისტებმა და ნამეტნავ კი ანდრეი ბელიმ და მისმა მიმდევრებმა დიდი ზიანი მიაყენეს პროზას“. ჩვენ არ ვიქნებით მართალი თუ აქვე არ ვიტყოდით: ქართველმა მოდერნისტებმა გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ რობაქიძემ, ნიკოლო მიწიშვილმა... ლორთქიფანიძემ, ცისფერყანწელებმა ქართულ მწერლობას განვითარების ახალი გზა გაუკვლიეს, სიმაღლე მიანიჭეს ქართულ სიტყვას. ქართული მწერლობა ევროპული მწერლობის რადიუსით გამართეს. ჯავახიშვილი კი თავგამოდებით იცავდა რეალიზმის პრინციპს.

მიხეილ ჯავახიშვილმა ქართული მწერლობის კარი მოთხრობებით შემოაღო. მოთხრობა, როგორც პროზის ერთ-ერთი სახე XIX საუკუნის ქართული მწერლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. მ. ჯავახიშვილმა ეს ტრადიცია ახალ საფეხურზე აიყვანა.

1903 წელს მან სამსახურს თავი დაანება და მწერლობაში ბედის საძებნელად თბილისში დასახლდა. იმავე წლის ნოემბრის ერთ ღამეს, როგორც თვითონ ამბობს, „ჩანჩურა“ დაწერა. „ცნობის ფურცლის“ რედაქციას ძლიერ მოეწონა ეს მოთხრობა, დაბეჭდა თავის დამატებაში, ავტორი კი რედაქციის მუდმივ თანამშრომლად ჩარიცხა. ამას მოჰყვა „მეჩექმე გაბო“, „უპატრონო“, „ეკა“, „კურკას ქორწილი“...

მწერალმა ეს უპატრონო, ბუნებისგან დაჩაგრული, ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანები დახატა ჭეშმარიტი მხატვრის ფუნჯით. ისინი ყურადღებას იქცევენ, როგორც ტიპის ფსიქოლოგიური გამოხატვის საინტერესო და ორიგინალური ნიმუშები. ჩანჩურა — ეს ბიოგრაფიადაკარგული კაცია, რომლის სახელი, ეროვნება და წარმოშობა თვით უბნის პოლიციელისათვისაც გამოუცნობი დარჩა.

1903-06 წლებში გამოქვეყნებულმა მოთხრობებმა ერთბაშად მიიპყრეს ქართული საზოგადოებისა და ლიტერატურის მოყვარულთა ყურადღება. მწერალმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ლიტერატურული საქმიანობის პარალელურად იგი საზოგადო მოღვაწეობასაც ეწევა.

1906 წელს გაზეთ „გლეხის“ ოფიციალური რედაქტორია. ეს გაზეთი მალე დახურეს და ჯავახიშვილი სამართალში მისცეს. დაპატიმრებისაგან თავის დაღწევის მიზნით, სხვისი პასპორტით 1906 წელს საზღვარგარეთ, შვეიცარიაში მიემგზავრება. 1906-09 წლებში იგი ემიგრაციაშია. ჯერ ჟენევაში, შემდეგ პარიზსა და ბრიუსელში.

1909 წელს ისევ სხვისი პასპორტით ბრუნდება სამშობლოში და იმ წელს დაარსებულ ჟურნალ „ერში“ იწყებს თანამშრომლობას. ჟურნალი სულ მალე აკრძალეს, ხოლო ჯავახიშვილი დააპატიმრეს. ერთი წლის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს. 1915 წელს კვლავ დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა გაზეთ „საქართველოს“. იმავე წელს ისევ გადაასახლეს. 1918 წელს ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს ჯერ სამრეწველო პალატაში, შემდეგ მიწათმოქმედების კომისარიატში. ვაი, რომ ეს დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა...

მიხეილ ჯავახიშვილმა 1923 წელს გამოაქვეყნა მოთხრობა „ტყის კაცი“. ამ მოთხრობაში მწერალმა სოფლელი გლეხის პავლეს თავგადასავლის ფონზე გვიჩვენა, თუ რა უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის საზოგადოებისაგან გამოთიშვას, ხალხისაგან განდგომას. „ტყის კაცს“ მოჰყვა მოთხრობები „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულაჰ“, „ორი განაჩენი“ და სხვ. მათ შორის გამოირჩევა ვრცელი მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“. აქ მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე მოცემულია საქართველოს წარსულისა და მისი თანამედროვე ცხოვრების ეპიზოდები. მწერალი ამხელს ცარიზმის პოლიტიკას. მისი გენერლებისა და ეპისკოპოსების დიდმპყრობელურ, შოვინისტურ პოლიტიკას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „დამპატიჟე“, იგი 1928 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „არიფიონში“. ამ მოთხრობაში მხილებულია წითელმანდატიანი მედროვე, პარაზიტი, რომელიც კისერზე აზის მშრომელ მებაღეს თევდორეს. იგი ერთ დღეს მოულოდნელად შეუსახლეს თევდორეს და შუაზე გაუყვეს მამული. ეს ისევე მოულოდნელად მოხდა, როგორც მოულოდნელად გაიგო თევდორემ რომ არგუნეს ბაღი და სახლი. მეპატრონე კი მაშინ დაიკარგა, როდესაც სადღაც რაღაცა მოხდა, „სადღაც რაღაცა“ ეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაა.

ირკვევა, რომ დამპატიჟე მედროვეა, რომელსაც ვიღაც „დიდი კაცი“ წყალობს. ამ პარაზიტ კაცს თევდორეს ქალიშვილი მოეწონება, ქალიშვილი უკანონოდ დაარსულა, მერე კი ცოლად შეირთო. მუქთახორა დამპატიჟე-ოქროპირმა თევდორე მოჯამაგირედ გაიხადა. მის პარპაშს და უკანონო მოქმედებას, მიუხედავად თევდორეს ათასგზის ჩივილისა, ბოლო არ უჩანს. თითქოს ბატონყმობა დაბრუნებულა ახალი ფორმით. ოღონდ ეს ახალი ბატონი, ბოლშევიკი ოქროპირი უტვინოა, უფრო ხეპრე და გაუთლელი, ვიდრე ძველი მებატონეები. ოქროპირი წითელმანდატიანი ბოროტებაა. ეს პარაზიტი რევოლუციის სახელით პარპაშებს და დაუსჯელი რჩება. ბოლშევიკურმა რევოლუციამ დაბადა ეს ბოროტება. ეს იყო პირველი მოთხრობა ოციან წლებში, რომელიც ამხელდა რევოლუციის მიერ მოტანილ სოციალურ ბოროტებას. დამპატიჟე საზოგადოების ისეთივე მტერია, როგორიც ყვარყვარე. ეს ჯაყოს თავისებური ორეულია, ეროვნული ბოროტების სათავე.

ამ მხრივ დამპატიჟეს მოკბილეა რომანი „გივი შადური“. მიხეილ ჯავახიშვილმა თავის შეხედულებანი, მრწამსი, მხატვრული სტილი და ბუნება მთელი სრულყოფილებით რომანებში გამოხატა. ეროვნული ტკივილებით დამუხტული ეს რომანები საბჭოთა ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის პათოსითაა გაჟღენთილი: პირდაპირი, ქვეტექსტებით თუ სიმბოლური მინიშნებით 1923-26 წლებში მან გამოაქვეყნა რომანები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, სადაც ეს ეროვნული პოზიცია მწერლისა ნათლადაა გამოვლინებული. „კვაჭი კვაჭანტირაძე“ თავისებური სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებია. აქ საოცრად ხატოვნადაა გამოძერწილი გაქნილი საქმოსნის, საერთაშორისო ავანტიურისტის ტიპი. იმ დროის დიდი ისტორიული ამბების და მოვლენების ფონზე — პირველი მსოფლიო ომი, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუცია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში. თავისი ეროვნული პოზიცია, თავისი ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი მკვეთრად გამოავლინა. ახევე ძველისა და ახლის ურთიერთობის ვრცელი სურათებია მოცემული „თეთრ საყელოში“.

რომანში ორი ასპექტია განვითარებული: ხევსური ჯურხასი — „ჯანსაღი ველურობა განათლებულ გადაგვარებას სჯობია“ და ქალაქელი ელიზბარისა — „თეთრი საყელოც მოვიხვით და ჯიშიც შევინახოთ“. ელიზბარი და ჯურხა მსოფლიო ომში გვერდიგვერდ იბრძოდნენ. მსოფლიო ქალაქები და ქვეყნები ერთად მოვლეს. ომიდან დაბრუნებული ჯურხა ხევსურეთს მიაშურებს. მასთან სტუმრად მისულ ელიზბარს, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისში სახელი დაუწუნა და ვაჟიკა შეარქვა, საიდუმლოდ ეუბნება: „ჯერ ჩვენ სოფელში წითელი ეშმა არ მოსულა და იმას ვემალებითო“. ჯურხა და ვაჟიკა ნადირობისას წააწყდებიან სპილენძის მდიდარ საბადოებს. ჯურხა შთააგონებს დაძმობილებულ ელიზბარს, ხელი აიღოს სპილენძის საბადოებზე, რადგან: „გზა გაიკაფება, მაჟთული გაიბმება, მილიცია მოვა და ხელისუფლება, სამართალი, გადასახადი, მანქანა, ორთქლი და ათასი ეშმაკეული გაჩნდება. ეს არ უნდა ფარსმან მეფის ეპოქის დარაჯს. ბოლშევიზაციის მტერი ჯურხა განათლების წინააღმდეგაცაა: „განათლება ხევსურებსაც დაალპობს, გადააშენებს, წითელ რჯულზე გადაიყვანს“... ჯურხა ოცნებობს, ბაგრატიონთა გვარი კვლავ გამეფდეს, პირობის წიგნი, რუსებმა რომ გააფუჭეს, კვლავ აღდგეს. მიხეილ ჯავახიშვილმა ამ რომანში ერთმანეთს შეუხადაგა მითოლოგიური, ეროვნულად შეურყვნელი ხევსურეთი და ცივილიზებული, ბოლშევიკური თბილისი.

1924 წელს ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა რომანი „ჯაყოს ხიზნები“. რომანის ცენტრში ავტორმა რევოლუციისგან უფლებაჩამორთმეული, უნიათო, ფანტაზიორი თეიმურაზ ხევისთავი დააყენა და მის სახეში განაზოგადა თავად-აზნაურობის ტრაგიკული ბედი საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ახალმა წყობილებამ მთლად გადათელა ეს კლასი და ფიზიკურად მოსპო. დაუკარგა თავისი წილი და ადგილი საზოგადოებაში. უმოქმედო, უსპარეზო თეიმურაზ ხევისთავის ბედს ერთგვარად გამალიზიანებელ ფერებში ხატავს მწერალი. ცხადია, ეს მხატვრული ხერხია, რათა მოახდინოს რომანის კონცეფციის ზუსტი რეალიზაცია. თეიმურაზი კრებითი სახეა იმ მეოცნებე ინტელიგენციისა. რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები 1922 წელს „ილიონში“ დაბეჭდილი: „ქართველმა ინტელიგენციამ ამ ორ უკანასკნელ წელს თავის სრული უსუსურობა და აბსოლუტური სულიერი სიკოტრე გამოამჟღავნა. ეს ინტელიგენცია ცრუ პატრიოტიზმით გაჟღენთილი, გაქსუებული ადამიანების კრებული აღმოჩნდა“.

ოდესღაც ბრწყინვალე ფეოდალი განათლებული ინტელიგენტი თეიმურაზი ახლა მისივე მოურავის ჯაყოს ხიზანი გამხდარა. აქ კი საბოლოოდ გამომჟღავნდა მისი უნიათობა, უბადრუკობა. მან თავისი ბედი სასოწარკვეთილად ჩაუგდო ისეთ გარყვნილ და გაიძვერა კაცს, როგორიც ჯაყოა. ეს გაიძვერა „ბეჭებზე რუსული თოფით და თეძოზე გრძელი მაუზერით“ პარპაშებს და ახალ ბატონად გვევლინება კომუნისტურ საქართველოში. თეიმურაზი და ჯაყო დიდი ეროვნული და მოქალაქეობრივი ტკივილის განცდით შექმნილი ანტიპოდებია. ჩვენს ლექსიკონში „ჯაყო“ და „თეიმურაზ ხევისთავი“ ცნობილი სახელების სინონიმებად დამკვიდრდა.

მიხეილ ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელის“ ბეჭდვა 1931 წელს დაამთავრა. ხოლო 1933 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. მწერალმა ქართველი ხალხის ეროვნული სული და რევოლუციური ბუნება განაზოგადა არსენას სახეში. იგი გლეხკაცობის ნამდვილი სახალხო, ეროვნული გმირია. არსენას თანამებრძოლები მხნელ-მთესველი გლეხები არიან. მათ სახლი ჰქონდათ — დაურბიეს, ოჯახი ჰქონდათ — აუწიოკეს. ცოლი ჰყავდათ — ნამუსი ახადეს და აიძულეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მახვილი აღემართათ.

რომანის ყოველ პერსონაჟს მოძებნილი აქვს მათთვის დამახასიათებელი ფერები და ხასიათები... აჯანყება დამარცხდა. არსენა ცარიზმის აგენტებისგან მოსყიდულმა კუპატნელმა ვერაგულად მოკლა. სხვა მეამბოხენი „შორეულ ციმბირში“ დალპნენ, მაგრამ დარჩა ხალხი, არსენას შვილები... ხალხი სასოებით ინახავს არსენას ხმალსა და საბრძოლო დროშას. მასში ცოცხლობს არსენასა და ცალთვალა დევის ღვთისავარის პაუტეხელი სული. ხალხი ელოდება ახალი არსენას დაბადებს. რომანის ოპტიმისტური ფინალი სიმბოლურია ჩვენი დროისათვის.

მხატვრული სამყარო, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა შექმნა, გვანცვიფრებს ქართული ენის კლასიკური ფერადოვნებით და უნივერსალური ბელეტრისტული ხერხებით. მწერალი ჰყვება და თან ხატავს. მთხრობელი ჯავახიშვილი თითქოს ეჭიბრება ჯავახიშვილს — ხატვის ოსტატს. მწერალს ერთხელ უთქვამს: „რა მასალა უფრო მშვენის — ავტობიოგრაფია, დაკვირვება, წიგნი და ჩანაწერები? ყველა ერთად, ცალკე კი არც ერთი. ყველაზე უფრო სასიფათოა მწიგნობრული მასალა, თავისუფალი შემოქმედების მაგიერ ღრმა მიმბაძველობა გამოვა. დაკვირვება ერთ დროს კულტად მქონდა გადაქცეული და ძალიანაც დამეხმარა. პროზაიკოსისათვის იგი ფრთებს უდრის, უამისოდ ვერ გაფრინდება. შესაძლებელია, მან სალასი ფსიქოლოგიური რამე დაწეროს, მაგრამ ის ვერ შექმნის ცოცხალ ტიპს, ვერ დაგვიხატავს პეიზაჟს, ვერ დაგვანახვებს სულიერი და უსულო საგნების ურთიერთობას. ე. ი. ბუნებას, სიცოცხლეს, ცხოვრებას, მისი დანიშნულება კი სწორედ ეს არის და სხვა არაფერი. მან უნდა გვაჩვენოს და დაგვანახვოს (მწერალი სახეებით აზროვნებს, ხელოვნება შედედებული ბუნებაა), ხოლო მსჯელობა აღწერა და საუბარი სხვას უნდა დავუთმოთ. ვისაც დაკვირვების მარაგი არა აქვს, ის ვერც ვერაფერს გვაჩვენებს“. ამ სიტყვებში ნათლად არის განმარტებული მწერლობის დანიშნულებაც და ის მხატვრული თვისებაც. რაც მიხეილ ჯავახიშვილს ახასიათებდა. როგორც დიდ ქართველ მწერალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბერიას დანაშაულებრივი მოქმედება

## დავით მჭედლური

მალენკოვი თავისი ოთხი პირველი მოადგილიდან პირველს ასახელებდა ბერიას, რაც ნიშნავს, რომ იგი მალენკოვის არყოფნისას შეცვლის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. ე. ი. პირველთა შორის პირველია, ბერიას ხელში თავს იყრის წესრიგის დაცვის, თვალთვალის, დასჯის მთელი უზარმაზარი მექანიზმი, რაც განმტკიცებულია მისი მაღალი თანამდებობით მინისტრთა საბჭოში.

ცენტრში მომხდარი ძალთა გადაჯგუფება პერმანენტულად გავრცელდა რესპუბლიკებში, თუმცა ამ პროცესმა დასრულება ვერ მოასწრო, პარტიული ქორები მიხვდნენ, რომ ბერია ძალაუფლებას ხელიდანააცლიდა და მოქმედებას შეუდგნენ.

ამრიგად, ამ მოძრაობის ფარგლები მოიცავს უაღრესად პრინციპულ საკითხს და შორს სცილდება ორი პიროვნების — ბერიასა და ხრუშჩოვის მეტოქეობას. ბერიას ინიციატივა პრაქტიკულად ითვალისწინებდა საბჭოური მმართველობის სისტემის შეცვლას, პარტიის მიერ უზურპირებული ხელისუფლების მისი კანონიერი მფლობელის მინისტრთა საბჭოსათვის დაბრუნებას, ამას, ალბათ, მოჰყვებოდა პარლამენტური სისტემის დამკვიდრება და ერთპარტიული სისტემის მოშლა. ამან წარმოშვა ვარაუდი, რომ თუ ბერია ხელთ იგდებს ძალაუფლებას, „აღადგენს კაპიტალიზმს“.

კაპიტალიზმის მრისხანე აჩრდილი, რომლითაც მთელს იმპერიას მრავალი წლის განმავლობაში აშინებდა სტალინი, მოსვენებას არ აძლევდა „კომუნიზმის მგზნებარე მშენებლებს“. ამგვარად ჩამოყალიბდა ორი პოზიცია, ერთ მხარეს იყო სტალინური რეჟიმის ხელუხლებლად შენარჩუნების მოსურნე უზარმაზარი პარტიული აპარატი, მეორე მხარეს ბერია და მალენკოვი, თუმცა მალე ისიც მიატოვებს თავის თანამოაზრეს და სტალინელთა ბანაკში გადაბარგდება...

მწერალი კონსტანტინ სიმონოვი იგონებს, რომ ყბადაღებული ექიმთა საქმის შეწყვეტის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კრემლში სპეციალურად გამოყოფილ ოთახში დაიწყეს ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების მიწვევა, სადაც მათ აცნობდნენ სტალინის საუბრების ჩანაწერებს ექიმთა საქმის გამომძიებელ რიუმინთან. სტალინი მოითხოვდა დაკითხვის მეთოდების გამკაცრებას, ულმობელ მოქმედებას და სხვა, რაც დაპატიმრებულთა წამებას ნიშნავდა. მწერლის დასკვნით, ამ დოკუმენტების გაცნობით ბერიას სურდა ეთქვა, რომ: „აი, ესეც თქვენი სტალინი... თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მისგან შორს ვარ, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე განზრახული მაქვს ვთქვა მასზე მთელი სიმართლე“. საინტერესოა ამ დოკუმენტების წარმოშობაც. როგორც სიმონოვი აღნიშნავს, საუბრები თავდაპირველად ფირზე იყო ჩაწერილი და ქაღალდზე შემდეგ გადაიტანეს, ამავე დროს, ისინი არ აღმოჩნდა ფალსიფიცირებული. გამორიცხულია, რომ სტალინს ნება მიეცა მისი კონფიდენციალური საუბრები გამომძიებელთან ვინმეს ფირზე ჩაეწერა. მაშასადამე, ბერიას აგენტურა მას სტალინისაგან ფარულად იწერდა და საჭირო დროისათვის ინახავდა. შესაძლოა, ბერიას ამ უდიდეს რისკზე წასვლა აიძულა ე. წ. „მეგრელთა საქმემ“, რომელიც სტალინის მიერ უშუალოდ მის წინააღმდეგ იყო ინსპირირებული, მაგრამ რაღაც მანქანებით ბერია უვნებლად გადარჩა. შეიძლება სტალინის საიდუმლო საუბრებისთვის მიყურადება ბერიამ ადრევე დანერგა პრაქტიკაში, რაც მას შემდგომი სვლების გათვლის საშუალებას აძლევდა.

1949 წელს საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შეიქმნა ე. წ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და სტალინის გარდაცვალების დროისათვის ამ ქვეყნის რეჟიმი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული. რასაკვირველია, კრემლის მიერ დასმული მარიონეტული მთავრობა ამ ახალ სახელმწიფოში, სტალინის მითითების თანახმად, სოციალიზმის მშენებლობას უნდა შესდგომოდა, რაც ხალხის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. და, აი, როგორც ხრუშჩოვი იგონებს, საბჭოთა ხელმძღვანელობის ერთ-ერთ შეკრებაზე ბერიამ სიტყვა აიღო და განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობა არ უნდა დავიწყოთო. გამოირკვა, რომ მას მხარს უჭერდა მალენკოვი, მაგრამ სხვებმა უკიდურესი სიმკაცრე გამოიჩინეს და სასტიკად გაილაშქრეს ამ აზრის წინააღმდეგ. ბოლოს საკითხი კენჭისყრაზე დააყენეს, ბერიამ და მალენკოვმა ვერ დაიცვეს თავისი პოზიცია და აღმოსავლეთ გერმანია მრავალწლოვანი „სოციალისტური“ ტანჯვა-წამებისათვის იქნა განწირული. სტალინის გარდაცვალებისთანავე ბერია გამოვიდა საკოლმეურნეო სისტემის კრიტიკით და სცადა რეფორმების გატარება სოფლის მეურნეობაში, რაც მიზნად ისახავდა, როგორც კერძო სექტორის განვითარებას, ასევე მსხვილი სახელმწიფო მეურნეობების შექმნას და ნატურალური ანაზღაურებიდან ფულად ანაზღაურებაზე გადასვლას, ეს შემდგომ ნაწილობრივ, მაგრამ უკუღმართად განახორციელა ხრუშჩოვმა.

უფრო ადრე ბერია მფარველობდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სტალინისადმი ოპოზიციურად განწყობილ ძალებს, რომელთა ლიდერი იყო ბროზ ტიტო. მისი აგენტურის ქსელით იყო მოფენილი მთელი აღმოსავლეთ ევროპა და მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზეც მისი ხალხი ინიშნებოდა.

ბერიას სასამართლო პროცესზე ფიგურირებდა ორი ბრალდება, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს ჩვენთვის, ქართველებისათვის. ბრალდებულმა ორივე უარყო, მაგრამ თვით ამ საკითხის დასმას და ბრალდებად ჩამოყალიბებას უსათუოდ რაღაც საფუძველი გააჩნდა. ერთი მათგანია ბერიას კავშირი საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან მისი ემიგრაციაში ყოფნის დროს. მაშინ რის საფუძველზე წაუყენეს ეს ბრალდება, ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ბოლო დროს პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ ბერიას მართლაც ჰქონდა კავშირი ქართულ ემიგრაციასთან.

აი, ნაწყვეტი ბერიას საბრალდებო დასკვნის ამ ნაწილიდან: „იყო რა დაკავშირებული ქართველ მენშევიკებთან ჯერ კიდევ მუსავატურ კონტრდაზვერვაში ჯაშუშური მუშაობის დროიდან, სამშობლოს მოღალატე ბერია თავის გამცემლურ საქმიანობაში კონტრრევოლუციურ ქართულ ემიგრაციაზე ჩადიოდა ფსონს. თავის მხრივ კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაცია ხოტბას ასხამდა ბერიას. მასზე ამყარებდა იმედებს (გავიხსენოთ ზემოთქმული ვარაუდი — ხომ არ მუშაობდა ბერია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაზვერვაში?!). ბერიასადმი ქართული ემიგრაციის დამოკიდებულებას ადასტურებს საქართველოში მენშევიკური ბატონობის პერიოდის მენშევიკ შინაგან საქმეთა მინისტრთან (ე. ი. ნოე რამიშვილთან!-დ. მ.) განსაკუთრებულ დავალებათა ყოფილი მოხელის ემილიან ლომთათიძის ჩვენება, რომელიც 1945 წელს პრაღაში დააპატიმრა საბჭოთა კონტრდაზვერვამ და ამჟამად მსჯავრდებულია.

წინასწარ ძიებაზე დაკითხულმა ლომთათიძემ უჩვენა:

„ნოე ჟორდანიას საბჭოთა საქართველოში მყოფი თავისი ემისრების საშუალებით, აგრეთვე, კერძო წერილებით, რომლებიც ჟორდანიას 1937 წელს მოუვიდა საქართველოდან, ჰქონდა ცნობები, რომ ლ. პ. ბერია ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა მოძრაობას საქართველოში, მრავალრიცხოვანი წყაროები იქიდან დაბეჯითებით იტყობინებოდნენ, რომ ლ. პ. ბერია ნაბიჯებს დგამდა პირადად მისი ერთგული ქართველი კომუნისტების გასაერთიანებლად საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ქართველ მენშევიკებთან, აგრეთვე, საბჭოთა წყობით უკმაყოფილო სხვა ელემენტებთან“.

„დამახასიათებელია, რომ ემიგრანტი მენშევიკები და სხვები, მეგრელთა რიცხვიდან, ყოველთვის სიშტით ხვდებოდნენ ბერიას გაკრიტიკების ცდას, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტული მეგრული წრეები აღმერთებდნენ ბერიას“.

„საქმის მასალებით დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაცია ქმნიდა ბერიას კულტს, მას მიიჩნევდა მონათესავე ბურჟუაზიულ ნაციონალისტად, მზად იყო მხარი დაეჭირა მისთვის, თუ ბერია კონტრრევოლუციური გადატრიალების მოხდენას შეძლებდა.

თავის მხრივ, ბერია, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა აქტიურად დაპირისპირებოდა საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა საქმიანობას, არა თუ არ აკეთებდა ამას, პირიქით, შლიდა დაგეგმილ ღონისძიებებს.

...წინასწარგანზრახულად არ აწარმოებდა რა არავითარ აქტიურ მუშაობას კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაციის წინააღმდეგ, ბერიამ ემიგრაციის ლიდერებთან კავშირის დასამყარებლად არაერთგზის გაგზავნა საზღვარგარეთ თავისი ემისრები, აგრეთვე, პირადად ამყარებდა კონტაქტს საბჭოთა კავშირში შემოგზავნილ ქართველ ემიგრანტთა ლიდერების აგენტებთან, რომელნიც სხვადასხვა უცხოურ დაზვერვასთან იყვნენ დაკავშირებული... ამ საქმის ძიებისას მიკვლეულია უტყუარი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ბერიას მჭიდრო საიდუმლო კონტაქტების არსებობას კონტრრევოლუციური ქართული ემიგრაციის მეთაურებთან.

...ამრიგად, საქმის მასალებით მტკიცდება, რომ ბერიას მუდმივი დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა კონტრრევოლუციურ ქართულ ემიგრაციასთან, იფარავდა მათ განადგურებისაგან და, თავის მხრივ, სარგებლობდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანოებთან დაკავშირებული რეაქციული ემიგრაციული წრეების მხარდაჭერით“. დოკუმენტი მომყავს ა. ასლანიშვილის სტატიის მიხედვით: „დიდი ინკვიზიტორის ორმაგი თამაში“ (გაზეთი „7 დღე“ 19 აპრილი, 1991 წ.), ამავე ავტორის განმარტებით ე. ლომთათიძეს ამგვარი ჩვენება წინასწარ ძიებისას არ მიუცია და ვერც მისცემდა, რადგან ბერია მაშინ ზენიტში იყო, მან ეს მხოლოდ ბერიას დაჭერის შემდეგ დაწერა.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია ის „უტყუარი დოკუმენტები“, რომელთაც ემყარება საბრალდებო დასკვნის ეს ნაწილი, მაგრამ ეჭვგარეშეა, ისინი არსებობს და, ალბათ, ოდესმე ხელმისაწვდომი გახდება, ხოლო ის, რაც საბრალდებო დასკვნაშია მოთხრობილი, აშკარად მეტყველებს, რომ ბერიას უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნები აკავშირებდა ქართულ ემიგრანტულ მთავრობასთან, რაც ამ მთავრობისთვისაც ცნობილი იყო. ვიღაცამ აღმოაჩინა, რომ ბერიას მეუღლე ნინო გეგეჭკორი თურმე ნოე ჟორდანიას ნათესავი ყოფილა, მაგრამ ბერია არ იყო ის კაცი, ნათესაურ სენტიმენტალიზმს რომ აჰყოლოდა, მას ემიგრაციასთან აკავშირებდა გარკვეული პოლიტიკური ამოცანა და ეს სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა და ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის რესტავრაცია, თუ იგი შეძლებდა სტალინის დამხობას და ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ყოველ შემთხვევაში, ბერიამ სასამართლო პროცესზე ამის შესახებ არაფრის თქმა არ ისურვა, მაშინ, როცა აღიარა აზერბაიჯანის მუსავატური მთავრობის დაზვერვაში თავისი მუშაობა, რასაც მანამდე გულმოდგინედ მალავდა. ამავე აზერბაიჯანულ პერიოდს ეხება ბერიას შესვლა კომუნისტურ პარტიაში. თუმცა თარიღის დადგენა ძიებამაც ვერ მოახერხა, ბერიას განცხადებით იგი 1918 წელს ჩაეწერა რომელიღაც პარტიულ უჯრედში, მაგრამ ამის დამადასტურებელი არც დოკუმენტი და არც მოწმე არ მოინახა, უეჭველია, ბერია კომპარტიაში მხოლოდ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ შევიდა.

ბერია, როგორც საქართველოს ჩეკას საგანგებო ოპერატიული განყოფილების უფროსი, რასაკვირველია, ერთ-ერთი მთავარი ჯალათის როლს ასრულებდა საქართველოს ოკუპაციის შემდგომ ეროვნული ძალების განადგურებაში, კერძოდ, 1923 წელს ქართველ სამხედროთა დახვრეტაში. ასევე იყო 1924 წლის აჯანყების პერიოდშიც, მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი ეპიზოდი: აგვისტოს დასაწყისში ჩეკამ დააპატიმრა საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი. მალე „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“, რომელიც სათავეში ედგა აჯანყებისათვის მზადებას, ზედიზედ მიიღო ჯუღელის რამდენიმე წერილი, სადაც ივედრებოდა, რომ ხელი აეღოთ აჯანყებაზე და არ გამოეწვიათ ამაო სისხლისღვრა.

„დამკომმა“ ეს ჩეკას პროვოკაციად ჩათვალა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ჯუღელთან.

ისმის კითხვა: ვინ ჩააგონა ჯუღელს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება?. თუ პატრიოტულ ემოციებს გვერდზე გადავდებთ, აჯანყება ხომ თავიდანვე განწირული იყო და მხოლოდ ახალი მსხვერპლი მოჰყვებოდა ქართველთა მხრიდან. როგორ შეეძლო საქართველოს მთებსა და ტყეებში გაფანტულ რამდენიმე ასეულ პატრიოტს რუსეთის რეგულარული არმიების დამარცხება. სხვა საკითხია, რომ აჯანყებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისათვის, მაგრამ მას დიდი მსხვერპლი და რეპრესიების ახალი ტალღაც მოჰყვა.

ცხადია, ჯუღელი ჩეკას საგანგებო-ოპერატიულმა განყოფილებამ დააპატიმრა, ამგვარი საქმიანობა მის ფუნქციებში შედიოდა, იქვე დაჰკითხავდნენ, მისი წერილებიც იქვე იწერებოდა და დანიშნულების ადგილზეც ჩეკას თანამშრომლები გადასცემდნენ. ამ განყოფილების უფროსი კი, როგორც ვიცით, ლავრენტი ბერია იყო, მაგრამ ბერიას როლი ამ საქმეში, რასაკვირველია, ჯერ მხოლოდ ვარაუდებს ემყარება, სანამ შესწავლილი არ იქნება დოკუმენტები.

ერთ-ერთი სერიოზული ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ თითქოს ბერიამ კავკასიის დაცვისათვის არ გაგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს 120 ათასიანი არმია. აქედან ძიებამ დაასკვნა, რომ ბერიას სურდა გერმანელები კავკასიაში შეჭრილიყვნენ და მოეხდინათ მისი ოკუპაცია. ამასვე ადასტურებს ბოლო დროს გამოქვეყნებული ცნობებიც, თითქოს ბერია ხელს არ უშლიდა გერმანიის აგენტურას, რომელიც ცდილობდა საქართველოში სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებას, რაც პერსპექტივაში უნდა დამთავრებულიყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენით გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. ამ ცნობას აბათილებს ის ფაქტი, რომ 1942 წელს თბილისში შეიპყრეს და დასაჯეს შეთქმულთა ჯგუფი, რომელიც, ფაქტობრივად, ამავე მიზანს ისახავდა. ეს ამბავი კი ბერიას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა.

კითხვაზე — შინსახკომის ჯარები რატომ არ ჩააბა კავკასიისათვის ბრძოლაშიო — ბერიამ უპასუხა, კავკასიის დაცვა კარგად იყო ორგანიზებული, ძალებიც საკმარისი იყო, ხოლო მე არ შემეძლო შინაგანი ჯარების ბრძოლაში ჩაბმა, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა გასახლების ბრძანებას ველოდიო. მიუხედავად ამისა, არ დაუჯერეს და საბრალდებო დასკვნაში ჩაწერეს: „1943 წელს სურდა გერმანელთა ჯარებისთვის გაეხსნა მთავარი კავკასიონის ქედი, რათა მათ ამიერკავკასიის ოკუპაცია მოეხდინათ“. შესაძლოა საქმე № 0028 ამ საქმეზე მართლაც სარწმუნო დოკუმენტებს შეიცავს.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 38.

ბერიას ერთ-ერთი ბრალდებათაგანი იყო სერგო ორჯონიკიძისა და მისი ოჯახის განადგურება. „რკინის კომისარს", რომელიც იმჟამად მძიმე მრეწველობას ედგა სათავეში, თავი ძალზე ამაყად ეჭირა, ძველისძველი მეგობარი იყო სტალინისა და ბერიას დამამცირებლად ექცეოდა ჯერ კიდევ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყოფნისას. მართალია სერგომ კავკასიიდან გასწრო, მაგრამ როცა ინკვიზიციის ჟამი დადგა, ბერიამ დააპატიმრა მისი ძმა პაპულია, რომელიც მალე დახვრიტეს, მასვე მიაყოლეს მეუღლე, ხოლო სერგოს მეორე ძმა თორმეტი წლით გამოამწყვდიეს ცალკე საკანში. ორჯონიკიძე სტალინის მეშვეობით ცდილობდა თავისიანების დახსნას, მაგრამ „ძველმა მეგობარმა" საკმაოდ ცივად მიუგო — ამ საქმეზე მეტად ნულარ შემაწუხებო. სამაგიეროდ, განკარგულება გასცა სერგო ორჯონიკიძის სახელი მიენიჭებინათ ქარხნების, ფაბრიკების, ქუჩების, ქალაქებისა და სოფლებისათვის მთელი იმპერიის ტერიტორიაზე. ეს ერთგვარი მორალური კომპენსაცია იყო. ბოლოს და ბოლოს ბერიას მეცადინეობითა და, ალბათ, სტალინის დასტურით, სასიფათო წრე თანდათან დავიწროვდა თვით სერგო ორჯონიკიძის გარშემოც. თებერვალში მისი ბინა გაჩხრიკეს, სერგომ სტალინთან იჩივლა, სტალინმა აგდებულად მიუგო — ჩეკა ისეთი ორგანოა, შეუძლია მეც გამჩხრიკოსო. ორჯონიკიძე თავის ბინაში ჩაიკეტა და რამდენიმე დღეს გარეთ არ გამოსულა, 1937 წლის 18 თებერვალს სტალინთან გაემგზავრა და სამ საათს მარტოდმარტო ესაუბრა მას, საღამოს კვლავ დაურეკა და ქართულ-რუსული ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხა თავს. მეორე დღეს, 19 თებერვალს კაბინეტიდან არ გამოსულა, საღამოს გაისმა სროლის ხმა... წერილი, რომელიც ორჯონიკიძემ სიკვდილის წინ დაწერა სტალინის სახელზე, გაქრა.

ასე დასრულდა სიცოცხლე იმ კაცისა, ვინც ოდესღაც მიიღო მედალი „თბილისის აღებისათვის". შესაძლოა, სწორედ ამ დამსახურებისათვის სტალინს იგი ისტორიიდან არ ამოუშლია, პატივით დაასაფლავა და სახელ-დიდებაც შეუნარჩუნა.

აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ბერიას „პატრიოტულ სისუსტეებზე". ამგვარი წუთები კი მას ნამდვილად ჰქონდა, თანაც იმაზე ჭარბად, ვიდრე მის ოფიციალურ მდგომარეობას შეეფერებოდა.

...1939 წელს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი". ამ უკანასკნელის მწვრთნელი იყო ფეხბურთის ცნობილი მოღვაწე ნიკოლაი სტაროსტინი. მოსკოველებმა დაამარცხეს თბილისელები. ერთი თვის შემდეგ სტაროსტინი ცეკაში გამოიძახეს და უთხრეს ნახევარფინალური მატჩი უნდა გადათამაშდესო. სტაროსტინმა პროტესტი განაცხადა. ეს როგორ იქნებაო, მაგრამ აგრძნობინეს, რომ გადაწყვეტილება ძალზე მაღალ დონეზე იყო მიღებული. გაიმართა გადათამაშება და როცა მეორე ტაიმში მესამე მშრალი ბურთი გავიდა თბილისელთა კარში, სტაროსტინმა დაინახა, როგორ წამოხტა ბერია, შეშლილი სახით მოისროლა სკამი და სტადიონიდან გავარდა. იმ წუთიდან, როგორც სტაროსტინი წერს, ბერიამ მისი და მისი ძმების ბედისწერის საქმე ჩართო. 1942 წელს სტაროსტინები, მათი ოჯახის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს და 1954 წლამდე ციმბირის სხვადასხვა ბანაკებში ავარახშებდნენ ფეხბურთით გატაცებულ პატიმრებს...

მანამდე კი ნიკოლაი სტაროსტინი ერთ საინტერესო ამბავს გვიყვება: ჯერ კიდევ ამ საბედისწერო მატჩამდე ბერიამ, რომელიც თითქმის ყველა მატჩს ესწრებოდა, მოიხმო სტაროსტინი და თავის მხლებლებს წარუდგინა — ეს ის სტაროსტინია, ერთხელ თბილისში რომ გამექცაო. ბევრმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ბერია, სტაროსტინმა კი უმალვე აღადგინა 20-იანი წლების დასაწყისი, როცა თბილისში ერთ-ერთ მატჩზე მის წინააღმდეგ საკმაოდ უხეშად თამაშობდა არცთუ ტექნიკური ნახევარმცველი, მეორე ტაიმში სტაროსტინი გაექცა მას და თბილისელთა კარში ბურთიც გაიტანა. ეს ნახევარმცველი ლავრენტი ბერია იყო. სტაროსტინმა ყურადღებით შეათვალიერა ჩასუქებული, პენსნეიანი უშიშროების მინისტრი. ბერია მიუხვდა და უთხრა: „კარგია ნიკოლაი, რომ ისევ სპორტულ ფორმაში ხარ, აი, მე კი აღარ ვვარგივარ სპორტული გმირობებისთვის". შემდეგ პირდაპირ შეხედა თვალებში და პირქუშად უთხრა: „მაგრამ შორს ახლაც ვერ გამექცევი". შემდგომში სტაროსტინმა გაიგო, რომ მის დაპატიმრებაზე | სპორტსმენების ტერორისტული ჯგუფის ორგანიზების ბრალდებით, თბილისის „დინამოს" ნახევარფინალში დამარცხების უმალვე იყო შედგენილი საქმე, მაგრამ სტაროსტინის დაპატიმრების ორდერზე მოლოტოვს არ მოეწერა ხელი, რადგან სტაროსტინის, მოლოტოვისა და სტალინის ქალიშვილები ერთ სკოლაში სწავლობდნენ და მეგობრობდნენ. ბერიამ სტაროსტინების დაპატიმრება მხოლოდ სამიოდე წლის შემდეგ შეძლო.

ზემოთ ნათქვამი იყო აფხაზური სეპარატიზმისა და მისი ბელადის ლაკობას წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებზე, პროთურქული ორიენტაციის საბაბით მსგავსი პროცესები გაიმართა აჭარაშიც, რითაც ავტონომიებში მოკალათებულ ანტიქართულ ძალებს კარგა ხნით დაეკარგათ სეპარატისტული მოძრაობის ხალისი.

1944 წელს აჭარეს და შუა აზიაში გაასახლეს თურქეთის ინტერვენციის შედეგად მესხეთში დამკვიდრებული თურქები, რომელთაც ამ მხარიდან ფაქტობრივად გამოდევნეს ქართული მოსახლეობა და ათასგვარ ბოროტებას ჩადიოდნენ. სხვათა შორის, როგორც ახლა უყვართ წერა, განუკითხავად არავინ გაუსახლებიათ, აჭარეს მხოლოდ ისინი, ვინც წინასწარი გამოკითხვისას თურქად აღიარა თავი.

ბერიას ინიციატივით საქართველოს შემოუერთდა ქლუხორის რაიონი და ამრიგად, საქართველოს საზღვარმა ჩრდილოეთ კავკასიაში გადაინაცვლა. ეს ტერიტორია მხოლოდ ბერიას დამხობის შემდეგ ჩამოართვეს საქართველოს და როგორც ირკვევა, მასვე მიაყოლეს ადრიდანვე საქართველოს კუთვნილი მიწებიც.

ქვემო ქართლიდან გაასახლეს გერმანელი კოლონისტები და მათი ადგილი ისევ ქართლის მთიანეთიდან ჩამოსახლებულმა ქართველებმა დაიკავეს, ასე შემორჩა დღეს არსებული რამდენიმე ქართული სოფელი ბოლნისსა და მარნეულში... ეს პროცესები ბერიას მიერ და ბერიას კარნახით ხორციელდებოდა და ნებსით თუ უნებლიედ საქართველოსთვის დადებითი შედეგები გამოიღო.

არსებობს ბერიას წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების რამდენიმე არცთუ განსხვავებული ვარიანტი, არსებითი განსხვავება მხოლოდ დაპატიმრების დეტალებსა და სასამართლო პროცესის მსვლელობაშია.

შეთქმულების ორგანიზატორი იყო ხრუშჩოვი. ამას იგი თავად აღწერს თავის მოგონებებში, რაც შემდგომში არავის უარყვია და, ამდენად, პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. ხრუშჩოვმა უპირველესად გადაიბირა ბულგანინი და მალენკოვი. ეს უკანასკნელი ძალზე ვერაგი კაცი აღმოჩნდა და ით-

რომელიც მას იმპერიის ხელმწიფედ ამზადებდა, სტალინის რისხვისაგან იცავდა და უფრთხილდებოდა. პოლიტბიუროს წევრთაგან ყველაზე დიდხანს მიქოიანი ჯოჯმანობდა, თუმცა ბოლოს ისიც დაითანხმეს. ხრუშჩოვის მთავარი არგუმენტი ამ კონფიდენციალური და სახიფათო საუბრებისას ძალზე მარტივი იყო, „ბერია თუ ხელისუფლებას აიღებს, ყველას გაგვანადგურებს" — არწმუნებდა იგი შეთქმულებს. ეს მათ ისედაც კარგად იცოდნენ და თანხმობის მიცემა არ გახჭირვებიათ, კაცმა რომ თქვას, ეს არა პოლიტიკური შეთქმულება, არამედ თავდაცვის ინსტინქტით ნაკარნახევი ღონისძიება იყო, სადაც მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა სახელმწიფოს ბედი და მომავალი.

შეთქმულების ბოლო რგოლი იყო სამხედროების გადაბირება, რაც სულაც არ იყო ძნელი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო სამინისტროს შორის ტრადიციული მეტოქეობის გამო. ეს საქმე თავდაცვის მინისტრმა ბულგანინმა ითავა. მანვე სხვადასხვა საბაბით მივლინებაში გაგზავნა კრემლის დაცვისა და მოსკოვის სამხედრო ოლქის ოფიცრები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ბერიას უწყებასთან. ბერიას დაპატიმრება დაევალა მარშალ ჟუკოვსა და გენერალ მოსკალენკოს, რომელთაც შექმნეს სამხედროთა ოპერატიული ჯგუფი.

ბერია დააპატიმრეს სხდომაზე, რომლის დანიშნულება და სტატუსი მის ორგანიზატორებს თავადაც არ ჰქონდათ გარკვეული. ხალხი მოიწვიეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, სინამდვილეში ჩატარდა მინისტრთა საბჭოს სხდომა, იმ დღეს განსახილველ საკითხებს არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა, მთავარი მხოლოდ საშიში მხეცის ხაფანგში შემოტყუება იყო.

ბერია ოდნავი დაგვიანებით მოვიდა, ეცვა საკმაოდ გაცვეთილი კოსტიუმი და თეთრი უჰალსტუხო პერანგი. დიდკაცურად ჩაეშვა სავარძელში და იკითხა — რა საკითხებს ვიხილავთო. აქ დეტალების აღრევა იწყება, ხრუშჩოვის მონათხრობის მიხედვით, სხდომა მალენკოვს უნდა გაეხსნა და ბერიას მავნებლური საქმიანობის შესახებაც მას უნდა ელაპარაკა, მაგრამ იგი იმდენად გაფითრებული და შემკრთალი ყოფილა, რომ კრინტი ვერ დაუძრავს, ამიტომ სიტყვა ხრუშჩოვს აუღია და სხდომაც მას წარუმართავს.

ჟუკოვი და მოსკალენკო კი იგონებენ, როცა მოსაცდელ ოთახში დათქმული ორი ზარი გაისმა და სხდომის დარბაზში შევედით, მოხსენებას მალენკოვი ამთავრებდაო.

ჟუკოვი და მოსკალენკო ბერიას ზურგს უკან დადგნენ და როცა თავმჯდომარემ (ხრუშჩოვმა?, მალენკოვმა?) მოხსენება დაამთავრა და ბრძანა დააპატიმრეთო, მოსკალენკომ ბრაუნინგის ლულა მიადო კეფაში და უბრძანა ხელები აეწია. — გახწიე ეგ შენი ზარბაზანი — მშვიდად უთხრა ბერიამ და ხელები ასწია. ხრუშჩოვის მოგონებათა ერთი ვერსიით, ბერიას პორტფელისაკენ გაუწვდია ხელი, რისი საშუალებაც ხრუშჩოვს არ მიუცია, იარაღი მეც მედო ჯიბეშიო — იგონებს ყოფილი პირველი მდივანი. ერთი სიტყვით, ამ უმაღლეს ბანდაში შეუიარაღებელი კაცი იშვიათი იყო და, ბედის ირონიით, ერთ-ერთი მათგანი სწორედ ბერია აღმოჩნდა. ამ დროს ოთახში სხვა სამხედროებიც შემოვიდნენ. ბერიას უბრძანეს ამდგარიყო და გაჩხრიკა დაუპირეს

— იარაღი არა მაქვს, — თქვა მან. ტუსაღი კაბინეტის გვერდით მდებარე სტალინის დასასვენებელ ოთახში გაიყვანეს. მაგიდაზე დარჩა ქაღალდის ფურცელი, რომელზეც მთელი სხდომის განმავლობაში ბერია ფანქრით რაღაცას წერდა. მას ცხრამეტჯერ დაეწერა სიტყვა „განგაში", მაგრამ ისინი, ვისთვისაც ეს ბრძანება იყო გამიზნული შორს იყვნენ, წარმოდგე-

ნაც არა ჰქონდა რა ხდებოდა კრემლის ყრუ კედლებში და აღარ შეეძლოთ თავისი შეფის შველა.

— აბა ჯიბეები მაჩვენე — უთხრა ბერიას გენერალმა ბატიცკიმ. ჯიბეში მხოლოდ ფანქარი და ცხვირსახოცი აღმოაჩნდა.

შემდეგ კვლავ ფაქტების აღრევასთან გვაქვს საქმე. ხრუშჩოვის ზეპირი მონათხრობის მიხედვით, ბერია იმავე ოთახში, პოლიტბიუროს წევრების თანდასწრებით დაახრჩვეს, ხოლო მთელი შემდგომი ძიება და სასამართლო წმინდა წყლის ფალსიფიკაცია იყო. ჟუკოვი და მოსკალენკო ამტკიცებენ, რომ ტუსაღთან თითქოს შუაღამემდე დაჰყვეს იმავე ოთახში და ყოველ წუთს ელოდნენ შინაგანი ჯარების თავდასხმას კრემლზე. შუაღამისას ჩასხდნენ ბულგანინის მანქანაში, რომელსაც დაცვა არ აჩერებდა და პატიმარი მოსკოვის ოლქის საჰაერო თავდაცვის შტაბის ბუნკერში გადაიყვანეს. ბუნკერს გაძლიერებული დაცვა, საბრძოლოდ გამზადებული ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები დაუყენეს. ბერიას გახადეს თავისი ტანსაცმელი და ჯარისკაცის ფორმა ჩააცვეს, საკვებადაც ახევე ჯარისკაცის ულუფა დაუნიშნეს. ტუსაღმა ფანქარი და ფურცელი მოითხოვა, იგი პირველ სამ დღეს წერილებს უგზავნიდა ხრუშჩოვს, სამი დღის შემდეგ საწერი მოწყობილობა წაართვეს და წერილების წერაც აუკრძალეს.

ბერიას მკვლელობამ თუ დაპატიმრებამ იმაზე მშვიდად ჩაიარა, ვიდრე ელოდნენ, დაიწყო ძიების ექვსთვიანი პროცესი.

სასამართლო 18-დან 23 დეკემბრამდე გაგრძელდა. ბრალდებული დანაშაულთა უმეტესობას უარყოფდა, აღიარებდა მხოლოდ იმას, რაც უტყუარი საბუთებით იყო დადასტურებული.

23 დეკემბერს ბერიას და მის „თანამზრახველებს" სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. როცა განაჩენის კითხვა დასრულდა, სახელმწიფო ბრალმდებელმა, სსრ კავშირის ახლადდანიშნულმა გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ სამხედროებს მიმართა: გთხოვთ განაჩენი სისრულეში მოიყვანოთო.

გენერალმა მოსკალენკომ პოლკოვნიკ იუფერევს უთხრა — შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ, კარგად ისვრი და, აბა, მიდიო.

გენერალმა ბატიცკიმ არ დაანება — მე ვიზამო.

ბატიცკის ცოლის მოგონებით (ქმრის მონაყოლის მიხედვით) ბერია ამ დროს მუხლებზე დაცემულა და თურმე შეწყალებას ითხოვდა.

ბატიცკიმ მხოლოდ ერთხელ ესროლა და შუბლი გაუგმირა.

ფაქტების მორიგი აღრევაა ბერიას თანამზრახველთა დახვა. ერთი ვერსიით სიკვდილმისჯილნი ლუბიანკაზე დაუხოცავთ, მერე გადაუტანიათ მათი გვამები თავდაცვის შტაბში და ბერიას გვამთან ერთად დაუწვავთ. მაგრამ იმის ახსნას აღარავინ იძლევა, რა საჭირო იყო მათი მთელი მოსკოვის გავლით ლუბიანკაზე გადაყვანა, როცა საბჭოთა გენერლები სიამოვნებით კისრულობდნენ ჯალათის როლს და გენერალური პროკურორიც განაჩენის გამოტანის უმალ ითხოვდა მათ დახვრეტას. სიკვდილით დასჯის ასეთი დაჩქარება ყველა ეპოქის სასამართლო პრაქტიკაში, ალბათ, უპრეცენდენტო მოვლენაა.

ბერიას „სიკვდილით დასჯა" ჩვეულებრივი მკვლელობა იყო, რომელიც სიამოვნებით ჩაიდინა გენერალმა ბატიცკიმ. ამ აქტს საერთო არაფერი ჰქონდა სასამართლოს განაჩენის კანონიერ აღსრულებასთან. თვით მთელი „პროცესი" თავისი ფორმით ბარბაროსული იყო, დაცული არ ყოფილა ელემენტარული კონსტიტუციური და პროცესუალური ნორმები.

ბერია გაასამართლა არა კონსტიტუციით მოქმედმა სახალხო სასამართლომ ან სამხედრო ტრიბუნალმა, არამედ კაცმა არ იცის, ვის მიერ შექმნილმა „პრედსტავიტელნი სუდმა". ბრალდებულს არავინ იცავდა, ხოლო განაჩენი უმალ მოიყვანა სისრულეში არა ჯალათმა, არამედ მოხალისე მკვლელმა.

ასე დასრულდა საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურის ლავრენტი ბერიას არცთუ ხანგრძლივი ცხოვრება. იგი მაშინ 54 წლისა იყო.

ბერია თავისი უზნეო, სასტიკი და სისხლიანი დროის ღვიძლი შვილი იყო და მის ხასიათში თითქმის მთელი საბჭოური ეპოქის ხასიათი და, შესაძლოა, საბჭოთა ეპოქის ადამიანის ტრაგედიაც განსახიერდა. ბერია იყო დაუნდობელი და შურისმაძიებელი, უზნეო და გარყვნილი ცხოვრების მიმდევარი, ვერაგი, თვალთმაქცი და კარიერისტი, მაგრამ ამავე დროს, იყო უნიჭიერესი კაცი, ენერგიული, შეუპოვარი და მოხერხებული, როგორც სვეტლანა ალილუევა უწოდებს „კარისკაცის დიდებული ტიპი", იგივე ალილუევა მას სტალინზე ძლიერ პიროვნებად მიიჩნევს.

ყველაფერი ის,. რასაც ბერია სჩადიოდა, მეტნაკლებად ცხოვრების ჩვეულებრივი წესი იყო ყოველი საბჭოთა „ბელადისათვის", სხვა ამბავია, რომ ის განსაკუთრებული პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.

ამავე დროს, ბერია არ იყო ლენინურ-სტალინური დოგმების მიხედვით მოაზროვნე და საერთო აღიარებით ამ „მოძღვრებაში" რაიმე თეორიული მომზადება არც გააჩნდა.

სავსებით სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ფარულ ოპოზიციაში ედგა სტალინს და მის დამხობას გეგმავდა, ხოლო დიქტატორის გარდაცვალებისთანავე, პირველმა დაიწყო მისი მხილება, ბერიას დღემოკლე რეფორმების არსი იყო „მუხრუჭების აშვება", ანუ დესპოტურ-დიქტატორული რეჟიმის ლიბერალიზაცია, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სტალინი. ბერია იყო ერთ-ერთი ლიდერი იმ ჯგუფისა, რომელიც 1952 წელს, მე-19 ყრილობაზე გადაუდგა სტალინს და ფაქტობრივად ხელისუფლებას ჩამოაცილა.

ბერია რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსი იყო და როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სადაზვერვო ქსელის შემქმნელსა და ბეთაურს, ხელთ ჰქონდა უზარმაზარი ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ. გულუბრყვილობა იქნება იმის მტკიცება, რომ ბერია დემოკრატი და ლოიალური პიროვნება იყო, მაგრამ იგი კომუნიზმის მოძღვრებით დაბრმავებული ორთოდოქსი მარქსისტებისაგან განსხვავებით ხედავდა, რომ მსოფლიო სულ სხვა გზით მიემართებოდა, ხოლო „სოციალიზმის მშენებლობის" დესპოტურ რეჟიმს საბჭოთა კავშირი და მისი სატელიტი ქვეყნები ჩიხში შეჰყავდა, რაც ბოლოს კატასტროფით უნდა დამთავრებულიყო. ამ კატასტროფის მოწმე გახდა დღევანდელი თაობა და ბერიას რომ დასცლოდა, შესაძლოა ჩვენი დროის კრიზისი აწ უკვე წარსულში ყოფილიყო დარჩენილი და საბჭოთა იმპერიაც უფრო ადრე დასამარებულიყო.

ეს წერილი ბერიას რეაბილიტაციისათვის არ არის გამიზნული, ეს ფაქტობრივად, შეუძლებელიცაა, მაგრამ დღევანდელი თაობა უნდა იცნობდეს ამ უაღრესად საინტერესო პიროვნებასა და პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის მასშტაბები შორს სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს; თუმცა, ბერიას პოლიტიკური პორტრეტის დაწერა ჯერ მხოლოდ მომავლის საქმეა, როცა ხელთ გვექნება ყველა დოკუმენტი, რომელიც დღეს მიუწვდომელია.

# თემის გაგრძელება

„კალაშნიკოვი თუ ვიდეოკამერა“ — ასე ვუწოდე ჩემს წერილს, რომელიც ამა წლის 9 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა. სათაურშივე შევეცადე ჩვენს ურთულეს დროში მაფიქსირებელი ტექნიკის მასობრივად გამოყენების აუცილებლობისადმი მკითხველის ყურადღება გამემახვილებინა. თავად წერილით კი მწადდა ამ ტექნიკით შეიარაღებული კაცისადმი ოდნავ მაინც შემეცვალა ფართო საზოგადოების დამოკიდებულება. — რაც უფრო მეტნი ავითვისებთ მაფიქსირებელ ტექნიკას, მით მეტად გაძლიერდება ჩვენი ინფორმაციული თავდაცვისუნარიანობა.

თანამედროვე ტექნიკით არეკლილი სინამდვილე იმ ეჭვმიუტანებელ სიმართლეს შეიცავს, რომელიც კრემლის თუ სხვა ძალების პროპაგანდისტებისათვის ჩერნობილივით შემაშფოთებელია. დღეს მოქალაქეობრივი სიფხიზლე მაფიქსირებელი ტექნიკის მასობრივ გამოყენებასაც გულისხმობს ე. ი. ამ საქმის მოყვარულთა რაოდენობის მკვეთრ ზრდას.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილის შემაჯამებელ ნაწილში, თუ გახსოვთ, აღვნიშნე, „პროფესიონალს შეიძლება მოვლენა გამორჩეს, ან ველარ მიუსწროს, დაიგვიანოს, მოყვარული, რომელიც ფაქტობრივად ყველა პროფესიის ადამიანს განასახიერებს ფაქტის, მოვლენის არა მარტო მხილველია, არამედ ხშირად უშუალო მონაწილეც“. გავიხსენოთ 1963 წელს დალასში დატრიალებული ტრაგედია, რომლის მსხვერპლი ჯონ კენედი იყო. ამ მკვლელობის მთელი პერიპეტიები სწორედ იქ, შემთხვევით მყოფ კინომოყვარულთა მიერ გადაღებული ფირის მეშვეობითაც იქნა დადგენილი. რაჯივ განდის მკვლელი, ტერორისტი ქალის (თუ ქალების) იერსახეც ფოტომოყვარულის დახმარებით დაზუსტდა...

დღეს საქართველოს, მართლაც გააჩნია კინოსა და ტელევიზიის რეჟისორ-ოპერატორების მძლავრი ჯგუფი, რომლის შემოქმედებითი პოტენციალი და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება სამაგალითოა. სწორედ მათი რუდუნებითა და ფასდაუდებელი გარჯით შეიქმნა თითქმის 200 საათიანი ვიდეოფილმი, რომელიც სრულად ასახავს 9 აპრილს მომხდარ სისხლიან დღეებს და რომელიც აუცილებლად საჭიროებს კინოფირზე გადატანას... მაგრამ, ქალბატონებო და ბატონებო, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილი მიზნად არ ისახავდა პროფესიონალთა შემოქმედებისა, თუ საქმისადმი მათი თავდადების შეფასებას, ამის პრეტენზია არცა მქონია. მადლიერი ქართველი ერი, როცა ამის დრო მოვა, მერწმუნეთ, ყველას თავისას მიუზღავს, არავის დაივიწყებს, პირიქით, წერილში ვსაუბრობდი მაფიქსირებელი ტექნიკის გამოყენების დემოკრატიზაციაზე ე. ი. კინო, ვიდეო, ფოტო, თუ რადიომოყვარულთა რაოდენობის ზრდის საჭიროებაზე, რომ მომავალში (ვინ იცის, რა მოგველის) სიმრავლის გამო მათი განეიტრალება მომხდურმა ველარ შეძლოს...

....სუკის მიერ გადაღებული მასალა კი იმიტომ ვახსენე და უპირატესობაც იმიტომ მივანიჭე, რომ 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი ვიდეოფილმის (საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა ყრილობამ რომ ნახა) მოცულობის ერთმესამედზე მეტი, უშუალოდ დანაშაულის ჩადენის პროცესის ამსახველი, სწორედ მათ მიერაა გადაღებული, დანარჩენი კი სხვა ავტორებს ეკუთვნით. აღნიშნული ვიდეოფილმი გაკეთდა ერთი მიზნით — ცივილიზებულ სამყაროს თვალნათლივ, დოკუმენტური სიზუსტით უნდა დაენახა წითელი ვანდალების ბარბაროსული ბუნება და იგი მოსალოდნელი სასამართლოსათვის დანაშაულის დამადასტურებელ საბუთად უნდა ქცეულიყო. სამწუხაროდ, ამ ფილმში, როგორც აღვნიშნე, ნაკლებადაა ასახული თვით დანაშაულებრივი ქმედების პროცესი და რაც არის, ძირითადში მართლაც სუკის თანამშრომლების მიერაა გადაღებული. — საგანგებოდ ჰქონდათ გადასაღები წერტილი შერჩეული, ოპერატორები ყოველმხრიდან დაცულნი იყვნენ და რაც მთავარია, მათი „შემოქმედებითი“ მიზანი იმ ხანობას, თავაზიანად რომ ვთქვათ, სპეციფიური იყო...

საქმის ძიების თვალსაზრისით, სურათის დანარჩენი ნაწილიც ფრიად და ფრიად საგულისხმოა — ასახავს სიმძაფრით, განგაშით. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთ მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული ნებისმიერი, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო წვრილმანიც კი სიმართლის დადგენისათვის უდიდესი ღირებულების შენაძენი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, კრემლის მობინადრეებმა, არამც თუ დანაშაულის შედეგს, რომელიც ყოველთვის საჭიროებს დამატებით გამოძიებას, რათა მას ე. ი. შედეგსა და დანაშაულში ეჭვმიტანილს შორის მიზეზობრივი კავშირი დადასტურდეს, არამედ სუკის აგენტების მიერ გადაღებულ დანაშაულის ჩადენის პროცესის ოპტიკური სიზუსტით ასახულ მასალასაც არ გაუწიეს ანგარიში...

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმ სისხლისნიაღვრის ღამეს ბევრსაც რომ გვქონოდა ხელში მაფიქსირებელი ტექნიკა, მანქურთების სისასტიკე გადაგველო სხვადასხვა წერტილიდან, გადაგველო მკაფიოდ, დანაშაულის ქმედების პროცესი უწყვეტად დაგვეფიქსირებინა და მთელი ფილმი სწორედ ასეთი ხასიათის მასალისაგან შემდგარიყო, იმპერიის ცალთვალა „მართლმსაჯულებისათვის“ არც იგი იქნებოდა საკმარისი საბუთი, სამაგიეროდ, ერთიათად გაუჭირდებოდათ ჯალათებს კაცობრიობის წინაშე თავის მართლება და მომავალში უფრო წინდახედული გახდებოდნენ. იმპერიის სალდაფონებს საჯარო სასამართლოსათვის აბა ვინ გაიმეტებდა, მაგრამ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღარ იქნებოდნენ და თვით საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი სირცხვილის ოფლს მრავალგზის მოიწმენდდა სახიდან...

მკითხველს, ალბათ ახსოვს, წერილში „კალაშნიკოვი თუ ვიდეოკამერა“ ორი მოვლენა — 9 აპრილი და ვილნიუსში საბჭოთა ჯარის მიერ სატელევიზიო სადგურის „შტურმით“ აღება შევადარე. ჩვენს დროში ორი წელიწადი, რომელიც თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას გვაშორებს, მართლაც საკმარისია, რომ სხვა, თავისუფლებამოყვარე ხალხებს დასკვნები გაეკეთებინათ, კრემლის მოსალოდნელ თავდასხმებს უფრო მომზადებულნი დახვედროდნენ. პატივცემული ოპონენტების აზრით, სწორედ ამიტომ აისახა ასე ოპერატიულად და სრულად კინო, თუ ფოტოფირზე წითელი ვანდალების მიერ ვილნიუსში ჩადენილი დანაშაული. ალბათ უამისობაც არ იყო — თბილისის ტრაგედიამ ბევრს აუხილა თვალი, მაგრამ თავად ჩვენ, პირველებს რომ თავს დაგვატყდა უსამართლობის უკიდეგანო სიმწარე, რატომ არ გავაკეთეთ 9 აპრილის შემდეგ დასკვნა, რატომ არ გადავიღეთ ქართულ მიწაზე ოსი ბანდიტებისა (გთხოვთ, ოს ხალხში მათ ნუ აურევთ) და არანაკლებად დეკლასირებული წითელი არმიელების თარეში, რატომ არ აღმოჩნდა საკმაოდ დიდ ქალაქში — ცხინვალში, ან ჯავასა და მათ მიმდებარე სოფლებში თუნდაც ოცმანეთიანი ფოტოაპარატით, ან საბჭოური ასმანეთიანი კინოკამერით აღჭურვილი მგზნებარე გულის მქონე მოყვარული, როგორ მოხდა, რომ რამოდენიმე ათას მილიციელს შორის (საერთოდ, მათ მიმართ აუგის თქმა ძნელია) არ იყო ერთი ისეთი, რომელიც ფირზე ასახავდა იმ დრამატულ მოვლენებს, რომელთა მხილველი და ხშირად თავდადებული მონაწილეც არაერთხელ ყოფილა?

პასუხი ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. გავკადნიერდები და მოვიყვან ერთ ნაწყვეტს ჩემი წერილიდან, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ 1964 წლის 11 დეკემბრის ნომერში გამოვაქვეყნე — „... მარტო ბალტიისპირეთში მხატვრული ფოტოგრაფიის 15-მდე კლუბი არსებობს, რომლებიც აერთიანებენ ფოტოხელოვნების ყველა მოტრფიალეს, აწყობენ საზოგადოებრივ დათვალიერებებს, სცემენ ალბომებსა და კატალოგებს, ხშირად მართავენ გამოფენებსა და მოძრავ ექსპოზიციას და როგორც წესი, ყოველ საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე დიდ ჯილდოებსა და ქებას იმსახურებენ და იქ სიტყვა ფოტოგრაფი ამაყად ჟღერს. საქართველოს კი ფოტოგრაფიულად (ლანდშაფტისა და ტიპაჟის თვალსაზრისით) უნიკალურ, უმდიდრეს ქვეყანას არც ერთი კლუბი, არც ერთი შემოქმედებითი გაერთიანება არა აქვს“.

ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ თითქმის სამმა ათეულმა წელმა განვლო — მდგომარეობა რა თქმა უნდა, შეიცვალა. დღეს გაგვაჩნია რამოდენიმე კლუბი და გაერთიანება, გამოფენებსაც ვაწყობთ, ფოტოალბომებსაც (ძირითადად თემატიკურს) ვცემთ, ვგონებ, არც ჩვენი პრესაა ფოტომასალას მოკლებული, ორიოდე დღეა, რაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დააკანონა რესპუბლიკის ფოტომხატვართა კავშირი, მოკლედ, საქმე ადგილიდან თითქოს დაიძრა, მაგრამ მაფიქსირებელი ტექნიკის, მათ შორის ფოტოგრაფიის მასობრივ (თუნდაც ისე, როგორც ეს ბალტიისპირეთშია) ათვისებამდე კვლავაც შორსა ვართ და ეს იმ დროს, როცა ჩვენი მოსახლეობის მიერ შეძენილი ფოტო, თუ კინოაპარატების რაოდენობის მხრივ მთელ იმპერიაში ლამის პირველ ადგილზე ვიმყოფებით...

„საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ ჩემი წერილის გამოქვეყნების თაობაზე ყველაზე მძაფრი რეაქცია ერთმა საუწყებო გაზეთმა გამოხატა. თავისი „პოზიცია“ მან მიზეზთან იმდენად შეუსაბამო რისხვით გვაუწყა, რომ უნებლიედ ვიფიქრე — მაფიქსირებელი ტექნიკის მასობრივად ათვისებისაკენ რომ მოვუწოდე საზოგადოებას, ამით რაღაც უსაშველო ცოდვა ხომ არ ჩავიდინე-მეთქი... ამ გაზეთმა თავისი „პოზიცია“ დასმენის ინტონაციით დაიწყო — აქაოდა ძველი, ე. ი. კომუნისტური რეჟიმის დროს წერილის ავტორს ტელევიზიაში თანამშრომლობა სულ ვარდ-ყვავილებით ჰქონდა მოფენილი და ახლა უხეირო აპარატურის გამო ტყუილად წუწუნებსო — „ტექნიკაც ეძლეოდა და საეთერო დროც“. საკითხავია, როგორ შეიტყვეს — ამ გაზეთის რედაქცია ტელესტუდიისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული, ჩემს ხელთ არსებული აპარატურის სიავ-კარგი ნეტავ რა დურბინდით დაინახეს და მერე, უკიდურესად ამორტიზებული ვიდეოკამერა ყოველ წუთს რადიოინჟინრებისა და ელექტრონიკის სპეციალისტების შველას რომ ითხოვდა, ხოლო ჩემი მონაწილეობით თითქმის ყველა გადაცემისათვის სამონტაჟო დრო ღამის 12-დან დილის 8-მდე რომ მეძლეოდა, თურმე, ნუ იტყვით, შემოქმედებისათვის „საუკეთესო“ პირობები ყოფილა. ამავე გაზეთის აზრით, სამართალდამცავ თემაზე გაკეთებული გადაცემა, რომელიც უმეტესწილად სულის ამაფორიაქებელ, შოკური ხასიათის ინფორმაციასაც შეიცავს, უმჯობესია, არახელსაყრელ დროს — გვიან ღამით გადავცეთ, რომ მაყურებელი უფრო „მშვიდი“ ძილისთვის განვაწყოთ... არც „პოზიციის“ გასამაგრებლად თანდართული ფოტოსურათია ამ შემთხვევაში მისაღები. ეს სურათი მკითხველმა იცის — ქართველი ქალი ავტომანქანაზე მიმაგრებული მოფრიალე ეროვნულ დროშასთან ერთად. იგი მეც მომწონს — კარგადაა გადმოცემული ქალის გუნება-განწყობილება, მისი სიმტკიცე და მშვენიერება, მაგრამ მოდით გულზე ხელი დავიდოთ და გულწრფელად ვაღიაროთ, — ამგვარი შინაარსის ფოტოსურათი, ავტორს ხომ შეეძლო შეექმნა ბათუმში, ქუთაისში, ან სოხუმში, შეექმნა ერთი თვის, ან ნახევარი წლის წინათ? გეკითხებით, რა ფაქტობრივი კავშირი აქვს მას 9 აპრილის უმძიმეს დანაშაულის დამადასტურებელ ფოტოდოკუმენტთან?

ტოტალური ფოტოგრაფია რამდენიმე ძირითად შენაკადისგან შედგება. ესენია — მხატვრული, ანუ განყენებული, პრესისათვის განკუთვნილი, ანუ ფოტოჟურნალისტიკა (მრავალწახნაგოვანი ჟანრული სტრუქტურით) და ქრონიკა — დოკუმენტური, ანუ უტილიტარულ-გამოყენებითი. წერილში „კალაშნიკოვი თუ ვიდეოკამერა“ სწორედ ამ უკანასკნელის ე. ი. უტილიტარული ფოტოგრაფიის მოყვარულთა სიმრავლის საჭიროებაზე ვსაუბრობდი, ვინაიდან დღეს სწორედ ფაქტოგრაფიული, კონკრეტული მოვლენის ზუსტად ამსახველი, უეჭველი და ცხადი, ტექნიკურად ყველასათვის მისაწვდომი და ადვილად დასამზადებელი ფოტო და ვიდეომასალა გვჭირდება, ამას თუ შევიგნებთ და ღრმად, საიმედოდ გავიცნობიერებთ, მაშინ იოლად ვანაცვალებთ ფოტო თუ კინოაპარატს ბლოკ „მარლბოროსა“, თუ ათიოდე ქილა ჰოლანდიურ ლუდს.

გახსოვთ ალბათ, ჩემს წერილში სინანულით აღვნიშნე, რომ საქართველოს რადიომოყვარულებმა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ეთერში გასვლა დააგვიანეს. დღეს კი კმაყოფილებით შეიძლება ითქვას დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლში მიწისძვრასთან დაკავშირებით, როცა სატელეფონო კავშირი გაწყდა, ჩვენმა რადიომოყვარულებმა ვერგილიანობაც გამოავლინეს და საქმის ცოდნაც. შესძლებიათ. უინტერესო არ იქნებოდა მოკლეტალღოვანი რადიოს მოყვარულთა აზრი, რა უჭირთ და ულხინთ, რა არის საჭირო, რომ მათი რიცხვი შესამჩნევად გაიზარდოს, ან თბილისიდან ორასიოდე კილომეტრში რატომ არ ისმის, არამც თუ მათი, არამედ თვით რესპუბლიკური რადიოს ხმა, ან თუ ისმის, ისიც ძლივს, იქნებ რადიომიმღები მაქვს შესაცვლელი, ან იქნებ მთავარი გადაცემის აპარატურა დაგვიძველდა?

აუდიო-ვიზუალური ტექნიკით შექმნილი ინფორმაცია კომენტარს თითქმის არ საჭიროებს. თავისი სიცხადით, ობიექტურობით იგი ხომ სიმართლის ყველაზე საიმედო ჯავშანია...

**სანდრო მამასახლისი**

---

საქართველოს მწერალთა კავშირი და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებენ მწერალ ლევან ბრეგაძეს მეუღლის

**გულიკო ლეგაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ალმანახ „კრიტიკის“ რედაქცია უთანაგრძნობს ლევან ბრეგაძეს მეუღლის

**გულიკო ლეგაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

## რედაქციისაგან

6 სექტემბერს ჩვენ გამოვაქვეყნეთ უცნობი ავტორის მოთხრობა „რაუდენი“, რომელიც აღმოჩნდა კ. გამსახურდიას არქივში და თავად დიდი მწერლის ხელით არის გასწორებული. ავტორს ვთხოვდით, გამოგვხმაურებოდა. როგორც გაირკვა, მოთხრობის ავტორი ყოფილა ცნობილი კინორეჟისორი თემურ ბაბლუანი, რომელსაც, სრულიად ყმაწვილს, სკოლის მოსწავლეს, გადაუცია ბატონი კონსტანტინესთვის თავისი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები.

ჩვენ სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ ბატონ თემურ ბაბლუანის სხვა ნაწერებსაც.

---

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თვარაძე, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, ტარიელ ჭანტურია, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე



რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილეები — 99-91-89; 98-86-68.
პასუხისმგებელი მდივანი — 99-67-10.
განყოფილებები: პროზისა და პოეზიის — 99-71-68; კრიტიკის, პუბლიცისტიკის, ინფორმაციის — 99-08-65; ხელოვნების 99-72-89.
ბუღალტერია — 99-72-89.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკეობით